

ანნ. ჩიქობავა

ქართული ენის
ზოგადი
დახასიათება

თბილისი
1998



1898 - 1985

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

არნოლდ ჩიქობავა

ქართული ენის ზოგადი
დახასიათება

გამომცემლობა „ქართული ენა“

თბილისი

1998

**Georgian Academy of Sciences
Arn. Chikobava Institute of Linguistics**

Arnold Chikobava

**A General Description of the
Georgian Language**

**TBILISI
« KARTULI ENA »**

1998

- I. ახალი სალიტერატურო ქართული ენის წარმოქმნისათვის: გვ. 3-15
- II. ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: გვ. 16-26, §§ 1-29
- III. ბრუნება და უღვლილება ქართულში: გვ. 27-93, §§ 1-49

I. ახალი სალიტერატურო ქართული ენის წარმოქმნისათვის

ქართველურ (და, სერთოდ, იბერიულ-კავკასიურ) ენათა წრეში ქართული ერთადერთი სამწერლო ენაა, რომლის ისტორიაც მრავალი საუკუნის მანძილზე მდიდრად და დოკუმენტირებული ძეგლებით (წარწერებით, ხელნაწერებით...). ამ ფაქტს განუზომელი მნიშვნელობა აქვს როგორც, საერთოდ, კულტურის ისტორიისათვის, ისე, კერძოდ, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თვალსაზრისით.

ქართული დამწერლობის უძველეს ძეგლად ითვლება წარწერა ბოლნისის სიონზე. წარწერა თარიღდება მეხუთე საუკუნის დამლევით (492-493 წ.); შესრულებულია ასომთავრული მრგლოვანით. სპეციალისტების ვარაუდით ქართული დამწერლობა მეხუთე საუკუნეზე დიდი ხნით ადრე უნდა იყოს შექმნილი: ისეთი ჩამოყალიბებული, დამთავრებული სახე აქვს ამ უძველეს წარწერაში ასოთა მოხაზულობას.

ქართული ენის განვითარებაში უნდა განვასხვაოთ ძველი და ახალი ქართული. ძველი სალიტერატურო ენა — მეხუთე საუკუნიდან მეთერთმეტე საუკუნის დამლევამდე. ძველი ქართული ენა ამ ექვსი საუკუნის მანძილზე არაა ერთფეროვანი: ხანმეტი ძეგლები, ჰაემეტი ძეგლები, მეცხრე-მეათე საუკუნეთა ძეგლები რიგი თავისებურებით ხასიათდება — ლექსიკაში, მორფოლოგიაში, ფონეტიკაში. მაინც ძველი ქართული ენა მკვეთრად ჩამოყალიბებული ნორმების სისტემაა.

ახალი ქართული სალიტერატურო ენა ისახება მეთორმეტე საუკუნიდან (ნ. მარი, ს. გორგაძე): მეხოტბეთა (შავთელის, ჩახრუხაძის) ენა, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ენა უკვე აღარაა ძველი ქართული. სახელთა ბრუნებაში, ზმნის უღვლილებაში ახალი ქართულის დამახასიათებელი მოვლენები გვაქვს. სიტყვათა წყობაც არსებითად ახალი ქართულისაა.

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა — კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალგულოვანი,
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!

ძველი ქართულისაა ამ ტაეპში „მიწამან“, „შეყარნეს“. ეს რომ არა, მთლიანად ახალი ქართულის ფაქტი გვექნებოდა.

ახალ სალიტერატურო ქართულს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ცოცხალი მეტყველება — ქართლური და კახური — ასაზრდოებს. ახალ სალიტერატურო ქართულს საძირკველი ეყრება თბილისში: დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლება თურქთაგან 1122 წ. და პოლიტიკური და კულტურული ცენტრის ქუთაისიდან თბილისში გადმონაცვლება (აქედან გამომდინარე ყველა შედეგით) ის დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა, რომელმაც ახალი ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნა შეაპირობა. სახელმწიფო კანცელარია და სასამართლო, ისტორიული თხზულებანი, მხატვრული ლიტერატურა ამ ახალი ენის სარბიელს წარმოადგენდა, ახალი ქართული ენის ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა.

მეთვრამეტე საუკუნისათვის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება უკვე დამთავრებულია.

აი, ამ ენის ორიოდ ნიმუში.

მეჩვიდმეტე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი:

„ერთი კუ და ერთი მორიელი დაძმობილდნენ. წავიდნენ გზასა. გასავალი წყალი დახვდათ. მორიელი დაღონდა, გასვლა არ ეძლო. კუმ უთხრა: „ზურგს შემაჯექ, მე გაგიყვანო!“ შეაჯდა მორიელი ზურგზე. კურა წყალში შეცურდა, მორიელმა ზურგზე კბენა დაუწყო. კუმ ჰკითხა: „ძმაო, რას იქ?“ მორიელმა უთხრა: „რა ვქნა? არც მე მნებავს, მაგრამ ასეთის გვარისანი ვართ, მტერსა და მოყვარეს ყველაყას უნდა უკბინოთ!“ კუმ დაიყურყუმაღავა, მორიელი წყალს მისცა და უთხრა: „ძმაო! არც მე მნებავს, მაგრამ ჩემი გვარი, თუ გესლიან ხორცს არ გაიბანს, გასივდება და მოკვდება!“ (საბა-სულხან ორბელიანი, „სიბრძნე-სიცრუისა“ გ. ლეონიძის რედაქციით, თბილისი, 1928 წ.).

1714 წ. „ნავით წავიყუანეს, ზღვას გაღმა შაქრის ლერწამი გვაჩვენეს. მრავალი იღვა. ერთს წელიწადს ერთს მხარეს, მეორეს წელიწადს — წვერების დარგვა თურმე უნდა, — მეორეს მხარეს დარგვენ. აქავ წახდებო. და გიორგობის თვეს ძლივ დამწიფდება ლერწამი. მერმე მიგვიყუანეს, სადაც შაქარს ხდიდენ დეკემბერს, იანვარს და თებერვალშია. როგორ ფქვემდენ ლერწამსა და როგორ ხარშავდენ, სად გასწურავდენ და სად მოადუღებდენ და თეთრს შაქარს როგორ აკეთებდენ, ესეები გვაჩვენეს“ (საბა-სულხან ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში“, გამოცემა „ფედერაციისა“ ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1940 წ., გვ. 124).

მეთვრამეტე საუკუნის მესამოცე წლები:

ისმინე, სწავლის მძებნელო! მოყევ დავითის მცნებასა,
 ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა,
 თავს სინანული სჯობია ბოლოჟამ დანანებასა,
 ჭირს მყოფი, ლხინში შესული, შვებად მიითვლი ვნებასა!...
 ...სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი,
 მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი,
 სხვას ყველას მახე უგია თავისა გასაყოფელი,

თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთი სოფელი
(დავით გურამიშვილი: „დავითიანი“, 1931 წლის გამოცემა ა. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, გვ. 15).

წარმოდგენილი ნიმუშები მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულისა და მეთვრამეტე საუკუნისაა (არა სცილდება 1775 წელს). ამ ნიმუშების ენა სადა და ხალხურია. საბას „კუ და მორიელი“, დ. გურამიშვილის „ისმინე, სწავლის მძებნელო!“ ბავშვების სასწავლო მასალად გამოდგება (შეაქვთ კიდევ სახელმძღვანელოებში).

შეფუპირისპიროთ ამას ენა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსისა „სხვადასხვისა დროისათვის კაცისა“ (XIX ს. პირველი ნახევარი):

ეს სოფელი, სამყო ძნელი, მჩვენებელი ჭმუნვის ალთა!
რა ვიშვებით, მყისვე ვსტირით, ვით წინად მგრძნი მომავალთა,
მოვიზრდებით, წიგნის კითხვით არ გაგვიშრობს მწვრთნელი
თვალთა,

ჟამი გვირეკს, იგი გვიძახს: შეუღექით სიბრძნის კვალთა!...
ოდეს შევალთ ხანსა სრულსა, მაშინ კვლავცა სხვა გვაქვს წუხვა,
არა ვკმაობთ საკმაოთა, ნდომა ჩვენი უზომ, უხვა,
გვსურს დიდება, გვსურს პატივი, გვსურს სახელის განთქმა, ქუხვა,
რა ვერ ვპოვებთ საწადელთა, შეგვექმნების უურით ჭმუნვა!...

„საკმაოთა“, „საწადელთა“, „შეგვექმნების“, „ჭმუნვა“, „სოფელი“ (ქვეყნის მნიშვნელობით) შემთხვევითი არქაიზმები როდია: ავტორი მათ განზრახ ხმარობს. „სამყო“ (სამყოფელის ნაცვლად), „მგრძნი“ (მგრძნობის ბაღლად), „გვიძახს“ (=გვიძახის), „უზომ“ (=უზომო), „უხვა“ (=უხვ არს, უხვია), „ქუხვა“ (=ქუხილი) არც კალმის შეცდომებია, არც პოეტური უმწეობის შედეგი; ავტორი ამ ხელოვნურად ნაწარმოებ სიტყვებს კანონზომიერად თვლის პოეტურ სიტყვაში. ეს უჩვეულო და უცნაური სიტყვაწარმოება და სიტყვათა ხმარება, აგრეთვე ძველებური სიტყვათწყობა (მჩვენებელი ჭმუნვის ალთა...) გარკვეულ სალიტერატურო ნორმებს უპასუხებს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი ენით დაიწერა ლექსი („სხვადასხვისა დროისათვის კაცისა“) **მეცხრამეტე საუკუნის** პირველ ნახევარში, 60-70 წლის შემდეგ „დავითიანისა“.

ასეთი რამ მხოლოდ ლექსში არ შეგვხვდება. აი, პროზა (სამძიმრის წერილი):

„არა ვუწყ, თუ ვისდა შევასწორო ჟამი ესე გოდებისა და მწუხარებისა, ანუ რაბამი ხმა გლოვისა აღმოუტეო და ანუ ვითარ ვცრემლოდე დაკვეთებულისა ამის საქმისათვის. გონებად მოვიღებ დღეს ჟამსა მას საგონებელსა და საბავთოსა განსვენებულისა მამისა შენისა აღსასრულისა, რომელი სწორი იყო მშობელისა მამისა ჩემისა აღსასრულისა და რამეთუ ჩემდა ეგრეთ საწუხებელი და საგლოველ არს ჟამი ესე არა არს ნამდვილ ნაკლულევან მწუხარება ჩემდა, ვითა დღე იგი, ოდეს უბედურ ვიქმენ სანატრელისა მშობელისა მამისა ჩემისა აღსასრული-

თა. ვისა შევასწორო ესე, არა თუ მისსა, სადადთ მოვიდნენ ცრემლნი საგოდებელნი! არავინ არს ნუგეშინის მცემელ ჩემდა და უმეტეს აღვილისა ამის ძლით, ვითარ შევრაცხო, რომელ არღა იყოს ტკბილ მოუბარი ენა დედისა ჩემისა მზგავსისა! ვითარ. დავსდვა ორითავე კერძოდთ ობლობა ბრწყინვალეებისა თქვენისა? ნეტარ თუმცა ვიყო მახლობელ თქვენდა, რათა არა წერილით, არამედ ცხოველითა ხმითა განვაცხადო შინაგან მღებარე მწუხარება ჩემი" (ფარნაოზ ბატონიშვილის წერილი გიორგი ქსნის ერისთავის გარდაცვალების გამო — „საქართველოს სიძველენი," I, გვ. 224).

ეს ნიმუში ეკუთვნის მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს. ამ ენით მეცხრამეტე საუკუნეში არავინ ლაპარაკობდა: ეს სამწერლოდ თუ იქნებოდა ნახმარი.

ამ სამწერლო ენას კი ვერ მივიჩნევთ საბას პროზის გაგრძელებად: შეუძლებელია განვითარების ერთ ხაზზე მოვთავსოთ საბას ქართული (მეთვრამეტე საუკუნისა) და ამ ნაწყვეტის ქართული (მეცხრამეტე საუკუნისა)!

ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების ხაზი მეთვრამეტე საუკუნის მესამოცე წლებში გაწყდა. ეს დაკავშირებულია ანტონ კათალიკოსისა (ანტონ პირველისა) და მისი სკოლის მოღვაწეობასთან. ამ სკოლის ხელში იყო ქართული სალიტერატურო ენის განვითარება მთელი საუკუნის განმავლობაში — მეთვრამეტე საუკუნის მესამოცე წლებიდან მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებამდე.

ანტონ პირველმა დანერგა და გააბატონა სამი სტილის თეორია. ეს თეორია ქმნიდა რიტორიკის ქვაკუთხედს. ამ თეორიის თანახმად ყველა საგანზე მსჯელობა ერთი და იმავე ენით დაუშვებლად იყო მიჩნეული: „მაღალ მატერიას" (მაგალ., ღვთისმეტყველებას) აღზევებული ენა — „მაღალი სტილი" — შეეფერებოდა; ისტორიული თხრობა, მაგალითად, — საშუალო სტილს მოითხოვდა; ყოველდღიური ამბები, საყოფაცხოვრებო მოვლენები „უბრალოდ" ითქმოდა, მას ჩვეულებრივი სასაუბრო ენა გამოადგებოდა, — ეს იყო „დაბალი სტილის" სამყარო.

მაღალი სტილი ყველაზე უფრო უნდა დაშორებოდა სასაუბრო ენას, საშუალო სტილიც უნდა ყოფილიყო გარჩეული. მაღალი სტილი — მეთვრამეტე საუკუნეში — ძველ ქართულს უბრუნდებოდა, არა იმ ქართულს, რაც მეთვრამეტე საუკუნის ორიგინალურ ქართულ ძეგლებში გვაქვს (მაგალ., იმ ძველ ქართულს, რომლითაც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაა დაწერილი); არა, მას თვალი ეჭირა იოანე პეტრიწის ენისაკენ (XI ს.), რამდენადაც ამ რთული, მძიმე ენისათვის მიბაძვას მოახერხებდნენ მეთვრამეტე საუკუნეში.

ამგვარად, ანტონ პირველმა რიტორიკას ჩააბარა ქართული სალიტერატურო ენის ბედი. რიტორიკის ნორმები — **სამი სტილის თეორია — პრინციპში უარყოფდა ერთი სალიტერატურო ენის საკმა-**

რისობას: ერთი სალიტერატურო ქართულის ნაცვლად უნდა შექმნათ სამი სახის წიგნური მეტყველება — სამი სტილის ქართული.

ანტონ პირველმა დააკანონა მაღალი სტილისათვის ძველი ქართულის თავისებური სუროგატი, — ენა ლვლარჭნილი, რთულ წინადადებათა მოტრფიალე, მიმღეობებით მდიდარი, ზმნებით ღარიბი, გასაგებად ძნელი.

ამგვარი ენითაა დაწერილი ანტონ პირველის გრამატიკა¹. სანიმუშოდ მოვიყვანთ ნაწყვეტს:

ვინამცა მოქმედებაჲ ჩუჴნი და შრომაჲ აწინდელი არს, რათა კარისა მიმართ სიბრძნისა გზაჲ იყოსმცა სლუსა ჩუჴნისა არა შემაცდომელ ანუ დასაბრკოლებელ, ხოლო ხელოვნებაჲ ესე წინამდებარე, რომელი ღრამმატიკაჲ ბრძენთა კარად ჰსთქუჴს სიბრძნისა, რამეთუ ღრამმატიკაჲ, ვინამთგან არს შემძლებელობა მართლ-უბნობად და წესიერ წერად, და არა-რა მოყუარება სიბრძნისა იქმნების თვნიერ მართლუბნობისა ანუ წესიერ წერისა. მაშასადამე, ღრამმატიკაჲ თვნიერ იჭკსა არს კარი სიბრძნისა. ამისთვის მეცა განმჰსჯელმან, ვითარმედ ერთ-გონიერებაჲ ძმათა განაშუჴნებს სიბრძნესა,... ხოლო თუ სადამე კარი სიბრძნისა არა შევჰლეთმცა, სადადთმცა იქმნა მისლჴად ჩუჴნი სიბრძნისა მიმართ. ამისთვის ორ-გზის არა ვპრიდე შრომად ქმნისადმი ღრამმატიკაჲსა (იხ. ქართული ღრამმატიკა, თბილისი, 1885 წ., გვ. 1).

ესაა მაღალი სტილით თქმული. იგივე შინაარსი „დაბალი სტილით“ რომ გადმოგცეთ, მივიღებთ შემდეგს: „ჩვენი მოქმედება და შრომა ისაა, რომ შეუცდომლად და დაუბრკოლებლად ვიაროთ სიბრძნის კარისაკენ; ბრძენებმა კი გრამატიკა მიიჩნიეს სიბრძნის კარად: გრამატიკაა სწორად ლაპარაკისა და წესიერად წერის ხელოვნება; სწორად ლაპარაკისა და წესიერად წერის გარეშე სიბრძნის სიყვარული არ შეიძლება ... თუ სიბრძნის კარი არ გავიარეთ, როგორღა მივალწევთ სიბრძნეს. ამიტომ ორჯერ ვიკისრე შრომა გრამატიკის შესაქმნელად“.

ეს სქოლასტიკური მსჯელობა „სიბრძნისა“ და „სიბრძნის კარის“ შესახებ, გადმოცემული „მაღალი სტილით“, ხელშესახებად გვიჩვენებს, რა გასაჭირიც დაადგებოდა იმ პირს, ვინც იძულებული იქნებოდა ამ სტილით ეწერა. შემთხვევითი არაა, ანტონ პირველი რომ აღნიშნავს: არიან ისეთნი, რომელნიც **„სძულთბენ და ხიმწარით გარემიიქცევიან ბრწყინვალებასა ფრახისახა“**. ოღონდაც! ფრაზის ბრწყინვალება გამწარებასა და სიძულვილს თუ გამოიწვევდა. და მაინც იძულებულნი იყვნენ იმ დროის მწიგნობარნი შერიგებოდნენ ამ სიმწარეს: მწიგნობარს მწიგნობრად არ მიიჩნევდნენ, თუ ამ მაღალ სტილს არ „დაეუფლებოდა“, თუ რიტორიკის მოთხოვნათა სიმალლეზე არ იდგებოდა. რა თქმა უნდა, ზოგს როგორ მოუხერხებოდა რიტორიკის ოჩოფება-

¹ გრამატიკა ანტონ პირველს „სიბრძნის კარად“ მიაჩნდა, მაშასადამე, მაღალ სტილს მოითხოვდა.

თი სიარული და ზოგს — როგორ. ცდილობდა კი ყველა, ვისთვისაც ხელმისაწვდომი იყო იმ ხანად რიტორიკის შესწავლა.

ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ლექსში „სხვადასხვისა დროისათვის კაცისა“ ალექსანდრე ჭავჭავაძე მიმართავს ხელოვნურ წარმოებას: **სამეო, მგრძნი, გვიძახს, წუხვა, უზომ...** (იხ. ზემოთ): ყველაფერი ამგვარი საგნებით კანონზომიერია წიგნის ხელოვნურ მეტყველებაში: „უზომო, წუხილი, გვიძახის“ და მისთ. რომ ეხმარა, ეს სასაუბრო ენა გამოვიდოდა.

რა მოუვიდა იმ ენას, რომლითაც საბა-სულხან ორბელიანი და დ. გურამიშვილი წერდნენ, ამ ახალ პირობებში, სამი სტილის თეორიის გაბატონების შემდეგ? რა ბედი ეწია ბუნებრივ ქართულ სალიტერატურო ენას? შეწყდა თუ არა მისი არსებობა? არა! ახალ ქართულ სალიტერატურო **ბუნებრივ** ენას წაართვეს ლიტერატურა და მეცნიერება, მაგრამ მას დარჩა „დაბალ მატერიათა“ სამყარო. ახალ ქართულს იყენებენ საქმიან მიწერ-მოწერაში, განკარგულების გაცემისას, სასამართლოში განჩინების გამოტანისას, ლიტერატურის ზოგი ჟანრისათვისაც (კომედიებისათვის, ეპიგრამებისათვის... იხ. ქვემოთ).

აი, **განჩინების** წიგნი:

1801, აპრილის 29. „ქ. ციხისთვისშვილის იოსების ეზოში ღორი გაერეკა ამისი სახლის კაცის შერმაზანის მელორეს; ამ იოსების შვილს გამოერეკა. ამ შერმაზანს გაელახა ის ყმაწვილი. ეს იოსები შინ არ ყოფილიყო. როდესაც მოსულიყო და შეეტყო, თავის სახლის კარზედ გამოსულიყო და ლანძღვა დაეწყო, რათ მომიკლეს შვილიო. მას უკან ის შერმაზან თავის ვენახში ყოფილიყო, გადმომხტარიყო და მისულიყო იოსებთან თავის სახლის კარზედ. ქვემოდამ შვილი გაქცეულიყო და მიხდომოდენ და ორთავ მამა-შვილთ გაელახათ თავის კარზედ. მოვიდა, იჩივლა იოსებმა; ისიც მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ, და ასე ყოფილიყო მათი შფოთი. მეც ეს სამართალი მივეც საქართველოს სამართლის ძალით: შინ მიხდომისათვის მთელი სისხლი გაუჩნდა, მაგრამ ზოგი ლანძღვაში ჩაუტარეთ, ზოგი სამართალმა იპატონა და თექვსმეტი თუმანი კი დაედო, რადგან აზნაურშვილები არიან. ეს თექვსმეტი თუმანი — ორი წილი ვეჭი უნდა მისცეს და მესამედი — თეთრი შერმაზანმა ამ იოსებს. აპრილის **კთ** (27) **ქკს უბთ** (489), მდივანბეგი სვიმონ“ („საქართველოს სიძველენი“, ტ. I, გვ. 199).

როგორც ვხედავთ, მდივანბეგი სვიმონ „ფრაზის ბრწყინვალეებას“ არ დაგიდევთ: **განჩინების ენა ხალხურზე ხალხურია, ხანიმუშოთა თავის ხიხადავით არა მხოლოდ ხახმართლოს კანცელარიისათვის** (მასთან ეს საგნებით გამართული წიგნის ენაა: არც ერთი მორფოლოგიური თუ სინტაქსური შეცდომა არ შეიმჩნევა ახალი ქართულის ნორმათა თვალსაზრისით). განჩინება ეკუთვნის 1801 წელს, როცა ანტონ პირველის სკოლა კანონმდებლობდა.

არსებითად ასეთივე სადა ენით წერს თვით კათალიკოსის კანცელარიაც, როცა საქმე ეხება პრაქტიკულ საკითხებს:

1797, თებერვლის 18. ქ. ყოვლისა საქართველოს კათალიკოს პატრიარქი მეფის ირაკლის ძე ანტონი გიბრძანებ არხიმანდრიტო ხოფისაგ დოსითეოს! მერმე — ეგ ხოფის საარქიმანდრიტო ხომ ჩვენი სამწყსო არის, რომელზედაც რომ არხიმანდრიტად ჩვენ გაკურთხეთ შენ და დაგადგინეთ და ამისი ყმა და მამული ყოველივე შენ გარწმუნეთ და მოგეცით. ახლავ შენ მასალა უნდა იშოვნო და ან, რაც ეკლესიას კურთხევაში ესაჭიროება, ისინიც, და ეგ ხოფის ეკლესიაც უნდა განაახლო. შენთვის ნება მოგვიცია და ჩვენის შენდობით აკურთხე და ან, რაც ეკლესიას ეჭირება, წიგნით თუ შესამოსლით, ყოველითავე უნდა სისრულე მისცე და კარგად მოუარო და გაუძღვე მაგ ეკლესიას, და შენსას და მაგ ეკლესიის საქმეს რაც გეჭირებოდესთ, ყოველსავე ჩვენ უნდა მოგვახსენებდე დაუყოვნებლად, და ყველას ჩვენ განვმართავთ კარგად და სისრულეს მივცემთ. ეს ჩვენი მბრძანებული ასრე უნდა აღასრულო. თებერვალს **იზ** (17) წელსა **ჩღუზ** (1797). კათალიკოზი ანტონი¹ („საქართველოს სიძველენი“, ტ. II, გვ. 465).

კათალიკოსის კანცელარიაც მარტივად მეტყველებდა, როცა მსჯელობის საგანი ამას მოითხოვდა.

ჟურნალი „ცისკარი“ (მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში) ანტონ პირველის ნორმებით ხელმძღვანელობდა: მასში სხვადასხვა შინაარსის მასალა განსხვავებული ენით იწერებოდა. ასე, მაგალითად, წერილთა სერია („სოფლიური სახლის პატრონობა“) საოჯახო მეურნეობის პრაქტიკულ საკითხებს ეხება და მარტივი ენით არის დაწერილი. „ცისკარის“ № 2, 1852 წ. ღვინის გაკეთების შესახებ ვკითხულობთ: „ღვინის ქვევრმა თუ რომ ცუდი სუნი მისცეს, უკეთესი არა იქნება ნახშირისა. დანაყეთ ნახშირი თხილისა ანუ სხვა ხისაც წმინდად, შეკერეთ პარკი ტილოსი, რომ ბოლო წვრილი ძაბრივით იყოს, ჩაყარეთ პარკში ნახევრობამდისინ ნახშირი, დაასხით წყალი ამდენი, მანამ წმინდა წყალი არ გამოვიდეს ბოლოდან. როცა წყალი წმინდა გამოვიდეს, მერე ღვინო დაასხით. რაც უნდა ცუდი სუნი ჰქონდეს, ნახშირი გამოიტანს“.

არც მართლწერა ანტონისა (არა ჩანს ასოები: მ, უ, ჯ,...), არც სიტყვათწყობა, არც ლექსიკა. მაგრამ ეს არ ეჩითირებოდათ: სამი სტილის თეორიის თვალსაზრისით ასეც უნდა ყოფილიყო.

როგორც ცნობილია, გიორგი ერისთავის კომედიები სადა ენით იწერებოდა (კომედია „გაყრა“ დაიდგა 1850 წ. 2 იანვარს). ათიოდე წლის შემდეგ 1862 წლის „ცისკარში“ (მარტის ნომერში) დაიბეჭდა მოლიერის კომედია „ცოლის შერთვევინება“, დიმიტრი ყიფიანის თარგმანი; 1860 წლის სექტემბრის ნომერში კომედია-ვოდვევილი „ცოლები დაგვარგეთ“, გადმოკეთებული ივ. კერესელიძის მიერ. ამ თარგმანთა ენა ისეთივე მარტივია, როგორც გიორგი ერისთავის კომედიებში. აქედან არ უნდა გაკეთდეს დასკვნა: ამ კომედიათა ავტორები სალიტერატ-

¹ იგულისხმება ანტონ მეორე (ანტონ პირველი გარდაიცვალა 1788 წელს).

ტურო ენად ამ სადა ენის გამოყენებას მოითხოვდნენო. სამი სტილის თეორია პირდაპირ ამბობდა: დაბალი სტილით იწერება კომედიები, ეპიგრამები, სიმღერები; პროზაში — მეგობრული წერილები და ჩვეულებრივი საქმის აღწერილობა¹. მაშასადამე, როცა კომედია სადა ენით იწერება, ეს სამი სტილის თეორიის უარყოფას როდი მოასწავებს, — ეს ამ თეორიის მოთხოვნას უპასუხებს.

მაშასადამე, გასული, მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებამდე სამი სტილის თეორია ძალაში იყო; ბუნებრივი ქართული მეტყველება, ხალხურ სასაუბრო ენასთან ახლო მდგომი, ამ პირობებშიც იხმარებოდა, მაგრამ მხოლოდ გარკვეული მასალის შესახებ თხრობისას, — ეს იყო „დაბალ მატერიათა“ ენა. სადა ხალხური ენა არ იყო უკუგდებულნი, ის იყო უფლებააყრილი: მას მესამე — დაბალი — რანგის ენად თვლიდნენ.

მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებში სამი სტილის თეორიის მიმდევართა შორის რევიზიონისტულმა მიმდინარეობამ იჩინა თავი: ანტონის ოხოფეხათი სიარული შეუძლებელი გახდა, **სამგვარი ენის საჭიროება კითხვის ქვეშ დადგა**. ამ მხრივ დამახასიათებელია ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის წერილი — „ქართული უბნობა ანუ წერა“ („ცისკარი“, 1860 წ., ტ. II, ივნისი).

„ცისკარში“ ერთნაირი წერა უნდა იყოსო, ამბობს ავტორი. სახელდობრ, როგორი? წერა სამგვარია: ეკლესიური, დარბაისლური და გლეხკაცურიო. აქედან ერთ-ერთი უნდა ამოვარჩიოთ, იმაზე შემოვიღოთ წერა და ლაპარაკი. ეკლესიური ენა ძნელია, მას ვერ დავაკანონებთ. მე საშუალო ენას ამოვირჩევ, დარბაისელთ ენასაო. ამ ენაზე უწერიათ: უწინდელი საერო წიგნები — რუსუდანიანი, ვისრამიანი, დარვიშიანი, სიბრძნე-სიცრუე, ყარამანიანი..., ვეფხვის-ტყაოსანიო².

„ჩუშნი ლაპარაკი და წერა, კვალად ვიტყვ, ერთგვარი უნდა იყოს: რა გუარად ილაპარაკონ, ისე დაიწეროს და რა გუარად დაიწეროს, ისე ილაპარაკონ. ამისთვის ჩუშნი საშუალო ანუ დარბაისელთ ენა არის, რომ დიად ადვლად შეიძლება..., რაც უნდა მაღალი საგანი იყოს,... და კარგადაც გამოვა ყოველი ქართული სიტყვერებაო“ (იქვე, გვ. 97).

სალიტერატურო **ერთი ენის** საკითხი დღის წესრიგში დაისვა. ამას ბუნებრივად მოჰყვა კითხვა: **რომელი უნდა იყოს ეს ერთი ენა?** საეკლესიო ენა (ე. ი. მაღალი სტილის ენა), დარბაისელთა ენა (საშუალო სტილის ენა) თუ ხალხური ენა (დაბალი სტილის ენა)?

ერთნი ამბობდნენ: სალიტერატურო ენად უკეთესი საზოგადოების ენა უნდა იყოსო. გლეხკაცური ენა სათქმელი არ არისო (ალ. ჯამბა-

¹ იხ. ი. გ რ ო ტ ი: ფილოლოგიური ძიებანი — „Филологические разыскания“, 1873, გვ. 89

² ავტორი ერთ სიბრტყეზე აყენებს ენობრივად საკმაოდ განსხვავებულ ძეგლებს, რაკი ეს ძეგლები საერო ლიტერატურას განეკუთვნება.

კურ-ორბელიანი, ბაქარ-ქართლელი [დ. ყიფიანი]); ზოგიც ანტონ პირველის ერთგული რჩებოდა; ყველაზე რადიკალური პოზიცია ეკავა ილია ჭავჭავაძეს, XIX ს. მეორე ნახევრის ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის უდიდეს მოღვაწესა და მესვეურს.

ილია ჭავჭავაძე საქმით უარყოფდა ანტონ პირველის ნორმებს, რიტორიკის მოთხოვნილებას სამი სტილის თაობაზე. ილია ჭავჭავაძის „კრიტიკული წერილი“ (კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანის გარჩევა) არ ერიდებოდა „შეუფერებელი“ (ე. ი. უბრალო) სიტყვების ხმარებას, არ იცავდა სავალდებულოდ მიჩნეულ ხელოვნურ ნორმებს, არ ხმარობდა ზედმეტ ასოებს *ჭ, მ, ჯ, ძ*, — ერთი სიტყვით, **ლიტერატურულ ენად ხალხურ ენას (მესამე სტილს) აცხადებდა.**

ატყდა განგაში: ილია ჭავჭავაძე ქართულ ენას ამახინჯებსო.

„ჩუშნს დედა-ენას თქუშნს უნებურად და შეუგნებლად თქუშნვე ჭიზიკებრ ჰკოდავთ და ამახინჯებთ და ზნეობრივად ჰრყვნით და აუძლურებთო“ — წერდა „ცისკარში“ (1861 წ., ტ I) სარდიონ ალექსიევ-მესხივეი (რომლის გვარის დობოლოებაც ქართული ენისადმი განსაკუთრებულ „პატივისცემის“ მაუწყებელია).

გ. ბარათოვი ნიშნის მოგებით ამბობდა ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა შესახებ:

„ეს გუნდი ჩაივლის ნახშირის მოედანზე შუა ბაზარში და იქ ჰკრეფს ნამდვლს ქართულს სიტყვებს... ზოგნი პოულობენ უფ. ჭავჭავაძის კრიტიკაში ნამდვლს ქართულს ენას და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ უგუნდი სიტყუა აზრს ძალას არ უკარგავსო. ამის დასარღვევად ვიტყუ, რომ ვის იამება ჭკვან კაცთან ლაპარაკი, თუ მას ამოზღის ნივრისა და არაყის სუნი. რაც შეეხება ნამდვილს ქართულს ენას, მას ბაზარში... ნუ დაუწყებენ ძებნას... და სხუაგან ყველგან იპოვნიან“ („ცისკარი“, 1861 წ.).

ბარბარე ჯორჯაძისა წერდა:

„...როგორ შემოურევს [ი. ჭავჭავაძე] ამ უშუშრს, მორყვნილს და ბიჭბუჭების სიტყუტბს: წირპლიანი, მორახუნე, აგანგალა-განგალა და სხუა. აი კიდევ ეს სიტყუტბი [ი. ჭავჭავაძისა]: „ისე ნაირად ჭრინებენ თავად ერისთავის ლექსები, როგორც... [აქ გამოტეგებულია ილიას სიტყვები: გაუსაპნავი საპალნის ურმის თვლები]. მე მრცხუშნიან ამ საძაგელის ლექსების [=სიტყვების] განმეორებაო“, პათეტიკურად გაიძახის პოეტი ქალი¹, რომელსაც წილად ხვდა უიმედო საქმე — ილია ჭავჭავაძისაგან დაეცვა ანტონ პირველის რიტორიკული ნორმები.

დამახასიათებელია შემდეგი სიტყვებიც:

„ოჰ, ღმერთო! რა მესმის! ქართუშლი კაცის სასმენელი იმდენად როგორ უნდა შეიცვალოს, რომ ანტონ კათალიკოზის მალალ-ნიჭიერ

¹ ეს პოეტი ქალი „სამზარეულოს წიგნით“ არა ნაკლებ ცნობილია, ვინემ თავისი პოეზიით, ეს სამზარეულოს წიგნი დაწერილია სრულიად მარტივი ენით (დაბალი სტილით), თანახმად სამი სტილის თეორიისა.

სიტყუაობას სწუნობდეს და რას სახელდობ: მის წყობილ-სიტყუაობას, მის აკროსტიხულობას და მის იამბიკოებას. ან რა გასაკვრველია, ვისაც ოლტერის (=ვოლტერის!) მოძღურების თანახმად მარხუა და მეუდაბნოება არ მოსწონს, იმას არც ანტონის ქმნულება მოეწონება!" — წერდა ზემოთური იმერელი, გორისელი წერეთელი ეფთვიმე („ცისკარი", 1862 წ., თებერვ.).

იშვიათად თუ გამოვლენილა ასე მწვავედ და აშკარად კლასობრივი თვალსაზრისი სალიტერატურო ენის განვითარების საკითხში, საერთოდ, და სტილის საკითხში, კერძოდ. საჭირო იყო დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა და დემოკრატიული რადიკალიზმი, რომ ანტონის დამცველთა საპირისპიროდ ილია ჭავჭავაძეს წამოეყენებინა დებულება: ხალხის ენაზე უნდა აიგოს სალიტერატურო ენა, **„ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკაო“** („პასუხი", გვ. 52).

„ენას კანონს თვითვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკაო" — წერდა ილია (ე. ი. ენას კი არ ვახვევთ თავზე შეთხზულ ხელოვნურ წესებს, თვით ენაში ვპოულობთ კანონებსაო). ენა იზრდება, ვითარდება, ენის კანონებიც იცვლება: „ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე. ამიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცს" (ილია). ერთი სიტყვით, ენა ისტორიული კატეგორიაა და ამიტომ ზეისტორიული წესები ენას ვერ ექნებაო.

სალიტერატურო ენის საკითხები, პირველ ყოვლისა, თვით სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით უნდა ირკვეოდეს. მაგრამ თუ ეს საკითხს ვერა წყვეტს, ცოცხალ ხალხურ მეტყველებას უნდა მივმართოთ. მართალია, ხალხის მეტყველებაში ბევრი რამაა ისეთი, რაც სალიტერატურო ენისათვის ზედმეტია ანდა უცხო. მაგრამ წიგნის მეტყველება ცოცხალ ხალხურ ენას ემყარება, სხვა საყრდენი მას არა აქვს, თუ უნდა ცოცხალი ენა იყოს. ასე უნდა გავიგოთ ილია ჭავჭავაძის დებულება: „ხალხია ენის კანონის დამდები" (და არა „ანბანთ თეორეტიკაო").

ბრძოლა სალიტერატურო ერთი ენისათვის ილია ჭავჭავაძის გამარჯვებით დამთავრდა. მეცნიერულად სწორი, საზოგადოებრივად პროგრესული, ისტორიული თვალსაზრისით საბუთიანი იყო ილია ჭავჭავაძის პოზიცია ამ ბრძოლაში.

ხელოვნურად შეთხზული მაღალი და საშუალო სტილი (თავისი ზედმეტი ასოებით *ჭ, მ, უ, ჯ, მ*) ისტორიის კუთვნილებად იქცა. მესამე სტილმა აღიდგინა დაკარგული უფლებები: სალიტერატურო ენად ეს ენა იქცა, — ბუნებრივ სასაუბრო ხალხურ მეტყველებაზე ორიენტირებული ქართული სალიტერატურო ენა, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გაწყვეტილი ხაზი გამრთელდა.

ამაშია დიდი საზოგადოებრივი და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა იმ ბრძოლისა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე

წლებში ახალი სალიტერატურო ქართულისათვის წარმოებდა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ახალი სალიტერატურო ქართული აღდგა უფლებებში. დაიწყო ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ახალი ეტაპი, რომელსაც ქმნის დიდი ქართველი მწერლების — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას — შემოქმედება.

ამ ახალ ქართულზე შეიქმნა ქართული ლიტერატურის ისეთი შედეგები, როგორცაა ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“, აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“, ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი“: სადა ენით („დაბალი სტილით“) **შესაძლებელი აღმოჩნდა კლასიკურ ლიტერატურულ ნაწარმოებთა შექმნა.**

აი, ორიოდე ნაწყვეტი:

... ოთარაანთ ქვრივმა დიდხანს ადევნა თვალი დერეფნიდან ... დიდხანს ადევნა, დიდხანს, მინამ თვალთაგან მიეფარებოდა შვილი, თითქოს ხმა-ამოუღებლად იხვეწ-იმუდარებოდა — ერთი მაინც შემომხედოსო. მაგრამ გიორგიმ უკან აღარ მოიხედა...

დედას გულმა ტეხა დაუწყო.

- უკან აღარ მოიხედა! — დაიკვნესა დედამ. — ჩემგან მიდის, თითქო ძაფიც არ იჭერს; სხვაგან მიდის, თითქო თოკით ეწვევიანო!... ჩემგან მიდის და პატარა ნაღველიც უკან არ ახედებს... სხვაგან მიდის და სიხარული მარტო წინ აყურებინებს ... განა ყველაფერი იქ არის, სულ ყველაფერი?! — დაიკვნესა ხელ-ახლად დედის გულმა.

ამის თქმაზე ოთარაანთ ქვრივმა კაბის სახელო წამოიწია და მთელი მკლავი დაჭიმული სახელოთი მოისვა თვალებზედ. თვითონაც არ იცოდა, რადა ქმნა ესა. ეს უნებურად, უცოდნელად მოუვიდა. ხელმა თავის თავად დაასწრო, მინამ გული ცრემლს წამოღვრიდა. თითქო ხელი არ დაელოდა გულს, — არ დამაგვიანოს, არ დამიშალოსო.

ოთარაანთ ქვრივს თვალში ცრემლი არ უჩანდა!... განა აქვს-კი ცრემლი ცეცხლმოკიდებულს გულსა?! (ილია ჭავჭავაძე, „ოთარაანთ ქვრივი“, 1887 წ.).

... ერთ დღეს დილიდან საღამომდე შუამთის უდაბურ ტყეში დადიოდა აბღუშაპილი. რომ ეგებ ბაში-აჩუკს ან მის ამხანაგთაგანს და ან მათ ბუდეს სადმე წავაწყდეთ, მაგრამ მოუცდა განზრახვა. დაბრუნებულს წინ ერთი შველი შეეფეთა, შეჩერდა შორიახლოს და ისე დაუწყო ყურება, თითქოს შინაურიაო. აბღუშაპილმა მშვილდ-ისარი მოიმარჯვა, სტყორცნა და გააგორა მიწაზე! რომ მივიდა ასაღებად, ნადირი უცბად წამოვარდა ზეზე და ბარბაცით გაუდგა გზას!... მონადირე მიჰყვა კვალდაკვალ. შუაგულ ტყეში თურმე ერთი დიდი მინდორი იყო და იმას მიაშურა. მონადირეც რომ მიადგა ტყის პირს და მინდორს თვალი გადაავლო, შენიშნა, რომ მეორე მხრით ტყიდან გამოვიდა ერთი ახალგაზრდა ქალი, რომლის მსგავსი ჯერ მას არა ენახა-რა; შეჩერდა და მოეფარა ხეს. დაკოდილმა შველმა პირდაპირ ქალისკენ მიმართა, შესწივლა ორჯელ-სამჯელ, მიუახლოვდა და მიადგა კალთაზე

თავი. ქალი შეკრთა, მიიხედ-მოიხედა და, რომ ვერავინ დაინახა, თეძოში გარჭობილი ისარი ამოუღო, გადააგდო, მოჰკიდა შველს ნაყარ რქებში ხელი და იქვე, ახლოს, წყაროსთან მიიყვანა, სისხლი გაბანა და წყლული ამოუწმინდა... (**აკაკი წერეთელი**, „**ბაში-აჩუკი**“, 1895-96 წ.წ.).

... პაწაწა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრძოვა: ცუდ დროს დავობლდი; ტანზედ მაცვია პატარა, მოკლებეწვიანი, თეთრის თვლებით მოწინწკლული თხელი ქათიბი. ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია, ჩლიქებიც არ გამმაგრებია. გზადაკარგული დავდივარ. აი დახედეთ ჩემს სისხლიანს ფეხსა, — ეს, წყლის დასაღვეად რომ ჩავედი ხევში, მაშინ ვიტკინე... გული მიწუხს, გული... საბრალო დედა-ჩემი!... ვერ გავსცილებივარ ტყეს. თუ გავედი ველად, უნდა ტყის პირს არ მოვსცილდე, — მაშინაც ნახევარი სიცოცხლე მაკლდება! სულ აქეთ-იქით უნდა ვიყურო, ვეფარო ხეებს, კლდეებს, ბალახებსა და კანკალით ვჭამო საჭმელი, შიშისაგან ზეზეურად უნდა დავდნე!... რას გიშავებ, ადამიანო, მითხარი, რას? რა დაგიშავა საბრალო დედა-ჩემმა, რა შეგიჭამა, რომ მოკალი და უპატრონოდ დამაგდე, დამაობლე?! ოჰ, ადამიანებო! ... არა გრძნობთ, რომ ჩვენც გვიყვარს თავისუფლება, არა გრძნობთ თქვენის შეუბრალებელის გულით, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება: ფოთლის შრიალი, წყლის ჩქრიალი, რომელსაც სულგანაბული ეგრე ხშირად ყურს ვუგდებ ხოლმე, ბალახის ბიბინი და ტყის ცხოველებთან ერთად ნავარდობა... (**ვაჟა-ფშაველა**, „**შელის ნუკრის ნაამბობი**“, 1885 წ.).

მოცემული ნაწყვეტები ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნიმუშებს წარმოგვიდგენს. ილიას მხატვრულ სიტყვას ავტორის შემოქმედებითი ინდივიდუალურობის ბეჭედი აზის. ეგვე ითქმის აკაკისა და ვაჟას შესახებაც.

და მაინც სამივე **ერთი ენით** (ახალი სალიტერატურო ქართულით) მეტყველებს. ეს მეტყველება **ორგანული განვითარებაა** იმ მდიდარი ტრადიციისა, რასაც ქართული **ხალიტერატურო ენის** მრავალსაუკუნოვანი ისტორია ქმნის. მეორე მხრით, მას ღრმად აქვს გადგმული ფესვები **ხალხურს მეტყველებაში**: ილიას, აკაკის, ვაჟას მხატვრულ სიტყვას ასაზრდოებს ქართული ხალხური ენათშემოქმედების უშრეტი წყარო.

ილიას, აკაკის, ვაჟას ენას ეუცხოება ნაძალადევი სიტყვაწარმოება და ხელოვნური სიტყვათწყობა.

თვალსაჩინო სხვაობისდა მიუხედავად ამ ახალი სალიტერატურო ქართულით მეტყველებენ: ნ. ლომოური, ეგნ. ნინოშვილი, შ. არაგვისპირელი, სოფრ. მგალობლიშვილი, ეკ. გაბაშვილი, ალ. ყაზბეგი, დავ. კლდიაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ივ. მაჩაბელი (შექსპირის თარგმანი), ივ. მაჭავარიანი („გლეხი-კაცის ისტორიის“ თარგმანი)... რ. ერისთავი, შ. მღვიმელი, ირ. ევდოშვილი, იოს. დავითაშვილი...

იაკობ გოგებაშვილის შესანიშნავი სასწავლო წიგნები „დედა-ენა“ და „ბუნების-კარი“, რომლებზედაც არა ერთმა თაობამ გაიკვეთა წერაკითხვა, კვლავ ამ ახალი სალიტერატურო ქართულის განმტკიცებას უწყობდა ხელს.

ახალი ქართული სალიტერატურო ენა **მდიდარია** და **სადა, ხალხურია** და **დახვეწილი**.

ამ **სადა, დახვეწილ ქართულს** შეუძლია არა მხოლოდ მხატვრული სახეები გამოკვეთოს. მას შესწევს ძალა საჭირო სიზუსტითა და სიღრმით გადმოსცეს მეცნიერული, პოლიტიკური და ფილოსოფიური აზრის ურთულესი მოძრაობა და ფაქიზი ნიუანსები.

თანამედროვე ლიტერატურაში მდიდრად არის წარმოდგენილი როგორც პოეზია, ისე მხატვრული პროზა, აგრეთვე დრამატურგია. ათეულობით ითვლის ქართული მწერლობა სახელმწიფოებრივ პოეტებს, პროზაიკოსებს.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა **შემდგომი განვითარებაა** ილიას, აკაკის, ვაჟას ენისა: ესაა ჩვენი დროის ახალი ქართული სალიტერატურო ენა. თვალსაჩინო ცვლილებები განიცადა **თანამედროვე** ქართულმა სალიტერატურო ენამ. განსაკუთრებით იგრძნობა ეს ლექსიკაში. ახალი ყოფა-ცხოვრება პირველ ყოვლისა ლექსიკაში პოვებს უკუფენას. ლექსიკის გამდიდრებას იწვევს აგრეთვე სხვადასხვა სამეცნიერო დარგების ჩამოყალიბება ქართულ ენაზე. ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა. დღეს სალიტერატურო ქართული ენა სახელმწიფოს ზრუნვის საგანს წარმოადგენს. მუდმივ სახელმწიფო კომისიას ევალება უზრუნველყოს ქართული სალიტერატურო ენის მონოლითურობა. ქართული სიტყვის ოსტატების ცდაც იქითკენ არის მიმართული, რომ ქართული ენა იყოს მდიდარიც, დახვეწილიც, ხალხურიც (ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით). და ეს ბუნებრივიცაა.

II. ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება

საკითხი ასე დგას: რა შეიძლება მივიჩნიოთ დამახასიათებლად ქართული ენის **ბგერითი სისტემისათვის**, ქართული **სიტყვისა** და **შესიტყვების (წინადადების)** აგებულებისათვის ზოგადი ენათმეცნიერული თვალსაზრისით?

ბგერათა მიხედვით ენები ერთმანეთისაგან თითქოს ყველაზე ნაკლებ განსხვავდება: ბგერათა დიდი წილი, ერთი შეხედვით, მეორდება სხვადასხვა ენაში. ნამდვილად ეს ასე არ არის: სავსებით ერთნაირი ბგერები სხვადასხვა ენაში არა გვაქვს (თვით ისეთი ხმოვანიც კი, როგორცაა ა, ყველგან ერთნაირად არ წარმოითქმის). ბგერათა სისტემაც განსხვავებულია.

კიდევ მეტ სხვაობას იძლევა სიტყვისა და წინადადების აგებულება, რასაც მორფოლოგია-სინტაქსი განიხილავს. ამ მხრივ ენები რომ ერთნაირი იყოს, ერთი ენის გრამატიკით მეორე ენის შესწავლა მოხერხდებოდა, უკეთ რომ ვთქვათ: ერთი გრამატიკა იკმარებდა ყველა ენისათვის, ცალკე შესასწავლი იქნებოდა მხოლოდ ლექსიკა (ამა თუ იმ ენის ლექსიკური მარაგი). საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს ასე არ არის: ერთი ენის გრამატიკის მეშვეობით მეორე ენის გაცნობა ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია ერთი ქალაქის გეგმის მიხედვით მეორე ქალაქის ადგილმდებარეობის, უბნების, ქუჩების... გარკვევა.

აქ ჩვენ არ გვაინტერესებს ქართული ენის ფონეტიკისა და მორფოლოგია-სინტაქსის კონკრეტული შინაარსის გადმოცემა: ეს არაა ზოგადი დახასიათების საქმე (მორფოლოგიის კონკრეტულ ფაქტებზე შეჩერება ცალკე მოგვიწევს). აქ აღვნიშნავთ მხოლოდ **ტიპოლოგიურად დამახასიათებელ** ფაქტებს.

ქართული ენის ბგერითი სისტემის დამახასიათებელია:

1. თანხმოვანთა სიმდიდრე-მრავალფეროვნება და ხმოვანთა სიმარტივე: ოცდაცამეტი ბგერიდან ოცდარვა თანხმოვანია, ხმოვანი მხოლოდ ხუთია: ყველა — მარტივი (**ა, ე, ი, ო, უ**). ქართულმა არ იცის არც გრძელი (**ა, ე, ი...**) და არც უმლაუტიანი ხმოვნები (**ა, ო, უ**).

2. ქართული ენის თანხმოვნები ქმნიან წყვილ ეულებსა (**ს-ზ, შ-ჟ, მ-ნ, ლ-რ...**) და სამეულებს (**ბ-პ-ფ, დ-ტ-თ, ძ-წ-ც, ჯ-ჭ-ჩ, გ-კ-ქ...**) (**გ. ახვლედიანი**).

ყოველი სამეული შეიცავს ერთნაირი გვარეობის სამ წევრს: მჟღერს (**ბ, დ, ძ, ჯ, გ**), მკვეთრს (**ბ, ტ, წ, ჭ, კ**), ფშვინვიერს (**ფ, თ, ც, ჩ, ქ**). სხვადასხვა სამეულის წევრი მჟღერი, მკვეთრი, ფშვინვიერი იწარმოება სხვადასხვა ადგილს (შდრ. ბაგისმიერი **ბ** და წინაენისმიერი **დ**), ანდა განსხვავდება სიმარტივე-სირთულით (შდრ. წინაენისმიერი სადა **ტ** და წინაენისმიერი რთული **წ**).

მკვეთრების (**ბ, ტ, წ, ჰ, კ, ყ**) ქონა ნიშანდობლივია **იბერიულ-კავკასიური ენების** ბგერითი სისტემისათვის საერთოდ. მუღერები (**ბ, დ, ძ, ჰ, გ**) და ფშვინვიერები (**ფ, თ, ც, ჩ, ქ**) იბერიულ-კავკასიურ ენათა გარდა სხვა ენებშიც ჩვეულებრივია (მაგრამ სამეულის წევრი **ბ, დ, გ** განსხვავდება წყვილულის წევრ **ბ, დ, გ**-საგან; შდრ. ქართ. **ბ, დ** და თურქ. **ბ, დ**).

3. ქართულ სიტყვაში თანხმოვანი და ხმოვანი შეიძლება ერთურთს მოსდევდეს რიგ-რიგად (**მ-ე-გ-ო-ბ-ა-რ-ი, ნ-ა-თ-ე-ს-ა-ვ-ი, კ-ა-ც-ი, დ-ე-დ-ა, ნ-ა-თ-ე-ლ-ი...**); მაგრამ შეიძლება თანხმოვნები ერთად იყრიდეს თავს — ორი, სამი, ოთხი და მეტიც (**ძმა, ამხანაგი, წრე, დღე, ტყე, სქელი... ბრძენი, წრფელი, გრძელი, ტკბილი... ბრტყელი, ფხვნილი, ღრტვინვა, გრგვინვა, ფშვინვა, მთქნარება, თქვლევა, ვარსკვლავი**).

4. თანხმოვანთა თავის მოყრას ხშირად იწვევს ფუძისეული ხმოვნის ამოვარდნა აფიქსის დართვისას (**მეგობარი — მეგობრის — მეგობრები... ჭამა — საჭმელი... სენი — სნეული... სქელი — სქლად... გრძელი — გრძლად... ბრტყელი — ბრტყლად... მრგვალი — მრგვლად**).

ფუძისეული ხმოვნის ამოვარდნის გამო ორმა თანხმოვანმა მოიყარა თავი იქ, სადაც ეს არა გვქონდა (**მეგობრები, სნეული, საჭმელი. არ ითქმის: მეგობარები, სენეული, საჭამელი**); თითო თანხმოვანი დაემატა იქ, სადაც უკვე გვქონდა ორი, სამი, ოთხი თანხმოვანი: სამი, ოთხი, ხუთი თანხმოვანი იყრის თავს: **სქლად, გრძლად, ბრტყლად, მრგვლად** და მაინც **არ ითქმის: სქელად, გრძელად, ბრტყელად, მრგვლად**).

5. თანხმოვანთა ჯგუფი ჩნდება, როცა თავსართები მხოლოდ თანხმოვნისაგან (ან თანხმოვნებისაგან) შედგება და ფუძეც თანხმოვნით იწყება; ასეთი რამ ჩვეულებრივია ზმნებში; იშვიათად სახელებშიც გვაქვს (სახელებში: შდრ. რუისი — მროველი, ტბეთი — მტბეგარი).

ზმნებში: **მ-ეხმარება** შდრ. **მ-კითხავს, მ-ხურს, მ-შველის, მ-თხოვს, მ-წყურია, მ-ზრდის...**

გგ-ეხმარება — გგ-კითხავს, გგ-ხურს, გგ-შველის, გგ-თხოვს, გგ-წყურია, გგ-ზრდის, გგ-ხვდება, გგ-წვდება, გგ-წვრთნის.

გგ- თავსართის დამატებამ ერთად მოუყარა თავი სამ, ოთხ, ხუთ..., შვიდ თანხმოვანს. თანხმოვანთა ასეთ ჯგუფებს ენა იგულებს იმიტომ, რომ მას ქმნის წინსართი, ე. ი. გარკვეული დანიშნულების მქონე ელემენტი.

6. ორი ერთნაირი თანხმოვანი ან ხმოვანი ქართული სიტყვის **ფუძეში** შეუძლებელია.

თუ სიტყვა უცხო წარმომავლობისაა, ორი თანხმოვნის ნაცვლად ერთილა გვრჩება: პრესა (და არა: პრესსა, შდრ. пресса, ფრანგ.

presse), პროგრამა (და არა: პროგრამმა, შდრ. программа), კომისია (და არა: კომისსია, შდრ. комиссия), გრამატიკა (და არა: გრამმატიკა, შდრ. грамматика)¹.

უცხო წარმომავლობის სიტყვებში ორი ერთნაირი ხმოვანი არ მარტივდება, რჩება: მასლაათი, ჯამაათი... გეენია... საარის (ოლქი)... მასი (მდინარე)... ტრანსვაალი...

7. ორი ერთნაირი თანხმოვანი ქართულ სიტყვაში თავს იყრის და რჩება მაშინ, თუ ერთი მათგანი ფუძისეულია, მეორე — აფიქსისეული (თავსართისა ან ბოლოსართისა): **მ-მართებს** (შდრ. გ-მართებს), **მ-მარხავს** (შდრ. გ-მარხავს), **მ-მოსავს** (შდრ. გ-მოსავს)... **მ-მართველი** (შდრ. სამართავი)... **გ-გავს** (შდრ. მ-გავს), **გ-გონია** (შდრ. მ-გონია)... **გ-ვარდებით** (შდრ. ვარდებიან).

გემ-მა (შდრ. გემ-ი), **ნამ-მა** (შდრ. ნამ-ი), **თემ-მა** (შდრ. თემ-ი), **ჟამ-მა** (შდრ. ჟამ-ი), **ნათქვამ-მა** (შდრ. ნათქვამი). ყველგან ერთვის მოთხრობითი ბრუნვის ბოლოსართი **-მა**, სახელის ფუძეც **-მ** თანხმოვნით ბოლოვდება.

წეს-ხა (შდრ. წეს-ი), **ფას-ხა** (შდრ. ფას-ი), **დას-ხა** (შდრ. დას-ი), **სადგის-ხა** (შდრ. სადგის-ი), **სასმის-ხა** (შდრ. სასმის-ი) — ყველგან ერთი **-ხ** მიცემითის ნიშანია, მეორე, წინამავალი **ხ**, ფუძისეულია.

8. ფუძეში თანხმოვანთა თავის მოყრის ერთ-ერთი წყაროა ჰარმონიული კომპლექსების შექმნისადმი მიდრეკილება. ქართულისათვის ბუნებრივია ჰარმონიული კომპლექსების დეცესიური წყება: პირველი წევრი წინაენისმიერია, მეორე — უკანაენისმიერი (გ. ახვლედიანი).

ამგვარი კომპლექსების ნიმუშებია:

ტკ: ტკივილი, ტკეჩი, ტკვერა, ტკიპი, ტკეპნა, ტკბილი...

ტყ: ტყავი, ტყე, ტყეპა, ტყვე, ტყვია, ტყორცნა, ი-ტყვის (სი-ტყვა-), ტყუბი, ტყუილი...

წკ: წკარუნი, წკებლა, წკიპურტი, წკრიალი, მწკრივი, პწკარი, პწკენს...

წყ: წყალი, წყრომა, წყევლა, წყვილი, წყნარი, წყრთა, წყვდიადი...

ჭკ: ჭკნება, ჭკუა...

ჭყ: ჭყივილი, ჭყინტი, თოვლ-ჭყაპი, აჭყეტს, ჭყლეთა...

ცქ: ცქერა, ცქვიტი, ცქრიალი...

ცხ: ცხადი, ცხარე, ცხელი, ცხემლა, ცხვირი, ცხენი, ცხოველი, ცხვარი, ცხიმი, ცხრა, ცხრილი, ცხრება...

¹ საყურადღებოა, რომ რუსულშიც არის ტენდენცია შეთვისებულ სიტყვებში ორი თანხმოვანი გამარტივდეს: ახლა комиссия იწერება, коммиссия უნდა გვქონოდა (ეს წიგნის მეტყველებას ახასიათებს). რუსულში ზოგჯერ ცდილობენ ყველგან გამარტოვონ ეს კომპლექსები, ორი თანხმოვანი შეცვალონ ერთით.

ჩქ: ჩქარი, ჩქერი, ჩქმალავს, ჩქეფს...

ჩხ: ჩხართვი, ჩხავილი, ჩხვლეთა, ჩხუბი...

9. ქართულისათვის ბუნებრივია **ტა, ტა, წა, წა, ჰა, ჰა...** (მაგრამ არა გვაქვს: **კტ, ვტ, კწ, ვწ, კჰ, ვჰ...**). ბუნებრივ კომპლექსებში მკვეთრს მკვეთრი ეწყობა, მყლერს — მყლერი... თუ ფონეტიკური ცვლილებების შედეგად ეს წესი დაირღვა და კომპლექსისათვის შეუფერებელი თანხმომგნები აღმოჩნდა ერთმანეთის გვერდით, ბუნებრივი კომპლექსი აღდგება ერთ-ერთი თანხმომგნის შეცვლით: ასე, მაგალ.: მოქმედებ. **ტხ**-ს, გა-**ტხ**-ა, ვნებ. უნდა ყოფილიყო: **ტხდ**-ება, გა-**ტხდ**-ა, მაგრამ უჩვეულო კომპლექსი **ტხ** შეიცვალა ბუნებრივით და მივიღეთ: **ტყდ**-ება, გა**ტყდ**-ა (ა. შანიძე).

10. ახალი ქართულისათვის თანაბრად ბუნებრივია: **სხ** და **სხ** (სხვა — ხსნის), **შხ** და **ხშ** (შხული — ხშავს); **ცხ**-ს გვერდით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება **ხც** (ცხვარი — მხცოვანი). ძველ ქართულში ბუნებრივი იყო: **სხ, შხ, ცხ...**, მაგრამ: **სხ, ხშ, ხც** შეუძლებელი იყო: ამათ აღვიღს **კხ, კშ, კც** კომპლექსები იჭერდა: ჯსნა, ჯშვა, მჯცე (ვ. თოფური).

11. თანხმომგნთა ჰარმონიულ კომპლექსებში მეორე წევრი, უკანაენისმიერი თანხმომგანი, ფონეტიკურადაა განვითარებული: **წყალ**-ი მიღებულია წალ-ისაგან.

უფრო იშვიათად — კომპლექსის მეორე წევრი, უკანაენისმიერი თანხმომგანი თავიდანვე იყო ფუძეში და მას დაერთო თავსართი, რომელიც შემდეგ ფუძეს შეუხორცდა: **დ-გას...** (ვ. თოფური). ტყემალ-ი მიღებულია **დ-ყემალ**-ისაგან; ორსავე შემთხვევაში **დ**- აფიქსია, სახელდობრ, ნივთის გრამატიკული კლასის ნიშანი, ამჟამად უფუნქციო. ჰარმონიული კომპლექსი ხმომგნის დაკარგვის ნიადაგზედაც ჩნდება (მაგალ., გა**ტყ**და).

12. თანხმომგნთა თავის მოყრა, როგორც წესი, **ფუძის** თავში და შიგნით გვხვდება (და არა — **ფუძის** ბოლოს!).

თანხმომგნიანმა ბოლოსართმა შეიძლება ორი (იშვიათად — სამი!) თანხმომგანი შეგვძინოს **ხიტყვის** ბოლოს (და არა — ფუძის ბოლოს!): გრე**ხ-ხ**, გყა**გ-თ**, აშენ**ბ-თ**, გაქ**გ-თ**, ქვეყნ**ბ-ხ**...

13. მახვილი ქართულში სუსტია. მახვილიანი ხმომგანი მკვეთრად არ გამოირჩევა უმახვილოსაგან, იგი საძებარია სიტყვაში (შდრ. ქართ. კოლექტივი და რუს. КОЛЛЕКТИВ).

ორ- და სამმარცვლიან სიტყვებში მახვილი დასაწყისიდან პირველ მარცვალზე მოდის, ოთხსა და მეტ მარცვლიანებში — ორი მარცვალი

ჩანს მახვილიანი: თავიდან პირველი და ბოლოდან — მესამე: წიგნი ... კედელი ... მწერბარი ... სწავლებელი ... დაწესებულება ... (სიტყვაში ორი მახვილიანი მარცვლის საკითხი საბოლოოდ გამორკვეული არაა).

ისტორიულად ქართულში სხვაგვარი ვითარება გვქონდა: არის უტყუარი ნიშანი იმისა, რომ ზოგ **ორმარცვლიან** სიტყვაში მახვილი პირველ მარცვალზე (თავიდან) იყო, ზოგში — მეორეზე (ბოლო მარცვალზე):

ჩანს, მაგრამ ძვ. ქართ. მიჩნს (მიღებულია: მიჩანს-იდან)

დვას, მაგრამ ძვ. ქართ. უდვს („ : უდვას-იდან)

ხამს (ძვ. ქართ. ვამს „საჭიროა“), მაგრამ—მიხმს („ : მიხამს-იდან).

აშკარაა: მიჩნს, უდვს, უხმს (უქმს) არ გვექნებოდა, რომ პირველ მარცვალზე ძლიერი მახვილი არ ყოფილიყო.

მეორე მხრივ:

კვლან მიღებულია: კლვა-საგან; ეს კიდეც — **კლავ-ა-საგან** (შდრ. კლავ-ს — მო-კალ!)

თქმან „ თქვმა-საგან; ეს კიდეც — **თქვამ-ა-საგან** (შდრ. ითქვამს სულს)

ძმა „ **ძამა-საგან** (შდრ. ძამია! ძამიკო!)

ამგვარ სიტყვებში, ცხადია, ძლიერი მახვილი ბოლო მარცვალზე იყო: წინა მარცვალს მან დაუკარგა ხმოვანი. ამჟამად ორმარცვლიან სიტყვაში მახვილიანია ბოლოდან მეორე მარცვალი (თავიდან — პირველი): ქალი, კაცი, ბედი, ძალა. ზემოხსენებულ სიტყვებშიც ასე რომ ყოფილიყო, გვექნებოდა კლავა, თქვამა, ძამა და არა: კვლა, თქმა, ძმა...

ქართულში დღემდე შემოგვრჩა იმის კვალი, რომ ძველი ქართულის ზოგ კილოში ძლიერი დინამიკური მახვილის ზეგავლენით ფუძე ხმოვანს კარგავდა, იკუმშებოდა, სხვა კილოში იგივე ფუძე ისეთსავე ფონეტიკურ ვითარებაში არ იკუმშებოდა: მახვილი სხვაგვარი იყო. ძვ. ქართულში იხმარებოდა ძალ-ი (ახლანდელი ძალა-ს ნაცვლად; ეს ძალ-ი შემოგვრჩა მრავლობითში — ძალთა განწყობილება, და არა: ძალათა განწყობილება).

ძალ-ი: **ძალ-იან**, მაგრამ: **ძლ-იერ** (მიღებულია: **ძალ-იერ-ისაგან**)

ძალ-ით, „ **ძლ-ივ-ს** („ : **ძალ-ივ-ისაგან**).

14. ქართულში სიტყვა ბევრგვარად იცვლება. ეს ცვლილებები ან იმავე სიტყვის **ახალ ფორმებს** იძლევა (ძმა, ძმამ, ძმას, ძმის, ძმით, ძმად ... ვზრდი, ზრდი, ზრდის; მზრდის, გვზრდის, მზრდი, გზრდი; გზრდის, გზრდით...), ანდა — **ახალ ფუძეებს**, იმავე ძირის **ახალ სიტყვებს** ქმნის (ძმური, ძმობა, მოძმე, უძმო, სამძო, ძმობილი ... იზრდის, უზრდის, აზრდევინებს, იზრდება, ეზრდება...).

ქართულს ორივე სახის ცვლის დიდი შესაძლებლობა აქვს (ქართველური ენების გარდა არც ერთ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენას არ

შეუძლია **სახელის**¹ ფუძისაგან ისეთი ნაირნაირი ახალი ფუძეები აწარმოოს, როგორც ქართულში გვაქვს).

15. სიტყვაში გამოყენებულია თავსართებიცა და ბოლოსართებიც. ქართული ენის მორფოლოგიას პრეფიქსაცია და სუფიქსაცია ახასიათებს (ინფიქსები ფონეტიკურ ნიადაგზეა ჩნდება): თავსართოვანი წარმოება (პრეფიქსაცია) სჭარბობს ბოლოსართოვან წარმოებას (სუფიქსაციას) ზმნის უღვლილებლაში, ნაწარმოებ სახელებში; სუფიქსაცია გვაქვს სახელთა ბრუნებაში (იხ. ქვევით, თავი III).

16. სიტყვა აგებულია **აგლუტინაციის** პრინციპის მიხედვით: ყოველ გრამატიკულ მნიშვნელობას ცალკე აფიქსი გადმოგვცემს, ყოველ აფიქსს გარკვეული ფუნქცია აქვს (სიტყვის დაშლა ადვილია). ასე, მაგალ., სახელში **ბაღები** — ბაღ- ფუძეა (მხოლოდობითი რიცხვისა), **-ებ-** მრავლობით რიცხვს აღნიშნავს, **-ი** სახელობითი ბრუნვის ფორმანტია; ამგვარად, **ბაღ-ებ-ი** ორ სუფიქსს შეიცავს და თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება აქვს: ორი სუფიქსი — ორი ფუნქცია. ზმნაში **გაშენდა გა-** მოქმედების სრულ სახეზე მიუთითებს, **-შენ-** მარტივი ფუძეა (ძირია), **-დ-** ვნებითი გვარის სუფიქსია (ფონეტიკურად გამარტივებული **-ედ-**), **-ა** სუბიექტის მესამე პირის ნიშანია მხოლოდობითი რიცხვისა (გარკვეული ტიპის ზმნებისთვის ნამყო ძირითადადში, ნამყო უსრულში და აწმყოშიც). „გა-შენ-დ-ა“-ში ძირეული მასალის გარდა ერთი წინდებული და ორი ბოლოსართი გამოიყოფა და ყველა სათანადო ფუნქციითაა აღჭურვილი.

ასეთ პრინციპს ემყარება ქართულში სიტყვის აგებულება. **სადაც ეს პრინციპი დარღვეულია, ყველგან მეორეულ მოვლენასთან გვაქვს საქმე:** ხსენებული პრინციპი გვიკარნახებს, რა ვითარებაც უნდა გვქონოდა, რა მიმართულებითაც უნდა ვეძებოთ მოვლენის ახსნა.

იმ შემთხვევაში, როცა ეს პრინციპი ირღვევა, ორი რამაა შესაძლებელი: 1. აფიქსი ერთია, ფუნქცია — ერთზე მეტი; 2. აფიქსი ორია, ფუნქცია — ერთი.

პირველი შესაძლებლობა იშვიათია: მუშა-თა — მრავლობითი რიცხვია, მასთან ერთ-ერთი ბრუნვისა (ან მოთხრობითის, ან ნათესაობითისა და ან მიცემითისა). **-თა** ბოლოსართს უხდება რიცხვისა და ბრუნვის აღნიშვნა. ასევე ზმნაში **აშენებ-ენ**, **აშენ-ეს** თითო სუფიქსი გვაქვს: **-ენ**, **-ეს**; აღნიშნულია-კი ორი რამ: რიცხვი (მრავლობითი) და პირი (მესამე). მოვლენა მეორეულია: ზმნაშიც, სახელშიც სუფიქსებს (**-თა**, **-ენ**, **-ეს**) თითო ფუნქცია ჰქონდა: მრავლობით რიცხვს აღნიშნავდნენ (ბრუნვისა და პირის მაჩვენებლად შემდეგლა იქცნენ).

¹ ზმნის ფუძისაგან კი ახალი ლექსიკური ერთეულები სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც ნაირგვარად იწარმოება.

მეორე შესაძლებლობა: **ორი აფიქსი — ერთი ფუნქცია**. საამისოდ ფაქტებს ქართული მორფოლოგია უზვად გვაწვდის ფუძეთა წარმოებისას:

მე-ნავ-ე, მე-ბალ-ე, მე-კარ-ე, მე-საქონლ-ე, მე-ვენახ-ე... სა-ქათმ-ე, სა-ვენახ-ე... სა-საქონლ-ო... მ-შენებ-ელ-ი, მ-ასწავლებ-ელ-ი, მ-ჭრ-ელ-ი, მ-ხენ-ელ-ი, მ-თესვ-ელ-ი... სა-სწავლებ-ელ-ი, სა-ჭრ-ელ-ი, სა-ხენ-ელ-ი, სა-შლ-ელ-ი... ხ-ი-რბი-ლ-ი, ხ-ი-ტყვ-ა, ხ-ი-ხარ-ულ-ი... ფუნქცია ერთია, აფიქსი-კი — ორი: ერთი თავში, — მეორე — ბოლოში...

ქართული მორფოლოგიის ძირითადი პრინციპი გვიკარნახებს დავასკვნათ: ამგვარ წარმოებაშიც **ორ აფიქსს ორი ფუნქცია უნდა გადმოეცა;** თუ დღეს მხოლოდ ერთი ჩანს, ეს იმიტომ, რომ ერთი ფუნქცია დაკარგულია (სათანადო მორფოლოგიური კატეგორიის მოშლის გამო). ქართული ენის ისტორია ასეთ დასკვნას ადასტურებს.

17. სახელი მარტივია, ზმნა შეუდარებლად რთული.

18. ბრუნვათა სისტემა კარგადაა განვითარებული: გვაქვს ექვსი ბრუნვა. ბრუნვათა შორის არა ჩანს ბრალდებითი (აკუზატივი, винительный); საამისოდ ქართული ენა იყენებს მიცემითსა და სახელობითს: მხატვარი ხატავს სურათს — მხატვარმა დახატა სურათი (შდრ. художник пишет картину, художник написал картину).

ბრუნვათა შორის გამოიყოფა მოთხრობითი (მხატვარმა დახატა... ამხანაგმა მომცა... მასწავლებელმა თქვა). ბრალდებითი ბრუნვა არა გვაქვს არც ერთ ქართველურ ენაში და, საერთოდ, არც ერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში, გარდა უღურისა.¹ მოთხრობითი ბრუნვა გვაქვს ყველა ქართველურ ენაში (და, საერთოდ, ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში, რომელსაც ბრუნება მოეპოვება, — თუმცა ყველგან ისეთი ფუნქცია არა აქვს, როგორც ქართულში). მოთხრობითი ბრუნვა გვაქვს ბასკურ ენაშიც. ქართულის მსგავსად ბასკურშიც მოთხრობითი დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ერთეულად გვევლინება.

ბრალდებითი ბრუნვის უქონლობა და მოთხრობითი ბრუნვის ქონა ქართულის (და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიურ ენათა) მორფოლოგიის ნიშანდობლივი ფაქტია: **ბრუნების ეს თავისებურება შეპირობებულია უღვლილების თავისებურებით, — კერძოდ, გარდამავალი ზმნის თავისებურებით.**

19. ბრუნების პროცესი მარტივია. ბრუნების სიმარტივეს, ის გარემოება იწვევს, რომ ბრუნვის ნიშნებად ყველა სახელს ერთი და იგივე

¹ უღურშიც ეს ბრუნვა (ბრალდებითი) მეორეულია, — მიცემითის ვარიანტია (ვ. ფ. ა. ნ. ვ. ი. ძ. ე.)

ბოლოსართი მოუდის; გარდა ამისა, რაც მხოლოდობითში გვაქვს, იგივე მეორდება მრავლობითში (მხოლ. ამხანაგ-**ი** — მრავლ. ამხანაგებ-**ი**; ამხანაგ-**მა** — ამხანაგებ-**მა**; ამხანაგ-**ს** — ამხანაგებ-**ს**; ამხანაგ-**ის** — ამხანაგებ-**ის**; შდრ. რუს. товарищ-товарищ-и; товарищ-у-товарищ-ам; товарищ-а-товарищ-ей...).

ერთი ბრუნების ფარგლებში ნაირსახეობას ვიღებთ ფონეტიკური პროცესების გამო: მორფოლოგიური პროცესი ერთია (დაწვრილებით — იხ. თავი III).

20. სახელი დაირთავს თანდებულებს (ამხანაგისა-**გან**, ამხანაგისა-**თგის**, ამხანაგისა-**კენ**, ამხანაგ-**ზე**, ამხანაგ-**ში**). ეს თანდებულები ახალ ქართულში შეერწყმის სახელს ამა თუ იმ ბრუნვაში და ქმნის ე. წ. თანდებულიან ბრუნვებს (შდრ. რუსული, სადაც წინდებულები გვაქვს და სახელს, ცხადია, არ შეერწყმის: ამხანაგისა-**გან** от товарища, ამხანაგისა-**თგის** — для товарища...)¹.

თანდებულის შერწყმა ბრუნვასთან იწვევს ბრუნვის ფორმანტში გარკვეულ ცვლილებებს (დაწვრილებით—იხ. თავი III).

21. ქართულ ზმნას რიგი მორფოლოგიური კატეგორია აქვს: პირი, რიცხვი, დრო, კილო, ქცევა, გვარი (დაწვრილებით — იხ. თავი III).

აქ გამოსაყოფია პირისა და გვარის საკითხი: ტიპოლოგიური დამახასიათებელი მოვლენები პირისა და გვარის კატეგორიას უკავშირდება.

22. ქართულ ზმნაში შეიძლება იყოს აღნიშნული მხოლოდ სუბიექტის პირი — **უღვლილებაც სუბიექტური** გვექნება (ვარ, ხარ, არის... ვდგები, დგები, დგება...); შეიძლება აღინიშნოს სუბიექტისა და ობიექტის პირი — სათანადო **უღვლილებაც სუბიექტურ-ობიექტური** იქნება (ვზრდი, ზრდი, ზრდის... მზრდის, გზრდის... მზრდი, გზრდი...).

სუბიექტურ-ობიექტურ უღვლილებაში ობიექტს იმდენივე უფლება აქვს, რამდენიც — სუბიექტს; გარკვეულ შემთხვევაში — მეტიც: **ობიექტი უფრო ჩანს ზმნაში, ვიდრე სუბიექტი** (ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი).

ობიექტის აღნიშვნა ზმნაში ძირიანად ცვლის ქვემდებარე-დამატების სინტაქსური ძალისა და მნიშვნელობის შეფარდებას წინადადებაში (იხ. ქვემოთ, აქვე).

ობიექტის აღნიშვნა ზმნაში დამახასიათებელია მეტ-ნაკლებად ყველა იბერიულ-კავკასიური ზმნისა, სადაც კი სუბიექტი აღინიშნება.

¹ ცალკეულ შემთხვევაში წინდებული რუსულშიც შეიძლება შეერწყოს სახელს, მაგრამ ეს უკვე სახელი არ იქნება, არამედ — ზმნისართი: впрок, вдали, сбоку...

23. მოქმედებითი და ვნებითი გვარები ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში ნათლად გარჩეულია და დაპირისპირებული (ააშენა — აშენდა... დაასრულა — დასრულდა). ეს დაპირისპირება მკვეთრია და თანმიმდევრული აწმყოს წყებაში; ნამყო ძირითადის წყებაში დარჩენილია კვალი იმ მდგომარეობისა, როცა მოქმედებითი და ვნებითი არ იყო დიფერენცირებული.

იბერიულ-კავკასიურ ენებში მოქმედებითისა და ვნებითის ასეთი სისტემური გარჩევა მხოლოდ ქართველურმა ენებმა იცის.

24. ქართულში არა ჩანს გრამატიკული სქესები — არც სახელში და არც ზმნაში. რეალური სქესი აღინიშნება საგანგებო სახელეებით (მამალი, დედალი; ხვალი, ძუ; ხარი, ფური: ხარ-ირემი... ძუ ლომი...).

ქართულმა დღემდე შემოგვინახა ადამიანისა და ნივთის სემასიოლოგიური კატეგორიები: კითხვა **ვინ?** მხოლოდ ადამიანს ეხება (**ვინ?** დედა, მამა, და, ძმა, ამხანაგი, მეგობარი, მასწავლებელი, მუშა, ჯარისკაცი, მეცნიერი...); კითხვა **რა?** გულისხმობს სხვას ყველაფერს — ცოცხალსაც და არაცოცხალსაც (**რა?** ხარი, ძროხა, ცხენი... ხე, ქვა, ჰაერი, წყალი... ფიქრი, გრძნობა, გონება, სიტყვა...).

შესაბამისად გაირჩევა ორი სემასოლოგიური კატეგორია — ადამიანისა და ნივთისა, **ვინ-კატეგორია** და **რა-კატეგორია**.

მორფოლოგიური საშუალებით — თავსართით ან ბოლოსართით — ეს კატეგორიები გადმოიცემა მხოლოდ სადაურობის აღმნიშვნელ სიტყვებში: ვინ? კახელი, რა? კახური (კახელი მევენახე — კახური ღვინო): **-ელ-** ადამიანისთვისაა ნახმარი, **-ური-** — ნივთისათვის.

ძველად კი ეს კატეგორიები სახელშიცა და ზმნაშიც გარჩეული იყო. საამისოდ ენა თავსართებს იყენებდა. ადამიანის კატეგორიის თავსართს წარმოადგენდა **მ-**, ნივთისას **ხ-** — ძირითადად (**დ-**, **ნ-**, **რ-**, **ლ-**; **ბ-** — სპორადულად); **მ-**ეგვიპტელ-ი (ეგვიპტის მცხოვრები), **მ-**ეგრელი (ეგრისის მკვიდრი), **მ-**როველი (=რუისელი), **მ-**ტბევარი (=ტბეთელი), **მ-**აჩაბელი (=აჩაბეთელი)... ყველა ეს სახელი ადამიანის კატეგორიის **მ-** თავსართს შეიცავს.

სახელებში: **რძე** (||ძე. ქართ. ხძე), **ხისხლი**, **შეშა** (←ხეშა), **ცეცხლი**, (←ხეცხლი)... **ნაპირი**, **ნაწილი**... **დათვი**... **ბატკანი**... ნივთის კატეგორიის თავსართები გვაქვს (**რ-**, **ხ-**, **ნ-**, **დ-**, **ბ-**).

ამჟამად არავინ ამბობს მეგვიპტელ-ს: ეგვიპტის მცხოვრები „ეგვიპტელია“. მეგრელში **მ-** დღესაც გვაქვს, მაგრამ თავსართად არავის მიაჩნია: ფუძისეულ მასალად გვეჩვენება. ფუძისეულ კუთვნილებად ვთვლით რძე-ში **რ-**ს, სისხლ-ში — **ხ-**ს, დათვ-ში — **დ-**ს, ბატკან-ში **ბ-**ს და ასე შემდეგ.

სხვაგან კიდევ გრამატიკული კლასის ნიშნები ფუძეს არ შეხორცეზია, თავსართად მიგვაჩნია, მაგრამ უფუნქციო გამოდის: თავსართ-ბო-

ლოსართოვანი წარმოებააო, ვამბობთ, და ორ აფიქსს — თავსართსა და ბოლოსართს — ერთი დანიშნულებივად ვსახავთ. ასეთია: პროფესიის აღმნიშვნელი წარმოება, მიმღობა (აწმყოსი და მყოფადისა), ზოგი მასდარი.

ნამდვილად-კი თავსართები აქ გრამატიკულ კლასზე მიუთითებდნენ.

შდრ. მეხრე (=ვინც ხარებს ერეკება) და ხახრე (=რითაც ხარებს ერეკებიან).

შერწყული (=ვისაც წყალი მოაქვს) და ხარწყული (=რითაც წყალი მოაქვთ...).

შკერავი (=ვინც კერავს) და ხაკერავი (=რასაც კერავენ, რაც უნდა შეიკეროს).

შათხოვარი (=ვინც თხოულობს, მათხოვრობს), და ხათხოვარი (=რასაც თხოულობენ)...

სრულიად ბუნებრივია, რომ მ- თავსართიანი წარმოება მოქმედებითი გვარის ფუნქციით აღიჭურვა, ხ- თავსართიანი-კი — ვნებითი გვარისად წარმოგვიდგა.

ამგვარად, ქართულში გრამატიკული **სქესების** გარჩევა არც ახლა არის და არც ოდესმე ყოფილა. გრამატიკულ კლასებად — ადამიანად, ნივთად — დახარისხება ახლა მხოლოდ სადაურობის აღმნიშვნელ სახელებში იგრძნობა ანდა სემასიოლოგიურ კატეგორიას ქმნის (**ვინ? რა?** ჯგუფები), ძველად-კი — ზმნაშიც და სახელშიც, ფორმაცვალებაში და სიტყვაწარმოებაში, თანამიმდევრულად გაირჩეოდა, ამ კატეგორიათა გარჩევა მთელ მორფოლოგიურ სისტემას გაჰყვებოდა, სიტყვა (ზმნა იქნებოდა ის თუ სახელი) ხაზგასმით უჩვენებდა, რაზეა ლაპარაკი, — ადამიანზე თუ ნივთად მიჩნეულ რამეზე.

25. მსაზღვრელი ახალ ქართულში, როგორც წესი, წინ უსწრებს საზღვრულს: მალალი მთა, ღრმა მდინარე, ქვის სახლი (მსაზღვრელის ბრუნების შესახებ იხ. თავი III).

26. წინადადებაში ზმნა-შემასმენელი შეიძლება იყოს დამოკიდებული პირსა და რიცხვში როგორც სუბიექტზე, ისე — ობიექტზე. სუბიექტისა და ობიექტის სინტაქსური დაპირისპირება, ამგვარად, მოხსნილია, როცა შემასმენლად ორპირიანი (და სამპირიანი) ზმნა გვაქვს. სინტაქსური ცნებების ტრადიციული გაგება, რომელიც ევროპულ ენათა ნიადაგზე შეიქმნა, აქ არ გამოდგება: სიტყვათა სინტაქსური კავშირი ისევე თავისებურია, როგორც თავისებურია ქართულ ორპირიან (სუბიექტურ-ობიექტურ) ზმნათა უღვლილება.

სინტაქსური თავისებურება პირდაპირი შედეგია მორფოლოგიის თავისებურებისა. ქართული თავისებური სინტაქსი ისევე არ დაიყვანება ევროპულ ენათა ტრადიციულ სინტაქსამდე, როგორც ქართული ორპირიანი (სუბიექტ-ობიექტიანი) ზმნის უღვლილება ვერ დაიყვანება ევროპულ ენათა ერთპირიანი ზმნის უღვლილებამდე.

27. ქართული გარდამავალი ზმნის თავისებურება აჩენს ე. წ. **ერგატიულ კონსტრუქციას** ანუ მოთხრობით-ბრუნვიან კონსტრუქციას. ასეთ კონსტრუქციაში შემასმენელი **გარდამავალი ზმნაა**, მოქმედი სახელი **მოთხრობითს** ბრუნვაშია: ააშენა, შეკერა, დახატა, დათესა **მან** იგი (შდრ. რუს. *строил он то*). ქართულსა და ქართველურ ენებში ასეთი კონსტრუქცია გვხვდება მხოლოდ ნამყო ძირითადში (რა ქნა?)¹ და კავშირებითს მეორეში (რა ქნას?). აწმყოსთან მოქმედი სახელი დაისმის სახელობითში: აშენებს, კერავს, ხატავს **ის** მას (შდრ. რუს. *строит он то*): კონსტრუქცია სახელობითიანია (ნომინატიურია).

ერგატიული კონსტრუქცია მთის კავკასიურ ენებშიც გვაქვს (ოლონდ ყველა დროში); გვაქვს ბასკურშიც. **ერგატიული კონსტრუქცია იბერიულ-კავკასიურ ენათა დამახასიათებელი სინტაქსური მოვლენაა.**

28. ზოგადი ენათმეცნიერული თვალსაზრისით ენის დახასიათებისას ძირის შედგენილობის საკითხიც დგას. ქართული (და ქართველური ენების) სიტყვათა ძირი ისტორიულად ერთმარცვლიანია: იგი შედგება ძირეული თანხმოვნისა და დეტერმინანტი სუფიქსისაგან. დეტერმინანტი სუფიქსი მეტ წილად შეიცავს **ა, ე** ხმოვანსა და **-ლ, -ნ, -რ** თანხმოვანს. **ცალ-ი, ძალ-ი, ქალ-ი, გან-ი, ხარ-ი, ხელ-ი, წელ-ი, ძელ-ი** ტიპობრივი ქართული ძირებია.

29. სახელი და ზმნა ამჟამად ცხადად გარჩეულია (ქართული ენის გრამატიკულ სისტემაში). ძველად ასეთ გარჩევას ადგილი არა ჰქონია: ზმნურ ძირებსა და სახელის ძირებს ერთნაირი დეტერმინანტი სუფიქსები აწარმოებდა (შდრ., მაგალ., **ცალ-ი** და **მო-გ-კალ-ი**: ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივე **-ალ** სუფიქსი გვაქვს).

¹ ჰანურში ერგატიული კონსტრუქცია აწმყოშიც დასტურდება და თურმეობითშიც (ეს მეორეული მოვლენაა. წინათ იქაც ქართულისებური მდგომარეობა გვქონდა).

III. ბრუნება და უღვლილება ქართულში

სახელთა ბრუნებისათვის ახალ ქართულში

1. ბრუნება, როგორც ცნობილია, ბრუნვათა მიხედვით ცვლას ნიშნავს. ბრუნვა გაბმულ მეტყველებაში სახელს აკავშირებს სახელთან ან ზმნასთან (სათანადო შინაარსის გადმოსაცემად).

2. ბრუნვა ქართულში ექვსია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, მიმართულებითი, ნათესაობითი და მოქმედებითი¹.

ქართულში არა გვაქვს ბრალდებითი (აკუზატივი); ამის მიზეზი ქართული გარდამავალი ზმნის თავისებურებაა (იხ. აქვე, თავი II, § 18). სპეციფიკურია — მოთხრობითი; იგი მიუთითებს მოქმედზე, აქტიურზე და მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან იხმარება (ისიც ნამყო ძირითადის წყებაში).

ტრადიციით გამოყოფენ წოდებით ბრუნვასაც (ძმაო! ამხანაგო! მეგობარო! კაცო!). ესაა მიმართვის ფორმა. ის არ უკავშირდება არც ზმნას, არც სახელს; მას შეიძლება ჰქონდეს მსაზღვრელად სახელი (ძვირფასო ძმაო!). მაგრამ მსაზღვრელიანია თუ ცალკე აღებული მიმართვა, იგი წინადადების ორგანულ ქსოვილში არ შედის: წინადადებაში სასვენი ნიშნითაა გამოყოფილი.

მიმართვას სხვა თავისებურებაც ახასიათებს: იგი ზოგ სახელს თავისებურად ეწარმოება. დედი! მამი! ბები! ძამია! ისევეა „წოდებითი“, როგორც დედა(ვ)! მამა(ვ)! ბებია(ვ)! ძმაო! ასეთი წარმოება ხშირი არაა, მაგრამ მას არსებითი მნიშვნელობა აქვს მიმართვის ფორმის კვალიფიკაციისათვის: „ძამია“ ისევეა მიმართვის ფორმა, როგორც „ძმაო“, და ისევე არაა ბრუნვა, როგორც ეს უკანასკნელი (ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა.).

3. ბრუნება ქართულში ერთია: ბრუნვის ნიშნები — ბრუნვის ფორმანტები — არსებითად ერთნაირია ყველა სახელთან. ეს ნიშ-

¹ ბრუნვათა დალაგება ასეთი თანამიმდევრობით განსხვავდება ტრადიციული წყობისაგან, რომელიც ლათინურმა გრამატიკამ დანერგა რუსულსა და ევროპულ ენებში და რომელიც ქართულ გრამატიკებშიც დამკვიდრებული იყო ამ 25 წლის წინათ (ეს ტრადიციული წყობაა: სახელ., ნათეს., მიცემ., მოთხრ., მოქმედ. და მიმართულ.). ტრადიციულ წყობას არსებითი ნაკლი ჰქონდა. ჯერ ერთი, აქ მოთხრობითს ეკავა ბრალდებითის „ცარიელი“ ადგილი, მაშინ, როდესაც მოთხრობითი და ბრალდებითი ერთმანეთის პოლარული ოდენობაა; მერეა-და, ბრუნების პროცესს ანგარიში არ ეწეოდა: ხმოვნით დაწყებული და თანხმოვნით დაწყებული ფორმანტები ერთმანეთში ირეოდა. ეს-კი იწვევდა კუმშვადი და უკუმშავი ფუძეების არევას.

ნებისა: სახელობითში — -**ი**; მოთხრობითში — -**მა**; || -**მ**; მიცემითში — -**ხ-ა**; მიმართულებითში — -**ად-ა**; ნათესაობითში — -**ის-ა**; მოქმედებითში — -**ით-ა**.

4. ბრუნვის ნიშანი დაერთვის სახელის ფუძეს. ფუძე შეიძლება ბოლოვდებოდეს **ხმოვნით** ან **თანხმოვნით**; ხმოვანთაგან ფუძის ბოლოს ჩვეულებრივია: **ა** (ღედა, მამა, და, ძმა, გზა, მთა, ქვა, მაგიდა, სიტყვა, თესვა, კერვა, ჭრა, ხატვა...), **ე** (ძე, კლდე, ტყე, ღღე, ხე, რძე, სარკე, სახე, მებაღე, სასახლე...) **ო** (წყარო, სოკო, სასადილო, სასაკლაო...) **უ** (რუ, ბუ, ყრუ, ღრუ...). **ი-ხმოვნით** დაბოლოებული ფუძე ამჟამად მხოლოდ უცხო ენებიდან შეთვისებული სახელებია: ჩაი, პაი, ტრამვაი (აგრეთვე ადამიანთა სახელები: აკაკი, გიორგი, ამბროსი, კორნელი... ქართული სიტყვებიდან ი-ფუძიანია ნაცვალსახელი ვი-ნ).

თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებს სახელობითში ბრუნვის ნიშნად **-ი** მოუდის: ქალ-ი, კაც-ი, სახლ-ი, კარ-ი, წიგნ-ი, რვეულ-ი, ხელ-ი, თით-ი, ფეხ-ი, მკლავ-ი, გულ-ი, ცხენ-ი, ხარ-ი და მრავალი სხვა.

ძველს ქართულში ყველა საზოგადო სახელი დაირთავდა სახელობითში **-ი-ს**, სულ ერთი იყო, თანხმოვნით ბოლოვდებოდა ფუძე თუ ხმოვნით. ოღონდ ხმოვნის შემდეგ **ი** იქცეოდა **ე-დ** და გვქონდა: ღედა-ე, მამა-ე, ძმა-ე სიტყვა-ე, კლდე-ე (კლდჷ), ღღე-ე (ღღჷ...) წყარო-ე, ყრუ-ე... შემდეგში **ე** დაიკარგა, ამ, ემ, ომ, უმ დიფთონგები გამარტივდა (ა. შანიძე) და მივიღეთ: ღედა, მამა... ღღე... წყარო... ყრუ...

ღიალექტებში (გურულში, იმერულში, ქართლურში...) ახლაც ითქმის: გზამ (|| გზაი), ქვამ (|| ქვაი), რამ (|| რაი: რაი თქვა: რაიო?...).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში საზოგადო სახელებში **-ი** სახელობითის ნიშანია (და არა: ფუძის კუთვნილება). ადამიანთა სახელებში შეიძლება სახელობითის ნიშანიც იყოს (სიმონ-ი, დავით-ი, ანტონ-ი, ვასილ-ი...), შეიძლება — ფუძის კუთვნილებაც (გიორგი, აკაკი, კორნელი, ვესევი...). ეს გაირჩევა მიცემითსა და მოთხრობითში: თუ ფუძისაა, **-ი** დარჩება (სთხოვეს; გიორგი-ს, აკაკი-ს, კორნელი-ს)... არა-და, იკარგება (სთხოვეს: სიმონ-ს, დავით-ს, ანტონ-ს, ვასილ-ს...).

**თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძეუკუმშავ
სახელთა ბრუნვის ნიმუში**

სახელ.	ამხანაგ- ი	ვაჟკაც- ი	სახელ- ი
მოთხრ.	ამხანაგ- მა	ვაჟკაც- მა	სახელ- მა
მიცემ.	ამხანაგ- ხ-ა	ვაჟკაც- ხ-ა	სახელ- ხ-ა
მიმართ.	ამხანაგ- ად-ა	ვაჟკაც- ად-ა	სახელ- ად-ა
ნათეს.	ამხანაგ- ის-ა	ვაჟკაც- ის-ა	სახელ- ის-ა
მოქმედ.	ამხანაგ- ით-ა	ვაჟკაც- ით-ა	სახელ- ით-ა

5. ბოლოკიდური **-ა** მიცემითში, მიმართულებითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ბრუნვის ნიშნის აუცილებელ ელემენტს არ წარმოადგენს: ამხანაგ-**ხ**, ამხანაგ-**ად**, ამხანაგ-**ის**, ამხანაგ-**ით** უკვე არის ბრუნვა. ბოლოკიდურ **-ა**-ს დართვა ამჟამად — მეტ წილ შემთხვევაში — უფრო სტილისტურ საჭიროებას უპასუხებს, ვინემ მორფოლოგიურ ნორმას წარმოადგენს. ამისდა მიუხედავად გარკვეულ შემთხვევაში ამ ბოლოკიდურ **-ა**-ს საჭიროება ეჭვს გარეშეა. ასე, მაგალითად:

ა. -ც(ა) ნაწილაკის დართვისას ეს **-ა** ბრუნვას უთუოდ ექნება (ამხანაგსაც, ამხანაგადაც, ამხანაგისაც, ამხანაგითაც. შდრ.: ამხანაგსალა || ამხანაგსლა ... ამხანაგისალა || ამხანაგისლა ... ანდა: ამხანაგსავე || ამხანაგსვე ... ამხანაგისავე || ამხანაგისვე...).

ბ. და კავშირის წინ — ჩამოთვლის დამთავრებისას — ეს **-ა** ბუნებრივია: ამხანაგსა და მეგობარს (ვუძღვნი), ამხანაგისა და მეგობრის (ხსოვნას), ამხანაგადა და მეგობრად (მიმაჩნდა)...

გ. როცა ნათესაობითი ბრუნვა მსაზღვრელის როლში გამოდის და საზღვრულს **მოხდევს**, ეს **-ა** აუცილებელია: იგი **ამთავრებს** და **ხშავს კონსტრუქციას**: წიგნი ამხანაგისა. (და არა: წიგნი ამხანაგის! ამ უკანასკნელს შეიძლება ახალი მსაზღვრელი დაერთოს: წიგნი ამხანაგის ძმისა! არა-და, კონსტრუქცია ისევ ღია დარჩება: წიგნი ამხანაგის ძმის მასწავლებლისა). ამგვარადვე: დადგენილება მთავრობისა... წარმატება კოლექტივისა...

დადგმა აკაკი ვასაძისა... თამაში აკაკი ხორავასი... ვასაძისა: აქ **-ა** ისევე საჭიროა, როგორც **-ი** არის საჭირო ფორმაში ხორავასი.

არ ვეხებით სხვა შემთხვევებს, როცა ბოლოკიდური **-ა** ბრუნვას ესაჭიროება¹.

ჩვეულებრივ ბრუნვის ფორმებში ამ **-ა**-ს ყურადღებას არ აქცევენ. ბრუნვის სრული ფორმა ამ **-ა**-ს დართვას გულისხმობს (ეს **-ა** ჩვენ ყველგან მოგვყავს).

6. სახელთა ბრუნება, როგორც მორფოლოგიური პროცესი, ქართულში ერთია, მაგრამ რამდენსამე სხვაობას ქმნის **ბგერითი ცვლილებების** გამო, ე. ი. ფონეტიკურ მიზეზთა წყალობით.

ეს ბგერითი ცვლილებები ან სახელის ფუძეში ხდება ანდა ბრუნვის ნიშნებში. სახელის ფუძეში ცვლილებას იწვევს ბრუნვის ნიშანი (ხმოვნით დაწყებული **-ად-ა**, **-ის-ა**, **-ით-ა**), ბრუნვის ნიშანში კი ცვლას იწვევს ფუძე (ხმოვნით გათავებული).

¹ ისტორიულად ეს **-ა** (ამხანაგის-ა) ჩვენებითი (განმსაზღვრელი) ნაწილაკი იყო იმგვარივე ღირებულებისა, როგორიცაა უფრო ახალი წარმოშობის **-ი** სახელობითში (ამხანაგ-ი).

ამგვარად, სახელთა ბრუნებაში უნდა განვასხვაოთ სამგვარი შემთხვევა.

პირველი: არც ბრუნვის ნიშანი იწვევს ცვლილებას ფუძეში, არც ფუძის დაბოლოება მოქმედებს ბრუნვის ნიშანზე — ესაა ამოსავალი ყველაზე მარტივი ვითარება. ნიმუში:

ამხანაგ-ი, ვაჟკაც-ი, სახელ-ი.

მეორე: ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშანი იწვევს ცვლილებას ფუძეში: ა. ფუძე იკუმშება — ხმოვანი ამოვარდება ფუძეში (მაგალ.: სოფელ-ი: სოფლ-ის-ა...), ანდა სუსტდება (ო→გ — მინდორ-ი: მინდვრ-ისა). ბ. ფუძე იკვეცება — ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი იკარგება (მაგალ.: გზა: გზ-ის-ა...).

მესამე: ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი მოქმედებს ბრუნვის ნიშანზე: ფუძისეულ ბოლოკიდურ ხმოვანთან შეხვედრისას **იკვეცება ბრუნვის ნიშანი** — იკარგება ბრუნვის ნიშნის დასაწყისი ხმოვანი: წყარო: წყარო-ს-ი, წყარო-თ-ი.

პირველი შემთხვევა ყველაზე ხშირია (სათანადო ნიმუშები — იხ. ამხანაგ-, ვაჟკაც-, სახელ- ფუძეთა ბრუნებაში).

მეორე შემთხვევა. იკუმშება ჩვეულებრივ ფუძეები, რომელთაც ბოლოში მოუდის **-ალ-, -არ-, -ან-, -ელ-(-ოლ-, -ორ-)**... მაგრამ მტკიცე წესი არ არსებობს: რძალ-ი—რძლისა; წყალი-ი—წყლისა, მაგრამ: ქალ-ი—ქალისა (და არა ქლისა), ცალ-ი—ცალისა (და არა: ცლისა)... მხარ-ი—მხრისა, მაგრამ: დარ-ი—დარისა (და არა: დრისა; შდრ. ავღარი: ავდრისა...).

იკვეცება -ა და -ე-თი დაბოლოებული ფუძეები, როცა იგი ადამიანის სახელს ანდა გვარს არ აღნიშნავს: მუშა, ძმა, და, დედა, მამა, გზა, ქვა, ქვეყანა... ხე, კლდე, მზე, დღე, სახე, კიდე, მოქალაქე, მენავე, მეველე, მებაღე, სახრე...

მესამე შემთხვევა. სახელის ფუძე არ იკვეცება, პირიქით, ხმოვნით დაწყებული ბოლოსართი (**-ისა, -ითა**) კარგავს დასაწყის ხმოვანს:

1. როცა ხმოვნით დაბოლოებული ფუძე ადამიანის სახელს ან გვარს წარმოადგენს: მართა, ვაჟა... ელენე, ფილიპე... ქეთო, ანდრო... ნუნუ, დუტუ... ტუსკია, ლეჟავა, ხორავა, უკლება... ბერანჟე... შევჩენკო... გორკი... (არ ითქმის: მართის, ელენის, ქეთის, ტუსკიის, უკლების...)²

2. როცა საზოგადო სახელის ფუძე **-ო, -უ** და **-ო-თ** ბოლოვდება: წყარო, სოკო, სასადილო... ბუ, კუ, რუ, კაკადუ, კენგურუ... ჩაი, ტრამ-

¹ ზოგი ფუძე იკვეცება და თან იკუმშება: ქვეყანა, ქვეყნ-ის, ქვეყნ-ით, ქვეყნ-ად...

² -ძე-თი დაბოლოებული ქართული გვარები (კავკასიძე, ჭავჭავაძე...) იკვეცება ისევე, როგორც ძე სახელი (კავკასიძისა, ჭავჭავაძისა...).

იკვეცება აგრეთვე **-ე-ზე** დაბოლოებული ქართული გვარი, როცა იგი წარმოშობით საზოგადო სახელია: მენაბღე—მენაბდისა, მებუკე—მებუკისა.

ვაი... (არ ითქმის: წყარის, სოკის, სასადილის, კენგურის...).

3. როცა საზოგადო სახელის ფუძე მაწარმოებელ -ა-თი თავდება: კრიჭინა, ბუტია, წუნია, ტირია, ღოყლაპია,... მჟავა, ძრავა... (არ ითქმის: ბუტიის, წუნიის, ტირიის, მჟავის, ძრავის...).

4. წიგნური გზით შეთვისებული ზოგი უცხოური საზოგადო სახელი -ა და ე-თი დაბოლოებული: ატაშე, კაშნე, ტირე, ჟელე, კაფე, კუპე, კლიშე..., რომელთაც, როგორც წესი, შენარჩუნებული აქვთ მახვილი ბოლოკიდურ ხმოვანზე: ატაშე, კაშნე, ჟელე, კაფე... (არ ითქმის: კაშნის, ჟელის, კუპის, კლიშის...).

5. როცა საზოგადო სახელი „მამა“, „დედა“, „ბებია“, „პაპა“ საკუთარი სახელის ნაცვლად იხმარება: შდრ. „დედას თავშალი“ (შვილი ამბობს თავის დედაზე!), მაგრამ: „დედის დარიგება“ (=საერთოდ, დედის, მშობლის დარიგება)... „მამას ჩიბუხი“, მაგრამ „მამის მოვალეობა შვილების წინაშე“.

ფუძეკუმშვად სახელთა ბრუნების ნიმუშები

სახელ.	რძალ-ი	აკვან-ი	მხარ-ი	ქათამ-ი
მოთხრ.	რძალ-მა	აკვან-მა	მხარ-მა	ქათამ-მა
მიცემ.	რძალ-ს-ა	აკვან-ს-ა	მხარ-ს-ა	ქათამ-ს-ა
მიმართ.	რძლ-ად-ა	აკვ-ად-ა	მხრ-ად-ა	ქათმ-ად-ა
ნათეს.	რძლ-ის-ა	აკვ-ის-ა	მხრ-ის-ა	ქათმ-ის-ა
მოქმედ.	რძლ-ით-ა	აკვ-ით-ა	მხრ-ით-ა	ქათმ-ით-ა

სახელ.	სოფელ-ი	გოდორ-ი	მინდორ-ი
მოთხრ.	სოფელ-მა	გოდორ-მა	მინდორ-მა
მიცემ.	სოფელ-ს-ა	გოდორ-ს-ა	მინდორ-ს-ა
მიმართ.	სოფლ-ად-ა	გოდრ-ად-ა	მინდვრ-ად-ა
ნათეს.	სოფლ-ის-ა	გოდრ-ის-ა	მინდვრ-ის-ა
მოქმედ.	სოფლ-ით-ა	გოდრ-ით-ა	მინდვრ-ით-ა

ფუძეკვეცად სახელთა ბრუნების ნიმუშები

სახელ.	ძმა	მუშა	კლდე
მოთხრ.	ძმა-მ	მუშა-მ	კლდე-მ
მიცემ.	ძმა-ს-ა	მუშა-ს-ა	კლდე-ს-ა
მიმართ.	ძმა-დ-ა	მუშა-დ-ა	კლდე-დ-ა
ნათეს.	ძმ-ის-ა	მუშ-ის-ა	კლდ-ის-ა
მოქმედ.	ძმ-ით-ა	მუშ-ით-ა	კლდ-ით-ა

სახელ.	მენავე	საქმე
მოთხრ.	მენავე-მ	საქმე-მ
მიცემ.	მენავე-ს-ა	საქმე-სა
მიმართ.	მენავე-დ-ა	საქმე-და
ნათეს.	მენავე-ის-ა	საქმ-ის-ა
მოქმედ.	მენავე-ით-ა	საქმ-ით-ა

ფუძეუკვეც სახელთა ბრუნების ნიმუშები

ა. ადამიანთა სახელები და გვარები:

სახელ.	ვაჟა	ელენე	ქეთო	ნუნუ
მოთხრ.	ვაჟა-მ	ელენე-მ	ქეთო-მ	ნუნუ-მ
მიცემ.	ვაჟა-ს	ელენე-ს	ქეთო-ს	ნუნუ-ს
მიმართ.	ვაჟა-დ	ელენე-დ	ქეთო-დ	ნუნუ-დ
ნათეს.	ვაჟა-ს-ი	ელენე-ს-ი	ქეთო-ს-ი	ნუნუ-ს-ი
მოქმედ.	ვაჟა-თ-ი	ელენე-თ-ი	ქეთო-თ-ი	ნუნუ-თ-ი

სახელ.	ლექავა	გუნია	შევჩენკო	გორკი
მოთხრ.	ლექავა-მ	გუნია-მ	შევჩენკო-მ	გორკი-მ
მიცემ.	ლექავა-ს	გუნია-ს	შევჩენკო-ს	გორკი-ს
მიმართ.	ლექავა-დ	გუნია-დ	შევჩენკო-დ	გორკი-დ
ნათეს.	ლექავა-ს-ი	გუნია-ს-ი	შევჩენკო-ს-ი	გორკი-ს-ა
მოქმედ.	ლექავა-თ-ი	გუნია-თ-ი	შევჩენკო-თ-ი	გორკი-თ-ა

ბ. საზოგადო სახელები:

სახელ.	წყარო	სასადილო	ბუ
მოთხრ.	წყარო-მ	სასადილო-მ	ბუ-მ
მიცემ.	წყარო-ს-ა	სასადილო-ს-ა	ბუ-ს-ა
მიმართ.	წყარო-დ-ა	სასადილო-დ-ა	ბუ-დ-ა
ნათეს.	წყარო-ს-ი	სასადილო-ს-ი	ბუ-ს-ი
მოქმედ.	წყარო-თ-ი	სასადილო-თ-ი	ბუ-თ-ი

სახელ.	რუ	ჩაი	ტრამვაი
მოთხრ.	რუ-მ	ჩაი-მ	ტრამვაი-მ
მიცემ.	რუ-ს-ა	ჩაი-ს-ა	ტრამვაი-ს-ა
მიმართ.	რუ-დ-ა	ჩაი-დ-ა	ტრამვაი-დ-ა
ნათეს.	რუ-ს-ი	ჩაი-ს-ა	ტრამვაი-ს-ა
მოქმედ.	რუ-თ-ი	ჩაი-თ-ა	ტრამვაი-თ-ა

გ. საზოგადო სახელები მაწარმოებელ ბოლოკიდურ ა-თი:

სახელ.	მჟავა	ძრავა	ჭრიჭინა
მოთხრ.	მჟავა-მ	ძრავა-მ	ჭრიჭინა-მ
მიცემ.	მჟავა-ს-ა	ძრავა-ს-ა	ჭრიჭინა-ს-ა
მიმართ.	მჟავა-დ-ა	ძრავა-დ-ა	ჭრიჭინა-დ-ა
ნათეს.	მჟავა-ს-ი	ძრავა-ს-ი	ჭრიჭინა-ს-ი
მოქმედ.	მჟავა-თ-ი	ძრავა-თ-ი	ჭრიჭინა-თ-ი

სახელ.	კატაბალახა	ტირია	დოყლაპია
მოთხრ.	კატაბალახა-მ	ტირია-მ	დოყლაპია-მ
მიცემ.	კატაბალახა-ს-ა	ტირია-ს-ა	დოყლაპია-ს-ა
მიმართ.	კატაბალახა-დ-ა	ტირია-დ-ა	დოყლაპია-დ-ა
ნათეს.	კატაბალახა-ს-ი	ტირია-ს-ი	დოყლაპია-ს-ი
მოქმედ.	კატაბალახა-თ-ი	ტირია-თ-ი	დოყლაპია-თ-ი

დ. წიგნური გზით შეთვისებული ბოლოუკვეცელი საზოგადო სახელები:

სახელ.	კაშნე	კაფე	კუბე	ჟელე	კლიშე	ტირე
მოთხრ.	კაშნე-მ	კაფე-მ	კუბე-მ	ჟელე-მ	კლიშე-მ	ტირე-მ
მიცემ.	კაშნე-ს-ა	კაფე-ს-ა	კუბე-ს-ა	ჟელე-ს-ა	კლიშე-ს-ა	ტირე-ს-ა
მიმართ.	კაშნე-დ-ა	კაფე-დ-ა	კუბე-დ-ა	ჟელე-დ-ა	კლიშე-დ-ა	ტირე-დ-ა
ნათეს.	კაშნე-ს-ი	კაფე-ს-ი	კუბე-ს-ი	ჟელე-ს-ი	კლიშე-ს-ი	ტირე-ს-ი
მოქმედ.	კაშნე-თ-ი	კაფე-თ-ი	კუბე-თ-ი	ჟელე-თ-ი	კლიშე-თ-ი	ტირე-თ-ი

7. ბოლოუკვეც სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებითში სრული დაბოლოება ამჟამად -ი-ს იყენებს: წიგნი ვაჟასია... კმაყოფილია ვაჟათი... წყალი წყაროსია.

თუ ნათესაობითი მსაზღვრელად იხმარება და საზღვრულს წინ უძღვის, ეს -ი ისევე ეკვეცება, როგორც -ა: წყალი წყაროსი (შდრ. წყალი მდინარისა), მაგრამ: წყაროს წყალი (მდინარის წყალი). ბოლოკიდური -ი ამ ბრუნვებში მეორეულია, ძველად აქაც -ა იყო:

ძგ. ქართ. წყალი **წყარო-ახა-ა**—ახ. ქართულში ჯერ იხმარებოდა წყალი **წყარო-ხა** (=წყარო-(ი)სა), შემდეგ შეიცვალა: წყალი **წყაროხ-ი**; შდრ. „ვეფხისტყაოსნის“: „ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოთსა სანახავისა“ (უცხოთსა სანახავისა = უცხოთისა სანახავისა)... „შეყრით ძეს გორი ოქროსა და ბადახშისა თლილისა“ (გორი ოქროსა = გორი ოქროისა).

ვახუშტის გეოგრაფიას სათაურად აქვს: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ორი უკანასკნელი სახელი მიცემითსა ჰგავს, არის კი ნათესაობითი: აღწერა სამეფოსა საქართველოსა = აღწერა სამეფოისა საქართველოისა.

8. მრავლობითი რიცხვი იწარმოება **-ებ** სუფიქსის დართვით (ამხანაგ-ებ-ი); ესაა ძირითადი წესი, გაბატონებული ნორმა ახალი ქართული სათვის. შესაძლო პარალელურ ვარიანტს ქმნის **-ნ** სუფიქსით წარმოება (ამხანაგ-ნ-ი). ორსავე შემთხვევაში **ყველა ფუძე მრავლობითში თანხმოვნით ბოლოვდება, ხმოვნით დაბოლოებული ფუძე მრავლობითში შეუძლებელია.**

შენიშვნა. ძველ ქართულში **-ნ**-იანი მრავლობითი იყო ძირითადი. ახალ ქართულში ეს ძველებური წარმოება შემოგვრჩა ზოგ ნაცვალსახელთან: ესე-ნ-ი, ეგე-ნ-ი, ისი-ნ-ი, იგი-ნ-ი. მართალია, ეგე-ებ-იც იხმარება, მაგრამ ეგე-ნ-ის პარალელურად და განსხვავებული მნიშვნელობით: „ეგეები არ იყოს!“ მაგრამ არ ითქმის: „ეგეები მოვიდნენ“, აქ „ეგენი“ იხმარება (კ. დონ-დუა). ასევე: „რაებს ამბობს“, მაგრამ „რანი ვიყავით?“ ასეთი გარჩევა მეორეულია: სასაუბრო **-ებ**-იანი წარმოება ნაცვალსახელებში ფებს იკიდებს მნიშვნელობის დიფერენციაციის საშუალებით. ისინ-ი-ს გვერდით ისეებ-ი ჯერ კიდევ არ ჩანს. ამგვარად, **-ებ**-იანი მრავლობითი ამ ნაცვალსახელებში ცდილობს გზა გაიკაფოს. მაგრამ **-ნ**-იანი წარმოება რჩება ძირითად ნორმად. ასევეა: ყველა — ყველანი (ამ სიტყვის მრავლობითი თუ საჭირო აღმოჩნდება, მხოლოდ **-ნ**-იანი გვექნება).

9. **-ებ**-იან მრავლობითს ყველა ბრუნვა ეწარმოება, ბრუნვის ნიშნებად ის ფორმანტები აქვს, რაც — თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებს მხოლოდობითში (იხ. ამხანაგ-ის ბრუნვა გვ. 35). **-ნ**-იან მრავლობითს მხოლოდ **-თ-ა**-ფორმანტიანი წარმოება აქვს¹ (ამხანაგ-თ-ა) — მოთხოვითის, ნათესაობითისა და მიცემითის ფუნქციით (მიმართულებითი და მოქმედებითი **-ნ**-იანი მრავლობითით არ გადმოიცემა, — მას **ებ**-იანი ენაცვლება): ამხანაგთა თხოვნით (= ამხანაგების თხოვნით), ამხანაგთა თქვეს (= ამხანაგებმა თქვეს), ამხანაგთ უთქვამთ (= ამხანაგებს უთქვამთ). მიცემითის ფუნქციით **-თ-ა** ფორმანტი იშვიათია.

შენიშვნა. **-თ**, მრავლობითში რომ გვაქვს, ისტორიულად ბრუნვის ნიშანი არ იყო, იგი რიცხვს, მრავლობითს, აღნიშნავდა.

10. ახალი ქართული ფართოდ იყენებს **-თ-ა** ფორმანტს ნათესაობითის ფუნქციით: მეცნიერებათა აკადემია... მშრომელთა დეპუტატების საბჭო... კოლმეურნეთა შრომითი აქტივობა... მისალმებათა ნაკადი... ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად... პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია... ეროვნებათა საბჭოს არჩევნები...

ხშირად **-თ-ა** ფორმანტიანი ნათესაობითი ზედსართავის მაგივრობას ეწევა: საბჭოთა ხელისუფლება (Советская власть)... პიო-

¹ მიმართვის ფორმა **-ნ**-საგან იწარმოება **-ლ**-ს დართვით: ამხანაგ-ნ-ლ... მოქალაქე-ნ-ლ!

ნერთა ბანაკი (пионерский лагерь), შდრ. პიონერთა სასახლე (Дворец пионеров)...ქალთა საერთაშორისო დღე (женский международный день)... მუშათა საკითხი (рабочий вопрос)...

მრავლობითის წარმოების ნიმუშები

-ებ- სუფიქსიანი მრავლობითი:

სახელ.	ამხანაგ-ებ-ი	სოფლ-ებ-ი	მუშ-ებ-ი
მოთხრ.	ამხანაგ-ებ-მა	სოფლ-ებ-მა	მუშ-ებ-მა
მიცემ.	ამხანაგ-ებ-ს-ა	სოფლ-ებ-ს-ა	მუშ-ებ-ს-ა
მიმართ.	ამხანაგ-ებ-ად-ა	სოფლ-ებ-ად-ა	მუშ-ებ-ად-ა
ნათეს.	ამხანაგ-ებ-ის-ა	სოფლ-ებ-ის-ა	მუშ-ებ-ის-ა
მოქმედ.	ამხანაგ-ებ-ით-ა	სოფლ-ებ-ით-ა	მუშ-ებ-ით-ა

სახელ.	კლდე-ებ-ი	წყარო-ებ-ი	მჟავ-ებ-ი
მოთხრ.	კლდე-ებ-მა	წყარო-ებ-მა	მჟავ-ებ-მა
მიცემ.	კლდე-ებ-ს-ა	წყარო-ებ-ს-ა	მჟავ-ებ-ს-ა
მიმართ.	კლდე-ებ-ად-ა	წყარო-ებ-ად-ა	მჟავ-ებ-ად-ა
ნათეს.	კლდე-ებ-ის-ა	წყარო-ებ-ის-ა	მჟავ-ებ-ის-ა
მოქმედ.	კლდე-ებ-ით-ა	წყარო-ებ-ით-ა	მჟავ-ებ-ით-ა

შენიშვნა. მაწარმოებელი **-ა** მხოლოდობითში არ იკვეცება (მჟავა — მჟავა-ს-ი, მჟავა-თ-ი... დოყლაპია — დოყლაპია-ს-ი, დოყლაპია-თ-ი), მრავლობითში კი — **-ებ** სუფიქსის დართვისას — იკვეცება: მჟავა — მრავლ. მჟავ-ებ-ი, დოყლაპია — მრავლ. დოყლაპი-ებ-ი...

11. მრავლობითში არ იხმარება ისეთი სახელები, როგორცაა: რძე, ყველი, ხორცი, მარილი, შაქარი, ყავა, ლობიო... ასეთი სიტყვები აღნიშნავს ერთგვაროვან მასალას (ნივთიერებას), რომელიც ერთეულეზად არ წარმოიდგინება. საკმარისია ამგვარი მასალის სახესხვაობანი ვივარაუდოთ და მრავლობითიც იწარმოება: მინერალურ წყალში მარილები გამოიყო... ქიმიურ ლაბორატორიაში ცდისათვის მჟავებს იყენებენ...

12. **-ებ-**იანი მრავლობითი არ ეწარმოება ნაზმნარ არსებით სახელს: წერა, ხატვა, ჭრა, კერვა, თესვა... არ ითქმის: წერები, ხატვები, ჭრები... მაგრამ **-ნ-**იანი მრავლობითი ზოგჯერ აქაც შესაძლებელია („წამხდარ საქმესა რას შველის ბოლოს ჟამს თითზე კბენანნი“...).

შენიშვნა. ნაზმნარი არსებითი სახელი ხშირად კარგავს შინა-არსობლივ კავშირს ზმნასთან და ჩვეულებრივი არსებითი სახელი

ხდება (სუბსტანტივდება); ასეთია, მაგალ.: შენიშვნა (შდრ. შენიშნავს), მითითება (შდრ. მიუთითებს), შეტევა (შდრ. შეუტევს)... შემთხვევა (შდრ. შეამთხვევს). ამგვარი სახელები მრავლობითს აწარმოებს როგორც **-ნ-** სუფიქსით, ისე — **-ებ-**ით: შენიშვნანი და შენიშვნები, მითითებანი და მითითებები, შეტევანი და შეტევები... შენიშვნებს აძლევს... მითითებები მისცა... გულის შეტევები აღარა აქვს...

13. სახელს დაერთვის თანდებულები მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და მიმართულებითში (თანდებულს არ დაირთავს არც სახელობითი და არც მოთხრობითი).

მიცემითს დაერთვის: 1. **-ზე** (-ზედა) — ძმაზე; 2. **-ში** (ში¹ნა) — ძმაში; 3. **-თან** (თანა) — ძმასთან (||ძმასთანაც).

ნათესაობითს დაერთვის: 1. **-თვის** — ძმისთვის (||ძმისათვის); 2. **-კენ** — ძმისკენ (|| ძმისაკენ), 3. **-გან** — ძმისგან (|| ძმისაგან); 4. **-თანაგე-** ნაწილაკდართული — მოსვლისთანავე, დამთავრებისთანავე, მიღებისთანავე...

მოქმედებითს დაერთვის: 1. **გან** — სოფლიდ-ან (← სოფლიდ-გან ← სოფლით-გან)...

2. **-ურთ** — წიგნებით-ურთ, ბავშვებით-ურთ...

მიმართულებითს დაერთვის: **-მდე** (|| -მდის) — სოფლამდე (← სოფლად-მდე)... ჭიშკრამდე (← ჭიშკრად-მდე)... თბილისამდე (← თბილისად-მდე)...

14. თანდებულებიდან **-ზე, -ში, -თვის, -კენ, -ურთ, -მდე** მხოლოდ ერთ გარკვეულ ბრუნვას დაერთვის.

-გან და **-თან** — ორ-ორ ბრუნვას დაერთვის: **-გან** — ნათესაობითსა და მოქმედებითს, **-თან** — ნათესაობითსა და მიცემითს.

-გან თანდებული ნათესაობითს დაერთვის კითხვებზე: ვისგან? რისგან? (წერილი მივიღე ძმისაგან¹ ... ყველი კეთდება რძისაგან), ხოლო მოქმედებით ბრუნვას მოითხოვს კითხვაზე: საიდან? (წერილი მივიღე სოფლიდან...).

ზოგჯერ ერთსა და იმავე სახელს **გან** თანდებული დაერთვის ნათესაობითშიც და მოქმედებითშიც. ასეთ შემთხვევაში სათანადო სახელი განსხვავებული მნიშვნელობისა გამოდის: მოვლიან ელჩის ჩამოსვლას თურქეთიდან (საიდან?) — არაფერ სასიკეთოს არ მოვლიან თურქეთისგან (რისგან?)... თანამშრომელი გამოგზავნეს რედაქციიდან (საი-

¹ ზოგჯერ **-გან** დაერთვის ადამიანის გვარს მოქმედებითში კითხვაზე: საიდან? „ციტატა მოჰყავს მარქსიდან“. ცხადია, აქ მარქსის შრომა იგულისხმება (შდრ. ციტატა მარქსიდან — ციტატა „კაპიტალიდან“). ამდენადვე გამართლებულია მოქმედებითი ბრუნვის ხმაურება.

დან?) — განმარტება *მივიღეთ რედაქციისაგან (რისგან?)... ბავში ჩამოვიდა ხიდან (საიდან?) — ნიჩაბი კეთდება ხისაგან (რისგან?).

-**თან** ახალ ქართულში მიცემითს დაერთვის, მაგრამ -**გე**-ნაწილაკიანი — **თანაგე** — ნაზმნარ არსებით სახელებთან დაერთვის ნათესაობითს (მიღებისთანაგე...).

ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს: ძველ ქართულში -**თანა** დაერთვოდა ნათესაობითს, თუ აღამიანი (და საერთოდ ცოცხალი არსება) იგულისხმებოდა (ძმისა თანა), სხვა შემთხვევაში დაერთვოდა მიცემითს (სახლსა თანა) (კ. კეკელიძე).

15. რას დაერთვის თანდებული — სრულ, -**ა**- ნაწილაკიან ბრუნვის ფორმას, თუ უამნაწილაკოს? ძმისკენ, ძმისთვის, ძმისგან თუ ძმისაკენ, ძმისათვის, ძმისაგან? ნათესაობითს ბრუნვაში ორივე გვხვდება, ვერც ერთს გამოვრიცხავთ და ვერც — მეორეს. სხვა მდგომარეობა გვაქვს მიცემითში, მოქმედებითსა და მიმართულებითში: ისტორიულად აქ ყველგან თანდებული დაერთვოდა ბრუნვის ფორმას უამნაწილაკოდ. მაშასადამე, გვქონდა:

ძმას-ზე	და არა: ძმასა-ზე
ძმას-ში	და არა: ძმასა-ში
ძმას-თან	და არა: ძმასა-თან
ძმებს-თან	და არა: ძმებსა-თან
სოფლით-გან	და არა: სოფლითა-გან
სოფლით-ურთ	და არა: სოფლითა-ურთ
სოფლად-მდე	და არა: სოფლადა-მდე ¹

ძმასზე → ძმაზე; ძმასში → ძმაში; ძმებს-თან → ძმებთან; აქ ყველგან მიცემითის ნიშანი -**ხ** დაიკარგა თანდებულის წინ. **ეს არ მოხდებოდა, -ზე, -ში, -თან**-ის წინ -**ა** რომ გვქონოდა, ასევე: სოფლითგან → სოფლიდგან: **თ არ გამყდერდებოდა** და **დ-დ არ იქცეოდა, თ-**სა და **გ-ს შორის ა რომ ყოფილიყო** (სოფლითაგან ვერ მოგვცემდა სოფლიდ-ა-გან-ს). ჯერ იყო და, ძველი ქართულის **ქვეყანასა ზედა** იქცა **ქვეყანას-ზედ(ა)-დ**, შემდეგ—**ქვეყანას-ზე** → **ქვეყანაზე**. ამგვარად, ჯერ ბოლოკიდური **ა** მოეკვეცა, მერე თანდებული შეიკვეცა (ზედა → ზედ → ზე).

აქედან ჩანს, რომ ორი ვარიანტიდან — ძმისაგან || ძმისგან — უკეთესი პერსპექტივები აქვს მეორე ვარიანტს (ძმისგან), თუკი ამ ორი ვარიანტის ფუნქციონირება დიფერენციაცია არ მოხდა.

¹ ამის საპირისპიროდ -**თ**-იანი მრავლობითი სრული — -**ა**-ნაწილაკიანი სახით — გვაქვს თანდებულის წინ: მოქალაქეთა-გან, დაწესებულებათა-გან... (და არა: მოქალაქეთგან, დაწესებულებათ-გან...). მაგრამ ამგვარი წარმოების ხვედრითი წონა მცირეა; საერთო ვითარებაზე ამის მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ.

16. ნაცვალსახელთა ბრუნება

მხოლოდობითი რიცხვი:

სახელ.	[ის იგი]	ეს (ესე)	ეგ (ეგე)	ის იგი
მოთხრ.	მა-ნ	ამა-ნ	მაგა-ნ	იმა-ნ
მიცემ.	მა-ს	ამა-ს	მაგა-ს	იმა-ს
მიმართ.	[მა-დ]	ამა-დ	მაგა-დ	იმა-დ
ნათეს.	მ-ის	ამ-ის	მაგ-ის	იმ-ის
მოქმედ.	მ-ით	ამ-ით	მაგ-ით	იმ-ით

მრავლობითი რიცხვი:

სახელ.	[ისინი იგინი]	ესე-ნ-ი	ეგე-ნ-ი	ისი-ნ-ი იგი-ნ-ი
მოთხრ.	მა-თ	ამა-თ	მაგა-თ	იმა-თ
მიცემ.	მა-თ	ამა-თ	მაგა-თ	იმა-თ
მიმართ.	—	—	—	—
ნათეს.	[მა-თ]-	[ამა-თ]-	[მაგა-თ]-	[იმა-თ]-
მოქმედ.	—	—	—	—

მხოლოდობითი რიცხვი:

სახელ.	მე	შენ	ვი-ნ?	რა?
მოთხრ.	მე	შენ	ვი-ნ?	რა-მ?
მიცემ.	მე	შენ	ვი-ს?	რა-ს?
მიმართ.	—	—	—	რა-დ-ა?
ნათეს.	[ჩემ]-	[შენ]-	ვის?	რ-ის?
მოქმედ.	—	—	—	რ-ით?

მრავლობითი რიცხვი:

სახელ.	ჩვენ ჩვენა	თქვენ თქვენა	არა აქვს	რა-ნ-ი- რა-ებ-ი
მოთხრ.	ჩვენ ჩვენა	თქვენ თქვენა		[რაებმა]
მიცემ.	ჩვენ ჩვენა	თქვენ თქვენა		[რაებს]
მიმართ.	— —	— —		[რაებად]
ნათეს.	[ჩვენ]-	[თქვენ]-		[რაების]-
მოქმედ.	—	—		[რაებით]

აქ მოცემულია ბრუნება პირთა ნაცვალსახელებისა (მე, შენ, მან), ჩვენებითი ნაცვალსახელებისა (ეს, ეგ, ის || იგი) და კითხვითი ნაცვალსახელებისა (ვინ? რა?).

ამ ნაცვალსახელთა ბრუნებას რიგი თავისებურება ახასიათებს:

ა. მე, შენ, ჩვენ, თქვენ სახელობითსა, მოთხრობითსა და

მიცემითში უცვლელად რჩება, მიმართულებითი და მოქმედებითი არ ეწარმოება (საამისოდ ხმარებული ჩემად || ჩემდა, ჩემით, შენად || შენდა, შენით... ჩვენად || ჩვენდა, ჩვენით, თქვენად || თქვენდა, თქვენით კუთვნილებითი ნაცვალსახელების — ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი-ს — ფორმებია).

ბ. ჩემ-, შენ-, ჩვენ-, თქვენ- ნათესაობითის როლში გამოდის **-თვის (-გან, -კენ)** თანდებულთა დართვისას: ჩემ-თვის, შენ-თვის, ჩვენ-თვის, თქვენ-თვის... ჩემ-გან... თქვენ-კენ... (ა. შანიძე).

გ. საკუთარი სახელობითი არ გააჩნია მესამე პირის ნაცვალსახელს **მან:** სესხულობს ჩვენებით ნაცვალსახელს **იხ || იგი (იგი წერს და მან დაწერა; შდრ. მან თქვა он сказал და იმან თქვა тот сказал).** თვით ჩვენებითს ნაცვალსახელებს მოთხრობითი ბრუნვიდან მოყოლებული სხვა ფუძე აქვთ (იხ. ი-მა-ნ).

დ. სახელობითი და მოთხრობითი ერთნაირი აქვს **გინ** ნაცვალსახელს.

ე. მრავლობითში საკუთარი წარმოების მიმართულებითი და მოქმედებითი არა აქვს არც პირთა და არც ჩვენებითს ნაცვალსახელებს. კითხვითი ნაცვალსახელი **რა?** მხოლოობითში იბრუნვის ჩვეულებრივი კვეცადი ფუძეების მიხედვით; მრავლობითში **-ებ-** სუფიქსიანი ვარიანტი შესაძლოა ყველა ბრუნვაში გვქონდეს: ეს შესაძლოა წარმოება ახალია. **-ნ-**იანი მრავლობითი მხოლოდ სახელობითში გვაქვს (რანი არიან... რანი ვიყავით...).

ვ. **გინ** ნაცვალსახელს მრავლობითი არ ეწარმოება (ძვ. ქართულის **გი-ეთ-ნ-ი, გი-ეთ-თა** ახალი ქართულისათვის უცხოა).

ზ. მოთხრობითი ბრუნვის პირველადი ნიშანი **-ნ** შერჩენილი აქვს მესამე პირის ნაცვალსახელს (**მა-ნ**) და კითხვით ნაცვალსახელს (**ვი-ნ**).

მან ნაცვალსახელი — მთლიანად! — გამოყენებულია სხვა სახელთა მოთხრობითის ნიშნად (კაც-მა ← ძვ. ქართ. კაც-მან... სახლ-მა ← ძვ. ქართ. სახლ-მან... ძმა-მ ← ძვ. ქართ. ძმა-მან...).

თ. დამახასიათებელია, რომ არც პირთა, არც ჩვენებითს და არც კითხვითს ნაცვალსახელებს მიმართვის ფორმა („წოდებითი ბრუნვა“) არ ეწარმოება.

17. ნაცვალსახელებს შეიძლება დაერთოს ნაწილაკები: **-ც(ა), -ლა, -გე, -მე, -ლაც(ა):**

ა. ეხეც (||ეგეც), ეხლა (|| ეგლა), ეგევე („ესევე“ არ ითქმის: სათანადო შემთხვევაში ისტორიულად უფრო ძველი **ეგევე** იჭერს მის ადგილს! **ეხე** და **ეგე**-ს ისტორიული იგივეობა ამ ფაქტში ნათლად ჩანს: ამოსავალ ვითარებაში გარჩეულია „აქ“ მყოფი (ეგე || ესე) და „იქ“ მყოფი (ისი || იგი).

ბ. იხიც, იხლა, იგივე („ისივე“ არ ითქმის. იხ. შენიშვნა „ესევე“-ს შესახებ).

გ. ვინც, ვილა (ვინლა), ვინმე... რაც, რალა, რალაც, რამე.

ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა ბრუნებისას:

ა. -ც(ა) ნაწილაკი დაერთვის სათანადო ბრუნვის სრულ ფორმას, ხოლო თუ ბრუნვა თანდებულიანია, — თანდებულს: ამანაც, ამასაც, ამისაც, ამითაც... იმანაც, იმასაც, იმისაც, იმითაც... ამათაც... იმათაც... ამისთვისაც... იმისთვისაც... იმათთვისაც... ვისაც, რასაც... ვისთვისაც, რისთვისაც... ვისკენაც, რისკენაც...

ბ. -ლა ნაწილაკი ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნვის მზამზარეულ ფორმას დაერთვის (მსგავსად **-ცა** ნაწილაკისა), კითხვით ნაცვალსახელებთან კი, როგორც წესი, ფუძეს მოსდევს, ე. ი. ბრუნვის ნიშანს წინ უსწრებს: ამანლა, ამასლა, ამისლა, ამითლა... იმანლა... იმასლა, იმისლა, იმითლა... ამისთვისლა, ამისგანლა... იმისთვისლა, იმისგანლა...

მაგრამ: ვილამ, ვილას, ვილათი... რალამ, რალას, რალათი... ვილასთვის, ვილასგან, რალასთვის, რალასგან (ვისთვისლა, ვისგანლა... რისთვისლა, რისგანლა შესაძლებელი წარმოებაა, მაგრამ ახალი ქართულისათვის არაა ძირითადი).

გ. -მე ნაწილაკი ჩვენებით ნაცვალსახელებში ფუძესთან შეხორცებულადაც გვხვდება და ბრუნვის ფორმასაც დაერთვის: ამანვე, ამასვე, ამისავე, ამითავე... იმანვე, იმასვე, იმისავე, იმითავე... პარალელურად გვაქვს: ამავეს, ამავესი, ამავეთი... იმავეს, იმავესი, იმავეთი. უპირატესობა პირველ ვარიანტს აქვს; თანდებულების დართვისას გვექნება: ამისთვისვე, ამისგანვე... იმისთვისვე, იმისგანვე (ამავესთვის, ამავესგან... იმავესთვის, იმავესგან შეუძლებელი არაა, მაგრამ იშვიათია სალიტერატურო ქართულისათვის).

დ. -მე ნაწილაკი კითხვით ნაცვალსახელებთან: **ვინმე** ნაცვალსახელში **-მე** ნაწილაკი ფუძეს შეხორცებულადა მოთხრობითში, მიმართულებითში, მოქმედებითში: **ვინმე, ვინმემ, ვინმედ, ვინმეთი**: ამ ბრუნვებში ეს ნაცვალსახელი სხვა სახით ახალ ქართულში არა გვხვდება.

ნათესაობითსა და მიცემითში ორი კანონიერი წარმოება გვაქვს (პარალელურად): **ვისიმე || ვინმეხი, ვისმე || ვინმეს**¹.

რამე ნაცვალსახელთან **-მე** ნაწილაკი ფუძეს შეხორცებულადა მოთხრობითში: **რამემ**; პარალელური ვარიანტები გვაქვს, მიცემითში, მიმართულებითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში: მიცემ. **რასმე** და **რამეს**; მიმართ. **რადმე** და **რამედ** („ნეტავი რადმე მაქცია, ბულბულად გადამაქცია!" — „ერთ რამედ ღირს!"); ნათეს. **რისამე** და **რამესი** (||რამის); მოქმედ. **რითამე** (||რითიმე) და **რამეთი** (||რამით).

ამგვარად, **ვინმე, რამე** ნაცვალსახელების ბრუნებისას პარალელური კანონიერი ფორმების არსებობა დასტურდება; ნათესაობითსა და მიცემითში შეუხორცებელ წარმოებას (**ვისიმე, რისამე; ვისმე, რასმე**) ერთგვარი უპირატესობა აქვს; სხვა ბრუნვებში უპირატესობა

¹ მიცემითში მესამე ვარიანტიც გვაქვს, უმართებულო: ვისმეს.

შეხორცებული წარმოების მხარეზეა; საერთოდ, ეს უკანასკნელი ტიპი თანდათან ვრცელდება, იმარჯვებს (ვ. თოფურია).

ამაში გვარწმუნებს თანდებულის დართვის შემთხვევებიც: **ვინმესგან, ვინმესთვის, ვინმეზე... რამეზე, რამეში, რამესთან** თითქმის ერთადერთი ვარიანტებია.

18. „ერთი და იგივე“-ს ბრუნებისას იცვლება „ერთ“-იც და „იგივე“-ც: მოთხრ. ერთმა და იმავემ; მიცემ. ერთსა და იმავეს; მიმართ. ერთსა და იმავედ; ნათეს. ერთისა და იმავესი; მოქმედ. ერთისა და იმავეთი.

19. თვისების აღმნიშვნელი სახელები (ზედსართავები — მაღალი, ლამაზი, წითელი, ვრცელი, ღრმა, მოკლე...), აგრეთვე რაოდენობისა და რიგის აღმნიშვნელი სახელები (რიცხვითი სახელები: ერთი, ორი, სამი, ხუთი, ცხრა, ასი... პირველი, მეორე, მესამე, მეხუთე, მეცხრე, მეასე...), ცალკე აღებულნი, ისევე იბრუნვიან, როგორც საზოგადო სახელები (მაღალმა, ლამაზმა, წითელმა... სამმა, ხუთმა, ცხრამ... პირველმა, მეორემ, მეასემ...), ოღონდ მრავლობითს აწარმოებენ ან უპირატესად **-ნ-**სუფიქსით (მაღალ-ნ-ი, ლამაზ-ნ-ი, წითელ-ნ-ი...) ანდა მხოლოდ და მხოლოდ **-ნ-**სუფიქსით (ერთნი ამბობენ... ორნი მოდიან... სამნი დაბრუნდნენ...).

20. მსაზღვრელად ხმარებულ სახელს გარკვეული თავისებურებანი ახასიათებს. მსაზღვრელად შეიძლება იყოს: **ა. ზედსართავი** სახელი (მაღალი მთა, წითელი ღროშა...), **ბ. რიცხვითი** სახელი (სამი ძმა, შვიდი ვარსკვლავი, პირველი მატარებელი...), **გ. ნაცვალსახელი** (რომელი საათი, ვინმე მესხი, რაიმე საქმე...), **დ. არსებითი სახელი** (ოსტატი ფილიპე, ექიმი მაჭარაშვილი, პროფესორი პეტრიაშვილი, მერგოლური თედო, მებაღე ალექსი, მონადირე გიორგი).

მსაზღვრელი შეიძლება:

ა. იყოს დასმული სახელობითს ბრუნვაში (მაღალი მთა...) ანდა ნათესაობითში (ამხანაგის წიგნი... მეზობლის სახლი...)¹.

ბ. წინ უსწრებდეს საზღვრულს (მაღალი მთა... ამხანაგის წიგნი...) ან მოსდევდეს მას (მთა მაღალი... წიგნი ამხანაგისა...). ახალი ქართულისათვის ბუნებრივია წინამავალი მსაზღვრელი (მაღალი მთა, ამხანაგის წიგნი...), ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი იყო მომდევნო მსაზღვრელი (მთად მაღალი... ძმად მამისად...).

¹ ეს სახელობითი შეიძლება იყოს ნაწარმოები მოქმედებითისა და მიმართულებითი ბრუნვებისაგან: თხრობითი კილო... ფულადი სახსარი.

შენიშვნა. წინამავალ მსაზღვრელებში უნდა განვასხვაოთ უშუალოდ საზღვრულის წინ დასმული მსაზღვრელი ისეთი მსაზღვრელისაგან, რომელიც უშუალოდ წინ არ უძღვის, არამედ გათიშულია საზღვრულისაგან: შაქრიანს ეტყვის სიტყვასა (**გაჟა**)... ფიქრისას აგებს გორებსა (**გაჟა**). ასევე გათიშული შეიძლება იყოს მომდევნო მსაზღვრელიც: სიტყვასა ეტყვის შაქრიანს... გორებსა აგებს ფიქრისას...

21. წინამავალი მსაზღვრელი, თუ ის უშუალოდ წინ უძღვის საზღვრულს და ხმოვნით დაბოლოებული ფუძე აქვს, არ იცვლება არც მხოლოობითში და არც მრავლობითში.

მხოლოობითი რიცხვი:

სახელ.	ღრმა მდინარე	მოკლე გზა
მოთხრ.	ღრმა მდინარემ	მოკლე გზამ
მიცემ.	ღრმა მდინარეს-ა	მოკლე გზას-ა
მიმართ.	ღრმა მდინარედ-ა	მოკლე გზად-ა
ნათეს.	ღრმა მდინარის-ა	მოკლე გზის-ა
მოქმედ.	ღრმა მდინარით-ა	მოკლე გზით-ა

სახელ.	სასარგებლო საქმე	ყრუ ბებერი
მოთხრ.	სასარგებლო საქმემ	ყრუ ბებერმა
მიცემ.	სასარგებლო საქმეს-ა	ყრუ ბებერს-ა
მიმართ.	სასარგებლო საქმედ-ა	ყრუ ბებრად-ა
ნათეს.	სასარგებლო საქმის-ა	ყრუ ბებრის-ა
მოქმედ.	სასარგებლო საქმით-ა	ყრუ ბებრით-ა

მრავლობითი რიცხვი:

სახელ.	ღრმა მდინარეები	მოკლე გზები
მოთხრ.	ღრმა მდინარეებმა	მოკლე გზებმა
მიცემ.	ღრმა მდინარეებს-ა	მოკლე გზებს-ა
მიმართ.	ღრმა მდინარეებად-ა	მოკლე გზებად-ა
ნათეს.	ღრმა მდინარეების-ა	მოკლე გზების-ა
მოქმედ.	ღრმა მდინარეებით-ა	მოკლე გზებით-ა

სახელ.	სასარგებლო საქმეები	ყრუ ბებრები
მოთხრ.	სასარგებლო საქმეებმა	ყრუ ბებრებმა
მიცემ.	სასარგებლო საქმეებს-ა	ყრუ ბებრებს-ა
მიმართ.	სასარგებლო საქმეებად-ა	ყრუ ბებრებად-ა
ნათეს.	სასარგებლო საქმეების-ა	ყრუ ბებრების-ა
მოქმედ.	სასარგებლო საქმეებით-ა	ყრუ ბებრებით-ა

22. ამგვარივე წინამავალი მსაზღვრელი, თუ ის გათიშულია საზღვრულისაგან, ბრუნვის ნიშნებს დაირთავს: მივაღექით **ღრმა** მდინარეს — მაგრამ: **ღრმას** მივაღექით მდინარეს... ვიწყებთ **სახარგებლო** საქმეს — მაგრამ: **სახარგებლოს** ვიწყებთ საქმეს...

ეგვე ითქმის ნათესაობითში დასმული მსაზღვრელის შესახებაც: ფიქრისას აგებს გორებსა (**ვაჟა**). ასეთი წყობა იშვიათია (ლექსებში თუ შეგვხვდება); პრაქტიკულად მნიშვნელობა მაინც-და-მაინც არცა აქვს, მაგრამ თეორიულად მეტად ფასეულია: **შუქსა ფენს იმ განსაკუთრებულ როლს, რომელიც ხიტყვათა წყობას ენიჭება მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსურ ურთიერთობაში**, მსაზღვრელის ცვლისათვის ბრუნებისას, მსაზღვრელის გაფორმებისათვის.

23. თუ წინამავალი მსაზღვრელის ფუძე თანხმოვნით ბოლოვდება, ბრუნებისას მსაზღვრელიც იცვლება.

მხოლოობითი რიცხვი:

სახელ.	დიდ-ი	მწერალი	
მოთხრ.	დიდ-მა	მწერალ-მა	
მიცემ.	დიდ	მწერალს-ა	(დიდს მწერალს-ა)
მიმართ.	დიდ	მწერლად-ა	
ნათეს.	დიდ-ი	მწერლის-ა	(დიდ-ის მწერლის-ა)
მოქმედ.	დიდ-ი	მწერლით-ა	(დიდ-ის მწერლით-ა)

სახელ.	წითელ-ი	ღროშა	
მოთხრ.	წითელ-მა	ღროშამ-ა	
მიცემ.	წითელ	ღროშას-ა	
მიმართ.	წითელ	ღროშად-ა	
ნათეს.	წითელ-ი	ღროშის-ა	(წითელ-ის ღროშის-ა)
მოქმედ.	წითელ-ი	ღროშით-ა	(წითელ-ის ღროშით-ა)

მრავლობითი რიცხვი:

სახელ.	დიდი	მწერლები	
მოთხრ.	დიდმა	მწერლებმა	
მიცემ.	დიდ	მწერლებს-ა	(დიდს მწერლებს-ა)
მიმართ.	დიდ	მწერლებად-ა	
ნათეს.	დიდი	მწერლების-ა	(დიდის მწერლების-ა)
მოქმედ.	დიდი	მწერლებით-ა	(დიდის მწერლებით-ა)

სახელ.	წითელი	დროშები	
მოთხრ.	წითელმა	დროშებმა	
მიცემ.	წითელ	დროშებს-ა	(წითელს დროშებს-ა)
მიმართ.	წითელ	დროშებად-ა	
ნათეს.	წითელი	დროშების-ა	(წითელის დროშების-ა)
მოქმედ.	წითელი	დროშებით-ა	(წითელის დროშებით-ა)

ამგვარად: 1. სახელობითსა და მოთხრობითში მსაზღვრელს სრული დაბოლოება აქვს: დიდ-ი, წითელ-ი; დიდ-მა, წითელ-მა... სხვა სახე მსაზღვრელს ახალ ქართულში არა აქვს (იშვიათად, ვხვდებით შეკვეცილ მსაზღვრელს მოთხრობითში: დიდ მწერალმა, წითელ დროშამ, მაგრამ ამგვარი წარმოება ხელოვნურია და „პოეტური თავისუფლების“ — *licentia poetica*-ს — გამოვლენად მიიჩნევა).

2. მიმართულებითს ბრუნვაში მსაზღვრელს დაბოლოება მოკვეცილი აქვს: დიდ მწერლად... წითელ დროშად... (არალიტერატურულია: დიდი მწერლად, წითელი დროშად).

როცა მიმართულებითის სრული გაფორმებაა საჭირო, საამისოდ მიცემითი იხმარება: ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია... (იხ. ქვემოთ).

3. მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში მსაზღვრელის დაბოლოებას ეკვეცება **-ხ**: დიდ(ს) მწერალს, დიდი(ს) მწერლის, დიდი(ს) მწერლით... მიცემითსა და მოქმედებითში ეს **-ხ** ხშირად ახლაც იხმარება (დიდსა და სახელმოხვეჭილ მწერალს... დიდისა და სახელმოხვეჭილი მწერლის...)¹. მოქმედებითს ბრუნვაში **-თ** არ აღდგება: სრული გაფორმებისას მოქმედებითი იყენებს ნათესაობითის **-იხ-** დაბოლოებას: დიდის ამბით, მშვენიერის ხმით, თქვენის აზრით... (და არა: დიდით ამბით, მშვენიერით ხმით...).

შენიშვნა 1. ფუძეკუმშვადი სახელი მსაზღვრელად ხმარებისას არ იკუმშება: წითელ-ი — მიმართ. წითლად (ციკარმა აღმოსავლეთი წითლად შელება); ნათეს. წითლის-ა; მოქმედ. წითლით-ა, მაგრამ: წითელ დროშადა, წითელი დროშისა, წითელი დროშითა. მიზეზი მსაზღვრელის ადგილმდებარეობაა (მსაზღვრელი საზღვრულის წინ დგას!) და ამითაა გამოწვეული „მოდუნება“ ბრუნვათა წარმოებისას.

შენიშვნა 2. როცა მსაზღვრელი მოქმედებითი ან მიმართულებითი ბრუნვისაგან არის ნაწარმოები, მსაზღვრელს მიცემითში **-ხ**, როგორც წესი, დაერთვის: დროებითხ მოვლენას წარმოადგენს... ფულადხ სახსრებს აგროვებენ... მოხსენება გააკეთეს პირველადხ პარტორგანიზაციაში...

მიმართულებითში ამგვარ მსაზღვრელებს მიცემითის **-ხ** და-

¹ პირთა ნაცვალსახელების მიცემითში **-ხ** ნორმაა (ჩემს, შენს, ჩვენს, თქვენს საქმეს).

ერთვის (ისევე, როგორც მოქმედებითს — ნათესაობითის **-ის**): დროებითს მოვლენად, ფულადს სახსრებად, პირველადს პარტორ-განიზაციად... (ასევე: ვთვლით ჩვენს საქმედ... თქვენს საქმედ...).

ამგვარად გვექნება:

სახელ.	დროებითი	მოვლენა	
მოთხრ.	დროებითმა	მოვლენამ	
მიცემ.	დროებითს	მოვლენას-ა	
მიმართ.	დროებითს	მოვლენად-ა	
ნათეს.	დროებითი	მოვლენის-ა	(დროებითის მოვლენის-ა)
მოქმედ.	დროებითი	მოვლენით-ა	(დროებითის მოვლენით-ა).

სახელ.	ფულადი	სახსარი	
მოთხრ.	ფულადმა	სახსარმა	
მიცემ.	ფულადს	სახსარს-ა	
მიმართ.	ფულადს	სახსრად-ა	
ნათეს.	ფულადი	სახსრის-ა	(ფულადის სახსრის-ა)
მოქმედ.	ფულადი	სახსრით-ა	(ფულადის სახსრით-ა).

24. ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი, თუ ის უშუალოდ წინ უძღვის საზღვრულს, ბრუნებისას არ იცვლება:

სახელ.	ძმის	წერილი	ბოლშევიკების	პარტია
მოთხრ.	ძმის	წერილმა	ბოლშევიკების	პარტიამ
მიცემ.	ძმის	წერილს-ა	ბოლშევიკების	პარტიას-ა
მიმართ.	ძმის	წერილად-ა	ბოლშევიკების	პარტიად-ა
ნათეს.	ძმის	წერილის-ა	ბოლშევიკების	პარტიის-ა
მოქმედ.	ძმის	წერილით-ა	ბოლშევიკების	პარტიით-ა

ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი არც მრავლობითში შეიცვლება: ძმის წერილები... ძმის წერილებმა... ძმის წერილებს...

25. გაბმულს მეტყველებაში განმეორების თავიდან ასაცილებლად შეიძლება საზღვრული გამოტოვონ; ასეთ შემთხვევაში ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი **დაირთავს საჭირო ბრუნვის ნიშანს** (ე. ი. დაირთავს იმ ბრუნვის ნიშანს, რომელშიც საზღვრული უნდა ყოფილიყო): „**ძმის** წერილს ველოდი. **ამხანაგის** წერილს არ ველოდი“. შდრ. „ძმის წერილს ველოდი, **ამხანაგისას** — არა“... „მოვიდა ძმის წერილი, დაიგვიანა **ამხანაგის** წერილმა“. შდრ. „მოვიდა ძმის წერილი, დაიგვიანა — **ამხანაგისამ**“. ეს ფაქტიც მოწმობს, თუ რა დიდი

მნიშვნელობა აქვს მსაზღვრელის ადგილმდებარეობას მსაზღვრელის ცვლა-უცვლელობისათვის (იხ. § 21).

26. ნათესაობითს ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი, როცა ის მოსდევს საზღვრულს, ბრუნვის ნიშნებს, როგორც წესი, დაირთავს **მოთხრობითსა და მიცემითში, არ დაირთავს მიმართულებითში** (ასეთი წყობა არ იხმარება ნათესაობითსა და მოქმედებითში).

სახელ.	წერილი	ძმისა	პარტია	ბოლშევიკებისა
მოთხრ.	წერილმა	ძმისამ	პარტიამ	ბოლშევიკებისამ
მიცემ.	წერილს	ძმისას-ა	პარტიას	ბოლშევიკებისას
მიმართ.	წერილად	ძმისა	პარტიად	ბოლშევიკებისა
ნათეს.	—	—	—	—
მოქმედ.	—	—	—	—

ამგვარი წყობა წიგნურია და ხელოვნური (ახალი ქართული-სათვის). შემთხვევითი არაა, რომ ნათესაობითსა და მოქმედებითში ასეთი წყობა შეუძლებელია (მიმართულებითში შესაძლებელია, მაგრამ მსაზღვრელი არ ეთანხმება საზღვრულს). შეუთანხმებლობა მოთხრობითსა და მიცემითშიც არაა იშვიათი, მეტადრე მაშინ, როდესაც ეს მიცემითი უშუალოდ არ მოსდევს საზღვრულს: რაც უფრო მეტი სიტყვაა მათ შორის, მით უფრო ნაკლები შესაძლებლობა რჩება შეთანხმებისათვის (**შეთანხმებას ცვლის მართვა**): პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! პროლეტარებმა ყველა ქვეყნისა(მ) ხმა აიმაღლეს ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ...

27. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ბრუნება ძველი ქართულისას რომ შევადაროთ, შევნიშნავთ, რომ ახალს ქართულში ბრუნვის ნიშნები მეტ ცვლილებას განიცდის, ვინემ ძველს ქართულში (შდრ. ძვ. ქართ. წყარო-დსა — ახ. ქართ. წყარო-ს-ი)... შესაბამისად, **ახალს ქართულში ბოლოხმოვნთან ფუძეთა შეკვეცა ხუსტდება: ფორმანტი ხუსტდება, ფუძე მკვიდრდება** — ასეთია ზოგადი ტენდენცია, რაც ბრუნების პროცესში შეიმჩნევა¹.

ეს უფრო ხელშესახებია ნაწარმოებ სახელებში (მოთამაშე, მოპირდაპირე, მოწინააღმდეგე... „მოთამაშეს დაუდევრობა“ ამგვარი მოვლენის ნიმუში იქნებოდა).

ფუძის უკვეცობის ტენდენცია იგრძნობა ჩვეულებრივს სახელებშიც, როცა ეს სახელები ნაკლებ ხმარებულია: ბაჩა, ბაღერა,

¹ აღსანიშნავია, რომ ანალოგიური პროცესი დასტურდება ზანურში (მეგრულსა და ჭანურში), ოღონდ აქ ეს პროცესი უფრო შორსაა წასული (ეს გასაგებიცაა: სამწერლო ენა მას არ ზღუდავდა). ამავე პროცესს მეტ-ნაკლებად ადგილი აქვს ქართულ კილოებშიც.

ბელეშა... ნათესაობითში ბუნებრივი გვეჩვენება: ბაჩას-ი, ბაღერას-ი, ბელეშას-ი... (და არა: ბაჩისა, ბაღერისა, ბელეშისა...), თუმცა ვერ ვიტყვით, რომ აქ ბოლოკიდური -ა მაწარმოებელი იყოს იმ რიგისა, ვთქვათ, როგორცა გვაქვს სახელებში: ძრავა, მყავა, წუნია, დოყლაპია...

ზმნის უღვლილებიხათვის ახალ ქართულში

28. ქართული ზმნის უღვლილება მდიდარი და ნაირფეროვანია. **ქართულ ზმნას შეუძლია საგანგებო თავხართ-ბოლოხართებით აღნიშნოს:**

1. ვინ არის მოქმედი და ვიზე (რაზე) ვრცელდება ეს მოქმედება, ე. ი. ზმნას შეუძლია აჩვენოს **სუბიექტი** და **ობიექტი მოქმედებისა, პირი და რიცხვი** როგორც **სუბიექტისა**, ისე — **ობიექტისა**: მე მას ვზრდი, ის მე მზრდის, ის შენ ვზრდის... ისინი ჩვენ გვზრდიან, ჩვენ მას ვზრდით...

2. კუთვნილების თვალსაზრისით რა ურთიერთობაა სუბიექტსა და ობიექტს (ან ობიექტებს) შორის, ე. ი. ზმნას შეუძლია აჩვენოს **ქცევები ანუ ვერსიები**: იზრდის... უზრდის...

3. სუბიექტი თვითონ ასრულებს მოქმედებას თუ მოქმედება სხვა პირის მეშვეობით სრულდება, ე. ი. ზმნას შეუძლია აჩვენოს **გზა**: აზრდევინებს... აკეთებინებს...

4. მოქმედება წარმოიდგინება მოქმედის თვალსაზრისით (სუბიექტიდან ამოსვლით) თუ მოქმედების ობიექტის თვალსაზრისით (სუბიექტისაგან განყენებით), ე. ი. ზმნას შეუძლია აჩვენოს **გვარები — მოქმედებითი და გნებითი**: ზრდის — იზრდება; უზრდის — ეზრდება... აკეთებს — კეთდება; უკეთებს — უკეთდება...

5. პროცესი დამთავრებულია თუ დაუმთავრებელი, ე. ი. ზმნას შეუძლია აჩვენოს უსრული და სრული **სახე** (ანუ ასპექტი); ზარდა — გაზარდა, აკეთა — გააკეთა...

6. პროცესი ფაქტობრივ მომხდარია თუ ფაქტობრივ არ ხდება, — შეპირობებულია რამეთი ანდა სავალდებულოა შესასრულებლად, ე. ი. ზმნას შეუძლია აჩვენოს **კილო — თხრობითი, პირობითი, ბრძანებითი**: ზრდის — გაზრდიდა, გაზარდე!...

7. როდის მიმდინარეობს მოქმედება: მის შესახებ ლაპარაკის დროს, ლაპარაკზე ადრე, თუ იგი იწარმოებს ლაპარაკის შემდეგ, ე. ი. ზმნას შეუძლია აჩვენოს ყველა ზემოხსენებული შესაძლებლობა სხვადასხვა დროში — აწმყოში, ნამყოში, მყოფადში.

აქ ჩამოთვლილ შესაძლებლობათა გამოვლენა უნდა გავითვალისწინოთ **გარდამავალსა** და **გარდაუვალ** ზმნებში, ერთი მხრით, და **დინამიკურსა** და **სტატიკურ** ზმნებში, მეორე მხრით.

29. ყველაფერი ეს მხოლოდ ქართული ზმნის უღვლილები თავისებურებას როდი წარმოადგენს; მეორე მხრივ, ყველაფერი ეს ყველა ენის ზმნებში როდი დასტურდება. პირი და რიცხვი რუსულ ზმნაშიც იცვლება, მაგრამ მხოლოდ სუბიექტისა (ობიექტი ზმნის უღვლილებაში არა ჩანს, — არც მისი პირი და არც მისი რიცხვი).

დროები, გვარები ქართულშიც გვაქვს და რუსულშიც, მაგრამ არც თუ ერთნაირი. მეტი კიდევ: ქართულის მონათესავე ენებშიც არა ერთია ისეთი, რომ მოქმედებითისა და ვნებითის გარჩევა ეუცხოება. ისეთი იბერიულ-კავკასიური ენებიც გვაქვს, რომ ზმნა პირსა და რიცხვს არ აღნიშნავს („პირი და რიცხვი“ სათანადო ნაცვალსახელების მიხედვით ირკვევა).

თვით ქართულში ყველა ზმნას როდი შეუძლია ასახოს ზემოხსენებული ცვლილება: ზოგი ზმნა ქცევებს არ განასხვავებს (არის, იცის, უწყის...), ზოგს გვარებში ცვლა არ უხერხდება (ჩანს, ცხოვრობს, შრიალებს...), ზოგს დროები აკლია, ზოგს — პირი და ა. შ.

1—7 მუხლებში ჩამოთვლილ ცვლილებათაგან ზოგი მნიშვნელობის თვალსაჩინო სხვაობას იძლევა, **ახალ ლექსიკურ ერთეულებს** ქმნის, ზოგიც ახალ ლექსიკურ ერთეულებს არა ქმნის. **ქცევა, გზა, გვარი ახალ ლექსიკურ ერთეულებს ქმნის;** პირი, რიცხვი, დრო, კილო ახალ ლექსიკურ ერთეულებს არა ქმნის. ამგვარად: **ცალკე ლექსიკური ერთეულებია: ზრდის, იზრდის, უზრდის, აზრდევინებს, იზრდება, ეზრდება...** ცალკე ლექსიკურ ერთეულებად არ მიიჩნევა: გზრდი, ზრდი... გზრდი, მზრდის, გვზრდიან, გზრდით, გვზრდით... მიზრდის, გიზრდის, გვიზრდის, უზრდი... აგრეთვე: ზრდიდა, ზრდიდეს, ზარდა, ზარდოს, უზრდია, ეზარდა, ეზარდოს... და სხვ. მისთანანი.

30. ქართული ზმნების ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეულებია: **სტატიკური** და **დინამიკური** ზმნები, ერთის მხრივ, **გარდაუვალი** და **გარდამავალი** ზმნები, მეორე მხრივ.

სტატიკური ზმნა აღნიშნავს **მდგომარეობას**, დინამიკური ზმნა — **პროცესს**.

სტატიკური ზმნების ნიმუშებია: დგას, ადგას, უდგას; ზის, აზის, უზის; წევს, აწევს, უწევს; წუხს, უწუხს; დუმს, არის, არსებობს, ცხოვრობს, ფიქრობს, შრიალებს, ტიტინებს, სისინებს... აქვს, ჰყავს, სურს, სწყურია, შია, ჰგონია, ღვიძავს, სძინავს... აბია, უბია, ჰკილია, უკილია; მარხია, უმარხია; თესია, უთესია; აბარია, ხატია, ახატია, უხატია, წერია, აწერია, უწერია, აფენია, უფენია.

დინამიკური ზმნების ნიმუშებია: დგება, ადგება, უდგება; ჯდება, აჯდება, უჯდება; წვება, აწვება, უწვება; აწუხებს, წუხდება, უწუხებს; ადუმებს, დუმდება... აშრიალებს, აშრიალდება; აყოლებს, ეყოლება; აწყურებს, მოსწყურდება; აშივებს, მოშივდება; აღვიძებს, ეღვიძება; აძინებს, ეძინება... აბამს, უბამს; იბმება, ებმება; ჰკიდებს,

უკიდებს, ეკიდება; მარხავს, იმარხავს, უმარხავს, ამარხვინებს, იმარხება, ემარხება; თესავს, ითესავს, უთესავს, ათესვინებს, ითესება, ეთესება; აბარებს, იბარებს, უბარებს, აბარებინებს; ებარება, ბარდება; ხატავს, იხატავს, უხატავს, ახატვინებს, იხატება, ეხატება; წერს, იწერს, უწერს, აწერინებს, იწერება, ეწერება; აფენს, იფენს, უფენს, აფენინებს, იფენება, ეფენება; ჰკიდებს, იკიდებს, უკიდებს, აკიდებინებს, ეკიდება...

სტატიკური ზმნები ქართულში **ცოტაა; დინამიკური** ზმნები ქმნიან **აბსოლუტურ უმრავლესობას**. სტატიკურ ზმნებს ცვლის შესაძლებლობა შეზღუდული აქვთ; ამიტომ **სტატიკური ზმნები მორფოლოგიური კატეგორიებით ღარიბია, დინამიკური ზმნები შეუღარებელი უფრო მდიდარია**.

სტატიკური ზმნები განვითარების ძველის-ძველ საფეხურს წარმოგვიდგენს, სახელდობრ იმ საფეხურს, როცა ზმნა მინიმალურად განსხვავდებოდა სახელისაგან, ე. ი. როცა სახელისა და ზმნის დიფერენციაცია ძალიან სუსტი იყო (ზმნა **მდგომარეობას** აღნიშნავდა და ეს მდგომარეობა თვისების მსგავსად უცვლელი იყო დროში). დინამიკური ზმნები შედარებით ახალი წარმონაქმნია (აქ ზმნა **პროცესზე** მიუთითებს), სახელისა და ზმნის დიფერენციაცია ცხადია, სახელისა და ზმნის დაპირისპირებაც ხელშესახები. ამიტომაც, რომ სტატიკური ზმნა ღარიბია მორფოლოგიური კატეგორიებით, დინამიკური ზმნა კი მორფოლოგიური კატეგორიებით მდიდარია.

31. სტატიკური ზმნა ყველა გარდაუვალია: დგას, ზის, წევს, წუხს... აქვს, ჰყავს, სწყურია, შია... აბია, ჰკიდია, თესია, აბარია... **დინამიკური ზმნა** შეიძლება იყოს **გარდაუვალიცა და გარდამავალიც**.

გარდაუვალია დინამიკური ზმნები: დგება, ჯდება, წგება... შრება, ხმება, ტკება... იზრდება, ეზრდება, ითესება, ეთესება, ჩაბარდება, ებარება, იხატება, ეხატება... ტყდება, უტყდება, ატყდება, კეთდება, უკეთდება, შენდება, უშენდება...

გარდამავალი ზმნებია: აბამს, თესავს, ბარავს, ხატავს, ზრდის, აშრობს, ახმობს, ატკობს, აკეთებს, იკეთებს, უკეთებს, აკეთებინებს, აშენებს, იშენებს, უშენებს, აშენებინებს...

გარდამავლობას გარკვეული გარეგნული ნიშნები აქვს: **ნამყო ძირითადში** (რა ქნა?) **ობიექტი სახელობითში დაესმის, ხუბიექტი — მოთხრობითში** (გარდა ამისა, ახალ ქართულში ნამყო ძირითადის მრავლობითის მესამე პირში გარდამავალ ზმნებს **-ებს** ბოლოსართი მოუღდის):¹ «და¹აბა, «და¹თესა, «და¹ბარა, «და¹ხატა,

¹ ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ეს ნიშანი თვით ზმნის უღვლილებაში გვაქვს (და არა ზმნასთან დაკავშირებულ სახელებში). ეს კია, რომ ეს ნიშანი ახალია (ძველი ქართულისათვის ის არ გამოდგება: იქ ნამყო ძირითადს **-ებს** დაბოლოება აქვს ყველა ზმნაში); მასთან გარდამავლობის არსიდან არ გამომდინარეობს.

„გა“ზარდა, „გა“ახმო, „გა“აკეთა — **მან იგი**. გაუკეთა, აუშენა, დაუხატა... გააკეთებინა, ააშენებინა, დაახატვინა — **მან მას იგი**. მრავლობითის მესამე პირში: დათეს-**ებს**, ჩააბარ-**ებს**, გაზარდ-**ებს**...

გარდაუვალ ზმნებს ან სულ არ დაესმის ობიექტი, ან, თუ დაესმის, მხოლოდ **მიცემითს** ბრუნვაში, სუბიექტი კი ყოველთვის — **ხანგრძლივითში**: დადგა, გაშრა, გახმა, დაითესა, დაიხატა, აშენდა, გაკეთდა **იგი**... გაეზარდა, გაუკეთდა, აუშენდა, დაეხატა **მას იგი**... შეეკითხა, დაეხმარა, მიეგება, შეხვდა **იგი მას**. მრავლობითის მესამე პირში **-ენ** აქვს: გაიზარდნ-**ენ**, მიეგებნ-**ენ**, შეეკითხნ-**ენ**, დაეხმარნ-**ენ**...

32. ზმნა ქართულში შეიძლება აღნიშნავდეს მხოლოდ **სუბიექტის** პირს; ეს იქნება **ერთბირიანი** ზმნა, სუბიექტური ზმნა. ამგვარ ზმნას ექნება სამი პირის ფორმა მხოლოდობითში და ამდენივე — მრავლობითში.

მე	ვ-არ	ვ-დგები	ვ-ცხოვრობ	ვ-იზრდები	ვ-წუხდები
შენ	ხ-არ	დგები	ცხოვრობ	იზრდები	წუხდები
ის	არი-ს	დგებ-ა	ცხოვრობ-ს	იზრდებ-ა	წუხდებ-ა
ჩვენ	ვ-არ-თ	ვ-დგები-თ	ვ-ცხოვრობ-თ	ვ-იზრდები-თ	ვ-წუხდები-თ
თქვენ	ხ-არ-თ	დგები-თ	ცხოვრობ-თ	იზრდები-თ	წუხდები-თ
ისინი	არი-ან	დგები-ან	ცხოვრობ-ენ	იზრდები-ან	წუხდები-ან

პირველი პირის სუბიექტს აღნიშნავს თავსართი **ვ-**, მეორე პირის სუბიექტს ამჟამად ნიშანი არა აქვს, ძველად კი ჰქონდა: **ხ-არ**, მი-**ხ-ვალ**, მო-**ხ-ვედი** ზმნებში დღემდე შემოგვრჩა უძველესი ნიშანი **ხ⁻¹**, შემდეგ ძველ ქართულშივე **ხ-** თავსართს შეენაცვლა **ჰ-**, რომელიც ნაწილობრივ ახალ ქართულშიც (XII-XIX ს.ს.) შემოგვრჩა (**ჰ-კვდები**), ნაწილობრივ **ხ-**თი იცვალა (**ხ-ცხოვრობ**). **ჰ-** და **ხ-** და მათი ფონეტიკური ვარიანტები მეორე პირის სუბიექტის ნიშნად დღესაც იხმარება მთის კილოებში — ხევსურულში, ფშაურში, თუშურში (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე).

მესამე პირის სუბიექტის ნიშანი ბოლოსართებია: **-ს** (არი-**ს**), **-ა** (იზრდებ-**ა**). **-ა**-საგან ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მიღებულია მესამე ბოლოსართი **-ო** (იყო:←იყავ←იყავ-**ა**)².

მრავლობითის პირველისა და მეორე **პირის** ნიშნები იგივეა, რაც მხოლოდობითში; რიცხვს — სიმრავლეს — აღნიშნავს სუფიქსი **-თ**. მესამე პირში გვაქვს ბოლოსართები **-ან** (არი-**ან**, დგები-**ან**...), **-ენ** (ცხოვრობ-**ენ**, ხარობ-**ენ**, შრიალე-**ენ**...). გარდამავალ ზმნებთან ნამყო ძირითადში გვევლინება **-ებს** (აკეთ-**ებს**, აშენ-**ებს**, თეს-**ებს**, ხატ-**ებს**...).

¹ ხ-არ, მო-ხ-ვალ ესაა ეგრეთ წოდებული ხანმეტი (მეტი ხ-ს შემცველი) ფორმები; ძველს ქართულში ასევე იწარმოებოდა სხვა ზმნებიც: ხ-იყავ, შე-ხ-იმუსრა... და სხვ.

² ამოსავალი — ფონეტიკური ვითარება იყო (გ-ს მეზობლობა), მაგრამ შემდეგ **-ო** ანალოგიის მიხედვით სხვა ზმნებსაც გაუჩნდა, — ყველგან **-ა**-ს ადგილას!

შენიშვნა. პირველი და მეორე პირის სუბიექტი თავსართებით (პრეფიქსებით) აღინიშნება, მესამე — ბოლოსართით (სუფიქსით). პირველსა და მეორე პირს **თითო ფორმანტი** აქვს (**გ; ხ || ჰ** ანდა **ჰ**-ს ფონეტიკური სახეობანი), მესამე პირს — **ორი ფორმანტი** აქვს (**-ხ, -ა** და **-ა**-საგან ფონეტიკურ ნიადაგზე მიღებული **-თ**). თავსართებით აღნიშვნა ძველია, ბოლოსართების გამოყენება შედარებით ახალია.

მრავლობითში პირველი და მეორე პირის ნიშნებიც გვაქვს და მრავლობითობის სუფიქსიც **-თ**, მესამე პირში კი პირის ნიშანიც და რიცხვისაც **ერთია (-ენ, -ან, -ეხ)**. წარმოშობით ეს ბოლოსართები მხოლოდ რიცხვზე (მრავლობითზე) მიუთითებდნენ (პირის ნიშანი ზმნას აქ არა ჰქონდა ისევე, როგორც მხოლოლობითში, ოღონდ მხოლოლობითში გაუჩნდა, მრავლობითში — არა)¹.

33. ქართული ზმნა შეიძლება აღნიშნავდეს სუბიექტის პირსაც და ობიექტის პირსაც, იყოს **ორპირიანი**. ორპირიანი ზმნის უღვლილება სუბიექტურ-ობიექტურია. სამივე პირი შეიძლება იყოს სუბიექტადაც და ობიექტადაც როგორც მხოლოლობითში, ისე მრავლობითში. ამის შედეგად უღვლილების ფორმათა რაოდენობა იზრდება.

სუბ.	ობ. ²			
ის	მას	ზრდი-ხ	აწუხებ-ხ	ეხმარებ-ა
„	მათ	„	„	„
„	შენ	გ-ზრდი-ხ	გ-აწუხებ-ხ	გ-ეხმარებ-ა
„	თქვენ	გ-ზრდი-თ	გ-აწუხებ-თ	გ-ეხმარებ-ა-თ
„	მე	მ-ზრდი-ხ	მ-აწუხებ-ხ	მ-ეხმარებ-ა
„	ჩვენ	გგ-ზრდი-ხ	გგ-აწუხებ-ხ	გგ-ეხმარებ-ა
შენ	მას	ზრდი	აწუხებ	ეხმარები
„	მათ	„	„	„
„	მე	მ-ზრდი	მ-აწუხებ	მ-ეხმარები
„	ჩვენ	გგ-ზრდი	გგ-აწუხებ	გგ-ეხმარები
მე	მას	გ-ზრდი	გ-აწუხებ	გ-ეხმარები
„	მათ	„	„	„
„	შენ	გ-ზრდი	გ-აწუხებ	გ-ეხმარები
„	თქვენ	გ-ზრდი-თ	გ-აწუხებ-თ	გ-ეხმარები-თ

¹ მხედველობაში გვაქვს ქართული ენის განვითარების ის პერიოდი, როცა პირების გარჩევამ იჩინა თავი. პირები — მეორეულია; მანამდე უღვლილებაში მხოლოდ კლასები გაირჩეოდა, გრამატიკული კლასები — ადამიანისა და ნივთისა.

² ვიწყებთ მესამე პირით: აქ ვითარება უფრო ნათელია.

იხინი	მას	ზრდი-ან	აწუხებ-ენ	ენმარები-ან
„	მათ	„	„	„
„	შენ	გ-ზრდი-ან	გ-აწუხებ-ენ	გ-ენმარები-ან
„	თქვენ	„	„	„
„	მე	მ-ზრდი-ან	მ-აწუხებ-ენ	მ-ენმარები-ან
„	ჩვენ	გგ-ზრდი-ან	გგ-აწუხებ-ენ	გგ-ენმარები-ან
თქვენ	მას	ზრდი-თ	აწუხებ-თ	ენმარები-თ
„	მათ	„	„	„
„	მე	მ-ზრდი-თ	მ-აწუხებ-თ	მ-ენმარები-თ
„	ჩვენ	გგ-ზრდი-თ	გგ-აწუხებ-თ	გგ-ენმარები-თ
ჩვენ	მას	გ-ზრდი-თ	გ-აწუხებ-თ	გ-ენმარები-თ
„	მათ	„	„	„
„	შენ	გ-ზრდი-თ	გ-აწუხებ-თ	გ-ენმარები-თ
„	თქვენ	„	„	„

აქ მოცემულია ყველა შესაძლო შეხამება (კომბინაცია) სუბიექტის პირებისა ობიექტის პირებთან მხოლოდობითა და მრავლობითში: სუბიექტის მესამე პირთან ობიექტად შეიძლება იყოს სამივე პირი (იხ — მას, შენ, მე), სუბიექტის მეორე პირთან ობიექტად შეიძლება იყოს ორი პირი: მესამე და პირველი (შენ — მას, მე), სუბიექტის პირველ პირთან ობიექტად შეიძლება იყოს ორი პირი: მესამე და მეორე (მე — მას, შენ). არ შეიძლება მეორე პირის სუბიექტთან ობიექტად იყოს მეორე პირი (შენ — შენ) და პირველი პირის სუბიექტთან — პირველი პირი (მე — მე).

ორპირიან ზმნაში **სუბიექტის პირის** ნიშნებად იგივე თავსართ-ბოლოსართები გვაქვს, რაც ერთპირიან ზმნებში, ოღონდ:

სუბიექტის ნიშანი გვაკლია ორ შემთხვევაში: **ა.** როცა პირველი პირის სუბიექტი ხვდება მეორე პირის ობიექტს (მე შენ **გ-ზრდი**, **გ-აწუხებ**, **გ-ენმარები**; მოსალოდნელი იყო: ***გ-გ-ზრდი**, **გ-გ-აწუხებ**, **გ-გ-ენმარები**; მაგრამ ასეთი რამ არც ახალ ქართულში გვაქვს და არც — ძველში, არც როდისმე გვქონია)¹. **ბ.** როცა მეორე პირის სუბიექტი ხვდება პირველი პირის ობიექტს (შენ მე **მ-ზრდი**, **მ-აწუხებ**, **მ-ენმარები**; ახალ ქართულში მეორე პირის სუბიექტი არ აღინიშნება, მაგრამ ძველ ქართულში აღინიშნებოდა; და მაინც მოსალოდნელი **მ-მ-ზრდი**, **მ-მ-აწუხებ**, **მ-მ-ენმარები** არც ძველ ქართულში ჩანს). დამახასიათებელი ფაქტი: ორსავე შემთხვევაში **გვაკლია სუბიექტის** ნიშანი, **გვაქვს ობიექტის ნიშანი**. ჩანს, თავდაპირველად გარდამავალი

¹ ამიტომ არც შეიძლება ვთქვათ: სუბიექტის ნიშანი **გ** იკარგებაო, რომ დაიკარგოს, უნდა არსებობდეს.

ზმნების უღვლილება მხოლოდ **ობიექტს** აღნიშნავდა, გარდაუვალისა — **სუბიექტს**, როგორც ეს ღღემდე დაცულია მთის კავკასიურ ზოგენაში.

სუბიექტის ნიშანი **-ხ** იკარგება **-თ** ბოლოსართის წინ: ის შენ გაწუხებ-**ხ** — ის თქვენ გაწუხებ-**თ**. უნდა ყოფილიყო: გაწუხებ-**ხ-თ** (და იხმარებოდა კიდევ ამ ერთი საუკუნის წინ). **-ხ** დაიკარგა **-თ-ს** მეზობლობაში (დაიკარგა ისევე, როგორც სახელებში; გვაქვს: ძმას-თან, მაგრამ: ძმებთან ← ძმებ-ს-თან).

-ხ ბოლოსართის დაკარგვა ფონეტიკური პროცესია. **-ხ** ბოლოსართის დაკარგვის შედეგად ერთმანეთს დაემსგავსა მანამდე განსხვავებული ფორმები: **ის თქვენ** გზრდით (← გზრდის-თ) და **მე თქვენ** (აგრეთვე: ჩვენ შენ, ჩვენ თქვენ) გზრდით.

სუბიექტის მრავლობითი ორპირიან ზმნებში ისევე აღინიშნება, როგორც ერთპირიან ზმნებში, ოღონდ გარკვეულ შემთხვევებში ერთმანეთს ხვდება სუბიექტისა და ობიექტის მრავლობითის ნიშანი: გ-ზრდი-**თ** — მე **თქვენ** ანდა: ჩვენ შენ (ჩვენ თქვენ)...

ობიექტის პირის ნიშნებად გვაქვს: **მ** — პირველი პირისათვის მხოლოდობითში: **მ-ზრდის**, **მ-აწუხებს**, **მ-ეხმარება** — **მე**; **გ** — მეორე პირისათვის (მხოლოდობითშიც და მრავლობითშიც); **გ-ზრდის**, **გ-აწუხებს**, **გ-ეხმარება** — **შენ**; მესამე პირისათვის ამ ზმნებთან არა გვაქვს ფორმანტი; შეიძლება გვქონდეს კი ისეთ ზმნებთან, რომელთაც ობიექტი ყველა დროში მიცემითში დაესმის და ფუძე ეწყება გარკვეული თანხმოვნებით; სახელდობრ: პ, კ, ყ, გ, ქ-სთან — **ჰ**; ღ, ტ, თ, ძ, წ, ც, ჯ, ჭ, ჩ-სთან — **ხ**: ჰ-პარავს, ჰ-კითხავს; ჰ-ყავს, ჰ-გავს, ჰ-ქონდა... ს-თხოვს, ა-ს-ღვენებია, ა-ს-ტეხია, და-ს-ძენია, მო-ს-წყდომია, და-ს-ცილებია და-ს-ჯახებია, გა-ს-ჭყლეთია, მი-ს-ჩერებია **მას**¹.

ობიექტის მრავლობითობა მეორე პირში იმავე ბოლოსართით აღინიშნება, რაც სუბიექტისათვის იყო გამოყენებული (**-თ**); პირველ პირში კი **გგ-** თავსართი გვაქვს (ახალ ქართულში); გგ-ზრდის, გგ-აწუხებს, გგ-ეხმარება **ჩვენ** ...

შენიშვნა. ობიექტის პირის ნიშნებად **მხოლოდ თავსართები** გვაქვს, სუბიექტის ნიშნად თავსართებიც (პირველსა და მეორე პირში) და ბოლოსართიც (მესამე პირში).

34. ორპირიანი ზმნის უღვლილება აწმყოში (მხოლოდობითსა და მრავლობითში) ქმნის 18 განსხვავებულ ფორმას: ზრდის,

¹ ძველ ქართულში მესამე პირის ობიექტი აღინიშნებოდა, თუ მიცემითში იყო დასმული: **ხ-თავსართით** (ხანმეტ ძეგლებში), **ჰ-თავსართით** (პაემეტ ძეგლებში), **ჰ** და **ხ-თი** მეცხრე საუკუნიდან თანხმოვნების წინ და აღუნიშნელი რჩებოდა ხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან. გვექნებოდა: მას ჰზრდის, ჰპართავს, ჰკლავს... სთხრის, სტანჯავს, სცვლის... (ა. შანიძე).

გზრდის, გზრდით, მზრდის, გვზრდის, ზრდი, მზრდი, გვზრდი, ვზრდი, გზრდი, (გზრდით)¹, ზრდიან, გზრდიან, მზრდიან, გვზრდიან, ზრდით, მზრდით, გვზრდით, ვზრდით, (გზრდით)¹.

18 ფორმა გააჩინა **სუბიექტისა** და **ობიექტის** პირთა მიხედვით ზმნის ცვლამ მაშინ, როდესაც სუბიექტის მიხედვით ცვლას მარტოოდენ 6 ფორმა შეუძლია მოგვცეს (შდრ. არის, დგება, იზრდება, წუხდება... ზმნათა უღვლილება—აქვე ზევით). ამგვარად, **ერთპირიანმა ზმნამ** — იზრდება — ექვსი ფორმა მოგვცა, **ორპირიანმა ზმნამ** — ზრდის — თვრამეტი ფორმა. **ზმნის ორპირიანობა უღვლილების ფორმათა ნაირნაირობის ერთ-ერთი მთავარი წყაროა**².

35. ზმნას სუბიექტი ერთი აქვს, ობიექტი შეიძლება ჰქონდეს ორი: ერთი — პიროვნებისა, მეორე — ნივთისა (ანუ, როგორც იტყვიან, ერთი — ირიბი, მეორე — პირდაპირი)³: სთხოვს (დავითი სიმონს წიგნს), ჰკითხავს (მასწავლებელი მოწაფეს გაკვეთილს), უგზავნის (შვილი მამას წერილს), უშენებს (ქარხანა მუშებს ბინას), უზრდის (დედა სამშობლოს შვილს), აკეთებინებს (მამა ოსტატს მაგიდას), ალაგებინებს (დედა შვილს ოთახს), ამეორებინებს (მასწავლებელი მოწაფეს გაკვეთილს)...

ამგვარ ზმნებს **სამპირიანი ზმნები** ეწოდება. ორპირიანი ზმნა სამჯერ მეტ ფორმებს იძლეოდა, ვინემ ერთპირიანი ზმნა. რამდენ ფორმას იძლევა სამპირიანი ზმნა?

ის	მას	წიგნსა	ს-თხოვ-ს
„	მათ	„	„
„	შენ	„	გ-თხოვ-ს
„	თქვენ	„	გ-თხოვ-თ
„	მე	„	მ-თხოვ-ს
„	ჩვენ	„	გვ-თხოვ-ს

¹ მეორდება: გზრდით — 1. ის თქვენ; 2. მე თქვენ; 3. ჩვენ შენ; 4. ჩვენ თქვენ.

² რუსულ ენაში ყველა ზმნა ერთპირიანია: იზრდება *растет* და ზრდის *воспитывает* თანაბრად იძლევა **ექვს** ფორმას: *расту, растешь, растет, растём, растете, растут...* *воспитываю, воспитываешь, воспитывает, воспитываем, воспитываете, воспитывают* — ორივე ზმნა მხოლოდ იმაზე მიუთითებს, **ვინც** იზრდება ან **ვინც** ზრდის; **ვისაც** ზრდიან, იმისი პირი (თუ რიცხვი) ზმნაში არა ჩანს. ამიტომ შეიძლება გვქონდეს: *воспитывает—его, их; тебя, вас; меня, нас*. ქართული ზრდის-ზმნა იგუებს მხოლოდ მესამე პირს (მას, მათ); შეუძლებელია: ზრდის შენ (თქვენ), მე (ჩვენ). რუსული გარდამავალი ზმნის უღვლილება ისევე მარტივია, როგორც ქართული ერთპირიანი (გარდაუვალი) ზმნისა.

³ პირდაპირი და ირიბი დამატება რუსულისა (და ევროპული ენების) *прямое и косвенное дополнение-ს* თარგმანია. პირდაპირ დამატებად ხსენებულ ენებში ითვლება აკუსატივში (ბრალდებით ბრუნვაში) დასმული დამატება. ქართულში ეს ბრუნვა არა გვაქვს. პირდაპირი დამატებაც, ცხადია, არ გვექნება.

შენ	მას	„	ბ-თხოვ
„	მათ	„	„
„	მე	„	მ-თხოვ
„	ჩვენ	„	გვ-თხოვ
მე	მას	„	გ-ბ-თხოვ
„	მათ	„	„
„	შენ	„	გ-თხოვ
„	თქვენ	„	გ-თხოვ-თ
ისინი	მას	წიგნსა	ბ-თხოვ-ენ
„	მათ	„	„
„	შენ	„	გ-თხოვ-ენ
„	თქვენ	„	„
„	მე	„	მ-თხოვ-ენ
„	ჩვენ	„	გვ-თხოვ-ენ
თქვენ	მას	„	ბ-თხოვ-თ
„	მათ	„	„
„	მე	„	მ-თხოვ-თ
„	ჩვენ	„	გვ-თხოვ-თ
ჩვენ	მას	„	გ-ბ-თხოვ-თ
„	მათ	„	„
„	შენ	„	გ-თხოვ-თ
„	თქვენ	„	„
ის	მას	წერილს	უგზავნი-ბ
„	მათ	„	„
„	შენ	„	გ-იგზავნი-ბ
„	თქვენ	„	გ-იგზავნი-თ
„	მე	„	მ-იგზავნი-ბ
„	ჩვენ	„	გვ-იგზავნი-ბ
შენ	მას	„	უგზავნი
„	მათ	„	„
„	მე	„	მ-იგზავნი
„	ჩვენ	„	გვ-იგზავნი
მე	მას	„	გ-უგზავნი
„	მათ	„	„
„	შენ	„	გ-იგზავნი
„	თქვენ	„	გ-იგზავნი-თ
ისინი	მას	წერილს	უგზავნი-ან
„	მათ	„	„
„	შენ	„	გ-იგზავნი-ან
„	თქვენ	„	„

ისინი	მე	წერილს	მ-იგ ზავნი-ან
„	ჩვენ	„	გგ-იგ ზავნი-ან
თქვენ	მას	„	უგ ზავნი-თ
„	მათ	„	„
„	მე	„	მ-იგ ზავნი-თ
„	ჩვენ	„	გგ-იგ ზავნი-თ
ჩვენ	მას	„	გ-უგ ზავნი-თ
„	მათ	„	„
„	შენ	„	გ-იგ ზავნი-თ
„	თქვენ	„	„

მხოლოდობითსა და მრავლობითში სულ გვაქვს 18 ფორმა: სთხოვს, გთხოვს, გთხოვთ, მთხოვს, გვთხოვს, სთხოვ, მთხოვ, გვთხოვ, ვსთხოვ, გთხოვ, (გთხოვთ)¹, სთხოვენ, გთხოვენ, მთხოვენ, გვთხოვენ, სთხოვთ, მთხოვთ, გვთხოვთ, ვსთხოვთ, (გთხოვთ)¹, ე. ი. იმდენივე ფორმა, რამდენიც გვქონდა ორპირიანი ზრდის ზმნის უღვლილებიას. ამგვარად: **სამპირიანი ზმნის უღვლილება იმდენსავე ფორმას იძლევა, რამდენსაც — ორპირიანი ზმნისა.** ეს იმიტომ, რომ **ორი ობიექტიდან მხოლოდ ერთი იცვლება პირების მიხედვით, მეორე კი უცვლელად რჩება:** ის მას **წიგნსა** სთხოვს, ის მას **წერილს** უგ ზავნის — „წიგნს“, „წერილს“ მეორდება; შეიძლება მისი რიცხვი ვცვალოთ (ის მას **წიგნებსა** სთხოვს, ის მას **წერილებს** უგ ზავნის), მაგრამ პირს ვერ ვუცვლით. სამპირიანი ზმნა იცვლება სუბიექტისა და ერთ-ერთი ობიექტის მიხედვით. ასეთ პირობებში „სამპირიანობა“ არსებითად განსხვავდება ორპირიანობისაგან: ორპირიანი ზმნა იცვლება ორივე პირის (სუბიექტისა და ობიექტის) მიხედვით, სამპირიანი ზმნა-კი ქართულში სამივე პირის ცვლას არ ნიშნავს. თუ მაინც სამპირიანობაზე ვლაპარაკობთ, ამის საფუძველი ისაა, რომ **ფუძე** სამპირიანი ზმნისა განსხვავებულია ორპირიანი ზმნის ფუძისაგან, როგორც ეს ხელშესახები ხდება **გნებითის წარმოებისას**, აგრეთვე **საობიექტო ქცევაში**.

36. რა აჩენს ორპირიანობას? ზმნას ორი პირი იმიტომ შეიძლება ჰქონდეს, რომ წინადადებაში მასთან ორი სახელია დაკავშირებული შინაარსობლივ: **გ-ზრდი-ს** შენ ის... **მ-ეხმარებ-ა** მე ის... ზმნის აგებულებაში სათანადოდ უკუფენილია წინადადების შედგენილობა.

ასეთი შეფარდება ყოველთვის არაა დაცული. შეიძლება წინადადებაში ორი სახელი უკავშირდებოდეს შინაარსით ზმნას (თან ისეთ ბრუნვაში იყოს დასმული, რომ პირის ნიშანი შეეფერებოდეს), მაგრამ ზმნაში მხოლოდ ერთი პირი გვქონდეს, ზმნა ერთპირიანი იყოს (ბავშვი ბურთს თამაშობ-ს: ზმნაში ერთი პირილა ჩანს, სუბიექტისა).

¹ მეორდება გთხოვთ — ის თქვენ (მას); მე თქვენ; ჩვენ შენ; ჩვენ თქვენ;

შეიძლება ზმნაში ორი პირის ნიშანი გვექონდეს და წინადადებაში სათანადო სახელი არ გაგვაჩნდეს: **გ-ძინავ-ს** შენ: **გ-** დაკავშირებულია **შენ** ნაცვალსახელთან, **-ს** ბოლოსართის შესაბამისი სახელი არ ჩანს (და არც შეიძლება ამჟამად დაირთოს ზმნამ: გძინავს შენ **ის** — უაზრობაა. ძველად კი ეს მეორე სახელიც დაისმოდა: გ-ძინავ-ს შენ ძილი (ასევე: „შეხედა მან მას“ გარდამავალი ზმნაა და ობიექტი სახელობითში შეეფერება, მაგრამ არა აქვს. ჰქონდა კი: „შეხედნა მან მას **თვალნი**“, ჰქონდა და დაეკარგა).

ამგვარად: წინადადებაში სათანადო სახელი დაგვეკარგა, ზმნაში ამ სიტყვის წარმომადგენელი კიდევ ზის: **ზმნის ფორმა ჩამორჩა წინადადების შინაარსს.**

37. ერთპირიანი ზმნა ყველა გარდაუვალია, სამპირიანი ზმნა ყველა გარდამავალია¹, ორპირიანი ზმნა შეიძლება გარდამავალიც იყოს და გარდაუვალიც.

გარდამავალ ორპირიან და სამპირიან ზმნებს შეიძლება ჰქონდეს ორგვარი წყობა: **პირდაპირი** და **შებრუნებული** (ინვერსიული). პირდაპირს წყობაში რეალური სუბიექტი ზმნაშიც სუბიექტია, სუბიექტის ნიშნით გადმოიცემა, რეალური ობიექტი ზმნაშიც ობიექტია, ობიექტის ნიშნით გადმოიცემა. **შებრუნებულ** წყობაში რეალური **სუბიექტი** ზმნაში **ობიექტის** ნიშნით გადმოიცემა, რეალური **ობიექტი**, პირიქით, **სუბიექტის** ნიშნით არის წარმოდგენილი

მე	გ-ზრდი	—	მე	მ-იზრდი-ა...
მე	გ-ს-თხოვ	—	მე	მ-ითხოვი-ა....
მე	გ-აკეთებ	—	მე	მ-იკეთებია...
მე	გ- უგზავნი	—	მე	მ-იგზავნია (მისთვის)...

გზრდი, ვაკეთებ, ვსთხოვ, ვუგზავნი — პირდაპირი წყობისაა; **მიზრდია, მიკეთებია, მითხოვია, მიგზავნია** — შებრუნებული (ინვერსიული) წყობისა.

ყოველი გარდამავალი ზმნა აწმყოში და ნამყო ძირითადში პირდაპირი წყობისაა, თურმეობითში შებრუნებული (ინვერსიული) წყობისა ხდება.

გარდაუვალი ზმნები ასეთ ცვლას არ განიცდის: რა წყობაც აწმყოში ექნება, მას ინარჩუნებს უღვლილებაში.

ეს ეხება ორპირიან გარდაუვალ ზმნებს (ვეხმარები, ვეგებები, ვესალმები, ვეწევი, ვერწევი... მე მას):² პირდაპირი წყობა გვაქვს

¹ დაპირდა (იგი მას დახმარებას), მოუყვა (იგი მას ამბავს)... გარდაუვალია, თუმც სამპირიანია. ეს სამპირიანობა მეორეულია.

² ერთპირიან ზმნებში წყობის ცვლა გამორიცხულია.

აწმყოში, პირდაპირი წყობა გვექნება ნამყო ძირითადშიც (დაგვხმარე, შეგვეგებე... მივესალმე...), თურმეობითშიც (დაგვხმარებივარ, შეგვჭებებივარ, მივესალმებივარ...).

მაგრამ გარდაუვალ ზმნებში არის ერთი ჯგუფი, რომელიც **აწმყოშივე შებრუნებული წყობით არის წარმოდგენილი**; ასეთია, მაგალითად: მაქვს, მყავს, მძულს, მიყვარს, მშია, მწყურია, მიწადა, მსურს... ყველგან **ობიექტის** ნიშნით (**მ-** თავსართით) გადმოცემულია **რეალური სუბიექტი**, ის პირი, რომელსაც „აქვს“, „ყავს“, „სძულს“, „ყვარს“, „შია“, „სწყურია“... ხოლო სუბიექტის ნიშნით (**-ხ** ბოლოსართით) — რეალური **ობიექტი** (რაც აქვთ, ჰყავთ, სძულთ, უყვართ...).

ხსენებულ ზმნებში შებრუნებული წყობა **სტაბილურია**.

ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი ორპირიანი გარდაუვალი ზმნები, როგორიცაა: **ადგას, აკლდება, ხვდება** მას ის...

ამგვარ ზმნებს რეალურ სუბიექტად შეიძლება ჰქონდეს ერთ შემთხვევაში **მას** (მას ადგას, მას აკლდება, მას ხვდება ის), სხვა შემთხვევაში — **ის** (ის ადგას, ის აკლდება, ის ხვდება მას). პირველ შემთხვევაში წყობა იქნება შებრუნებული (ინვერსიული), მეორე შემთხვევაში — პირდაპირი. ეს განსხვავება გამოხატულებას პოვებს ზმნის უღვლილებაში, სახელდობრ, მრავლობითის მესამე პირში: შებრუნებულ წყობაში გვექნება — **მათ** ადგათ, **მათ** აკლდებათ, **მათ** ხვდებათ (**ზმნა ეთანხმება რიცხვში მიცემით ბრუნვას**), პირდაპირ წყობაში — **ისინი** ადგანან, **ისინი** აკლდებიან, **ისინი** ხვდებიან. შდრ., მაგალითად: მოლარეებს **დააკლდათ** ფული — მოლარეები **დააკლდნენ** კრებას... [გამოცდაზე] მოწაფეებს შეხვდათ რთული ამოცანა — მოწაფეები მომზადებული **შეხვდნენ** გამოცდებს... ავადმყოფებს ჭვალი **ადგათ** — დედები ავადმყოფ ბავშვებს თავს **ადგანან** ...

ამგვარ გარდაუვალ ზმნებს **მერყევი** (ლაბილური) წყობა აქვს¹.

38. ორპირიან და სამპირიან ზმნას შეუძლია აღნიშნოს კუთვნილებითი ურთიერთობა ობიექტსა და სუბიექტს შორის, ობიექტსა და ობიექტს შორის. შეიძლება ობიექტი ეკუთვნოდეს სუბიექტს (ანდა განკუთვნილი იყოს სუბიექტისათვის), — ეს იქნება სასუბიექტო ქცევა. შეიძლება ობიექტი ეკუთვნოდეს ისევ ობიექტს (ანდა განკუთვნილი იყოს ობიექტისათვის), — ეს იქნება საობიექტო ქცევა.

დავითი სახლს იშენებს (იშენებს = აშენებს თავის სახლს, აშენებს სახლს თავისთვის).

¹ ჰყავს ზმნას მრავლობითის მესამე პირში ამჟამად ზოგ კილოში შეიძლება ჰქონდეს როგორც ჰყავთ (მათ ჰყავთ მშობლები), ისე ჰყვანან ((დამანი ჰყვანან მას). წყობა აქაც ლაბილურია. სალიტერატურო ქართულში ამ ზმნას სტაბილური წყობა აქვს. მათ ჰყავთ ძმა — მათ ჰყავთ ძმები.

დავითი წყურვილს იკლავს (იკლავს = „კლავს“ თავის წყურვილს).

დავითი ძმას შვილს უზრდის (უზრდის = ზრდის ძმის შვილს).

დავითი ძმას წერილს უგზავნის (უგზავნის = გზავნის წერილს ძმისათვის).

სასუბიექტო ქცევას **o**- თავსართი აქვს ყველა პირში: **o**შენებს, **o**შენებ, **ვo**შენებ; **o**შენებენ, **o**შენებთ, **ვo**შენებთ; **o**კლავს, **o**კლავ, **ვo**კლავ; **o**კლავენ, **o**კლავთ, **ვo**კლავთ. საობიექტო ქცევას ორი თავსართი აქვს: **u**- მესამე პირში (**u**ზრდის, **u**შენებს, **u**კლავს — მას მას); **o** მეორესა და პირველ პირში: **გ-o**-შენებს, **მ-o**-შენებს... **გ-o**-კლავს, **მ-o**-კლავს... **გ-o**-ზრდის, **მ-o**-ზრდის...

სასუბიექტო ქცევას სათავისოს უწოდებენ; საობიექტოს სასხვისო ჰქვია¹.

სასუბიექტოსა და საობიექტო ქცევებთან შეპირისპირებით გამოიყოფა საარვისო ანუ ნეიტრალური ქცევა: აშენებს, აკეთებს, ზრდის, ხატავს, თესავს... ამგვარ ზმნებში არა ჩანს, ვისთვისაა განკუთვნილი მოქმედება: ზმნის თავსართი ამაზე არაფერს გვეუბნება².

თავისებური ვითარება იქნეს თავს ქცევების საკითხში გარდაუღალ ზმნებთან.

უშენდება (მას სახლი), უკეთდება (მას საქმე), უფითრდება (მას სახე), უშრება (მას პირი)... ყველა გადმოგვცემს კუთვნილებას, ყველგან კუთვნილება საობიექტოა, ყველგან ამ საობიექტო ქცევის შესაბამისი **u**- თავსართი გვაქვს. საობიექტო ქცევაში ორი ობიექტი უნდა გვქონდეს: ერთი ობიექტი უნდა იყოს განკუთვნილი მეორისათვის. მაგრამ აქ მხოლოდ ერთი ობიექტი გვაქვს: აქ საობიექტო ქცევა აღნიშნავს, რომ ობიექტისათვის სუბიექტია განკუთვნილი. სკოლას უშენდება ახალი სახლი — სახლი სკოლისაა, სკოლისათვის ახალი სახლი უშენდება: ზმნის სუბიექტი (სახლი) განკუთვნილია ობიექტისათვის (სკოლას).

შენიშვნა 1. შეიძლება ზმნას **o**- და **u**- თავსართი ჰქონდეს, მაგრამ კუთვნილებითს ურთიერთობას არ აღნიშნავდეს: **o**-ცის, **u**-წყის, **u**-ყვარს არც სასუბიექტოა (სათავისოა), არც საობიექტო (სასხვისო). ამგვარი შემთხვევები საინტერესოა ქცევის კატეგორიის წარმოქმნის თვალსაზრისით.

¹ მიშენებს, მიკლავს, მიზრდის **o**გ **o** მე **o** მას ხშირად ერევთ სათავისოში: რაკი „**o** მე მიშენებს“, — სათავისოაო. ამგვარი გაუგებრობისათვის ნაკლები ადგილი დარჩება, თუ „საობიექტო“-ს ვიხმართ; მიშენებს იგი მე მას — „**o** მე“ ობიექტია, ქცევაც საობიექტოა. ამდენადვე უპირატესობა უნდა მიეცეს უფრო ზუსტ ტერმინს — საობიექტოს.

² ისე კი, ცხადია, თუ რასმე აშენებენ, შენობას გარკვეული დანიშნულება ექნება. მაგრამ ამას გავიგებთ **წინადადებიდან** (და არა ზმნიდან): აშენებს სკოლისათვის, მასწავლებელთათვის, თავისთვის. ასეთი ზმნები ქართულში ქცევას ისევე არ გადმოგვცემენ, როგორც რუსული, სომხური ან ლათინური ზმნა.

შენიშვნა 2. შესაძლოა საარვისო არ გვექონდეს და საობიექტო ქცევა სასუბიექტოსთან შეპირისპირებით იძლეოდეს სათანადო ქცევის გაგებას: წამალს ყელში ამოუსვამს — შდრ. წამალს ყელში ამოისვამს ("წამალს ამოსვამს" არ არსებობს)... ასევე: ითმენს და უთმენს, იწყებს და უწყებს...

შენიშვნა 3. ქცევები ეწარმოება კაუზატივებსაც: აზრდევინებს — იზრდევინებს — უზრდევინებს (იშვიათად ხმარებულია)... ატეხინებს — იტეხინებს...

შენიშვნა 4. კუთვნილებას არ გადმოგვცემს, მაგრამ სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობას (სივრცეში განლაგების მხრივ) ახასიათებს **ა-** თავსართიანი წარმოება: ადევს ის მას (მხარზე), აწვება ის მას (გულზე), ახატავს ის მას (კედელზე), დაატეხს ის მას (თავზე) და სხვ. ეს „საზედაო“ შინაარსი ქცევისას არა ხვდება, მაგრამ იმავე რიგისაა (ტერმინები: საარვისო, სათავისო, სასუბიექტო, საობიექტო, საზედაო ა.შანიძის შემოღებულია).

39. ზმნის სუბიექტი შეიძლება უშუალოდ მოქმედებდეს, შეიძლება სხვის მეშვეობით ასრულებდეს ზმნაში აღნიშნულ მოქმედებას: დავითი წერს წერილს — დავითი აწერინებს ამხანაგს წერილს. ორსავე წინადადებაში ზმნის სუბიექტია დავითი; ზმნაში ეს სუბიექტი თანაბრად აღინიშნება **-ხ** ბოლოსართით. სინამდვილეში კი დავითი „წერილს“ წერს მხოლოდ პირველ შემთხვევაში, მეორეში — წერილს ამხანაგი წერს — დავითის დავალებით, თხოვნით თუ დახმარებით. „წერს“ მოქმედების **უშუალო** გზაა, აწერინებს — **შუალობითი გზა** ანუ **კაუზატივი**. კაუზატივის შინაარსი გადმოიცემა ზმნებით: აიძულებს, ავალეხს, სთხოვს, საშუალებას აძლევს, შეაძლებინებს...

კაუზატივი გარდამავალ ზმნებს ეწარმოებათ. ზოგი გარდაუვალი ერთპირიანი ზმნაც შეიძლება „გავაკაუზატიუროთ“: დუმს ის — აღუმებს ის მას... წუხს ის — აწუხებს ის მას... დვას ის — აღვენს ის მას... ჩანს ის — აჩენს ის მას.

აღუმებს, აწუხებს, აღვენს ის მას... გარდამავალი ორპირიანი ზმნებია, მაშასადამე, მოქმედებითი გვარისაა. **მოქმედებითი გვარი** ამ შემთხვევაში **ხტატიკური** (გარდაუვალი) **ზმნის კაუზატივის უდრის**. იბერიულ-კავკასიურ ენებში მოქმედებითი გვარის წარმოქმნის თვალსაზრისით ეს პროცესი საგულისხმოა.

40. გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარისაა. წერს, ხატავს, თესავს, ზრდის... აკეთებს, აშენებს, აწითლებს, ამშვენებს, აღიღებს, აძლიერებს... უწერს, უხატავს, უთესავს, უზრდის... უკეთებს, უშენებს, უწითლებს, უმშვენებს, უდიღებს... აწერინებს, ახატვინებს, ათესვინებს,

აზრდევინებს... აკეთებინებს, აშენებინებს, აწითლებინებს, ამშვენებინებს, აღიდებინებს... **მოქმედებითი** გვარის ზმნებია. ყველგან პროცესი განიხილება **სუბიექტიდან** ამოსვლით. იწერება, იხატება, ითესება, იზრდება... კეთდება, შენდება, წითლდება, მშვენდება, დიდდება... ეწერება, ეხატება, ეთესება, ეზრდება... უკეთდება, უშენდება, უწითლდება, უმშვენდება, უდიდდება... **ვნებითი** გვარისაა. ყველგან პროცესი განიხილება **ობიექტიდან** ამოსვლით.

ვნებითს აწარმოებს თავსართები **ი-** (იზრდება, ითესება...), **ე-** (ეზრდება, ეთესება...), ბოლოსართი **-დ** (კეთდება, შენდება... უკეთდება, უშენდება...). **ი-** თავსართიანი ვნებითი ერთპირიანია (იზრდება ბავშვი), **ე-** თავსართიანი — ორპირიანია (ეზრდება მას ბავშვი); **-დ** ბოლოსართიანი ვნებითი შეიძლება იყოს ერთპირიანიც (კეთდება, შენდება...) და ორპირიანიც (უკეთდება, უშენდება...). ერთპირიანი ვნებითი მიიღება ორპირიანი მოქმედებითისაგან, ორპირიანი ვნებითი — სამპირიანი მოქმედებითისაგან: ვნებითს ერთი პირით ნაკლები აქვს სათანადო მოქმედებითზე (ა. შანიძე). ეს ერთი პირი, რომელიც გვაკლდება, მოქმედებითი გვარის სუბიექტისაა:

დავითი გზავნის წერილს — წერილი იგზავნება (დავითის მიერ)...

დავითი უგზავნის ძმას წერილს — წერილი ეგზავნება ძმას (დავითის მიერ)...

„დავითის მიერ“ ხელოვნურად ისმის: ვნებითი აუცილებლად არ მოითხოვს ამ რეალური სუბიექტის დასმას (რომც დავსვათ, პირს ზმნაში არ გააჩენს).

ამიტომ **შესაძლებელი ვნებითის შინაარსი გადმოგხცვთ მრავლობითით, რომელსაც განუხაზღვრელი სუბიექტი აქვს:** იხატება = ხატავენ, ითესება = თესავენ, იზრდება = ზრდიან, კეთდება = აკეთებენ, შენდება = აშენებენ¹.

შენიშვნა 1. **ი-** თავსართიანი ვნებითი ნამყო ძირითადად და კავშირებით მეორეში, როგორც წესი, მხოლოდ ამ თავსართებით განსხვავდება მოქმედებითისაგან (გავზარდე — გავიზარდე, ჩავწერე, — ჩავწერე); **აწმყოში განსხვავება გაცილებით მეტია** (ე-ზრდი—ე-ი-ზრდ-ებ-ი). ვნებითი და მოქმედებითი უფრო **მკვეთრად გარჩეულია** აწმყოში.

შენიშვნა 2. ვნებითი შეიძლება კაუზატივიდანაც ვაწარმოოთ: აზრდევინებს — ეზრდევინება, ათრევენებს — ეთრევენება... მაგრამ ამგვარი ვნებითის ხვედრი წონა უმნიშვნელოა.

შენიშვნა 3. ვნებითად მიიჩნევენ ისეთ ზმნებსაც, როგორიცაა: დგება, წვება, თბება, შრება, ხმება, ტკება... ვნებითის მაწარმოებელი ამ რიგის ზმნებში არა ჩანს: დავდექ

¹ ეს ფაქტი შეუქსა ფენს იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნის უღვლილების ზოგ არსებითს მხარეს.

(← დავდეგ), დავწექ (← დავწევ), გავთბი, გავშრი, დავტკბი... ამიტომაც უწოდებენ „უნიშნო ვნებითს“. თუ ვნებითია, ნიშანიც უნდა ჰქონდეს: ვნებითი მოქმედებითისაგან იწარმოება და, ცხადია, მაწარმოებელი ფორმანტიც (ნიშანი) უნდა მოეპოვებოდეს.

რაკი ასეთი ნიშანი არ მოგვეპოვება, ბუნებრივი იქნებოდა ასეთი ზმნები დაგვეხასიათებინა, როგორც **გარდაუვალი დინამიკური ზმნები**¹. დგამს — **გარდამავალი მოქმედებითია**, იღმემა — **გარდაუვალი ვნებითი**; დგას — **გარდაუვალი სტატიკურია**, დგება — **გარდაუვალი დინამიკური**.

შენიშვნა 4. ი- და ე- თავსართიანი ვნებითი ხშირად **შესაძლებლობასაც** გამოხატავს, პოტენციალისია: იჭმება, ისმება, ითქმის რამე... ეჭმება, ესმება, ეთქმის... ვისმე რამე.

ვნებითი იწარმოება გარკვეული თავსართ-ბოლოსართებით მოქმედებითისაგან. **რა აწარმოებს მოქმედებითს? რისგან იწარმოება მოქმედებითი?** საკითხი მეტად რთულია; მასთან სათანადოდ შესწავლილი არაა. ზმნის უღვლილების ზოგადი პრინციპები იბერიულ-კავკასიურ ენებში გვაფიქრებინებს შემდეგს: მოქმედებითი გვარი მეორეულია, ე. ი. მოქმედებითი გვარი ნაწარმოებია; წარმოებისათვის ამოსავალია **სტატიკური ზმნა**. მაწარმოებლებად იმგვარივე თავსართი და ბოლოსართები უნდა გვექონოდა, როგორც კაუზატივებშია გამოყენებული: **მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბების გზა კაუზატივი უნდა ყოფილიყო**. ამის ილუსტრაციად გამოდგებოდა **წუხს**-ს და **აწუხებს**-ს ზმნათა ურთიერთობა (იხ. § 39).

41. მოქმედების სრული სახე (ასპექტი) ქართულ ზმნაში გადმოიცემა წინდებულებით:

ნამყო ძირითადში: აკეთა — **გა-აკეთა**, აშენა — **ა-აშენა**... ზარდა — **გა-ზარდა**; თესა — **და-თესა**; ხატა — **და-ხატა**; ამშვენა — **და-ამშვენა**; აწუხა — **შე-აწუხა**...

თურმეობითს პირველში: უზრდია — **გა-უზრდია**; უთესავს — **და-უთესავს**; უხატავს — **და-უხატავს**; უმშვენებია — **და-უმშვენებია**; უწუხებია — **შე-უწუხებია**... ყველა ეს ზმნა გარდამავალია.

მსგავსივე ვითარება გვაქვს გარდაუვალ ვნებითში: იზარდა — **გა-იზარდა**, ითესა — **და-ითესა**, იხატა — **და-იხატა**...

შენიშვნა 1. დ-იან ვნებითს ნამყო ძირითადში მხოლოდ **სრული ასპექტი აქვს**: გა-კეთდა, ა-შენდა, გა-ძლიერდა, დამშვენდა, გა-წითლდა, გა-ფითრდა, გა-სივდა, გა-ღვივდა და სხვ. უწინდებულოდ დ-იანი ვნებითი (კეთდა, შენდა, ძლიერდა...) ნამყო ძირითადში შეუძლებელია.

¹ ვნებითი საპირისპიროა მოქმედებითისა, დინამიკური — სტატიკურისა.

შენიშვნა 2. რიგ ზმნაში სრული ასპექტი გვაქვს, მაგრამ ზმნა წინდებულს არ დაირთავს: თქვა, ნახა, სთხოვა, ჰკითხა... ეს ძველი მოვლენაა: არაერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში (მაგალ., დაღესტნურ ენებში) წინდებული სრული ასპექტის აღსანიშნავად უცნობია (თუ ზმნას წინდებული მოეპოვება, იგი მიმართულებას ან სივრცეში ადგილმდებარეობას აღნიშნავს).

შენიშვნა 3. სრული სახის აღმნიშვნელი წინდებული რომ **აწმყოს დაფურთოთ**, მივიღებთ **მყოფადს**: აკეთებს—**გა**-აკეთებს, აშენებს—**ა**-აშენებს, ზრდის—**გა**-ზრდის, თესავს—**და**-თესავს... კეთდება—**გა**-კეთდება, შენდება—**ა**-შენდება, იზრდება—**გა**-იზრდება, ითესება—**და**-ითესება... მყოფადისაგან ნაწარმოები ნამყო უსრული პირობითს კილოს უდრის: **გა**-აკეთებდა, **ა**-აშენებდა, **გა**-ზრდიდა, **და**-თესავდა, **გა**-კეთდებოდა, **ა**-შენდებოდა, **გა**-იზრდებოდა, **და**-ითესებოდა... ნახავდა, მისცემდა...

წინდებულს შეუძლია მიმართულებაც გადმოსცეს: **ა**-იტანს (ზევით), **მო**-იტანს (აქეთ), **მი**-იტანს (იქით), **გა**-იტანს (გარეთ), **შე**-იტანს (შიგ), **ჩა**-იტანს (ქვეითკენ რამეში) და ასე შემდეგ.

წინდებულის დართვისას ფუძის მნიშვნელობა შეიძლება არსებითადაც იცვალოს. შდრ. **გა**-იგო — **მო**-იგო—**და**-იგო...

42. ბრძანებითს კილოს ქართულში საკუთარი ნაკვთები არა აქვს. იგი იყენებს ნამყო ძირითადს, კავშირებითს II-ს, აწმყოს. ნამყო ძირითადი: აკეთე! აკეთეთ! კავშირებითი II: აკეთოს! აკეთონ! არ აკეთო! არ აკეთოთ! არ აკეთოს! არ აკეთონ! აწმყო: ნუ აკეთებ! ნუ აკეთებთ! ნუ აკეთებს! ნუ აკეთებენ!

პირობითი კილოს ფუნქცია, როგორც წესი, კავშირებითს (I, II, III,) აქვს და ნამყოფადარ ნამყო უსრულს: (რომ) აკეთებდეს, აკეთოს, ეკეთებინოს... გააკეთებდა (რომ)...

თხრობითი კილო მდიდარია ნაკვთებით (იხ. § 43).

43. ყველა **საუღვლებელი ერთეული (ნაკვთი)** ქართულში ქმნის სამ ჯგუფს ანუ წყებას: 1. აწმყოს წყებას, 2. ნამყო ძირითადის წყებას და 3. თურმეობითის წყებას. პირველი ორი წყების გამოყოფის საფუძველს ფუძეთა წარმოება ქმნის (ეს პრინციპი ქართული ზმნის უღვლილებაში ნ. მარმა დანერგა. მასვე ეკუთვნის ამ სამი ჯგუფის გამოყოფა, რითაც უღვლილების ნაკვთთა ურთიერთობა ნათელი გახდა).

აწმყოს წყებას ამოსავლად აწმყოს ფუძე აქვს, ნამყო ძირითადის წყებას—ნამყო ძირითადი; თურმეობითის წყებას ამოსავალი ფუძე არ აერთიანებს: ამ წყების ნაკვთები ერთნაირია აგებულებით: ან

ინვერსიულია (გარდამავალ ზმნებში), ან აღწერითი (გარდაუვალ ერთპირიან დინამიკურ ზმნებში)...

აწმყო წყებაში შედის:

1. აწმყო;
2. აწმყოსაგან ნაწარმოები ნამყო უსრული;
3. ნამყო უსრულისაგან ნაწარმოები კავშირებითი პირველი;
4. აწმყოსაგანვე ნაწარმოები მყოფადი და
5. მყოფადისაგან ნაწარმოები პირობითი.

ნამყო ძირითადის წყებაში შედის:

1. ნამყო ძირითადი (აორისტი) და
2. კავშირებითი მეორე.

თურმეობითის წყებაში შედის:

1. თურმეობითი პირველი (გარდამავალ ზმნებთან იწარმოება აწმყოსაგან ან ნამყო ძირითადისაგან ინვერსიულად);

2. თურმეობითი მეორე (იწარმოება ნამყო ძირითადის ფუძისაგან) და

3. კავშირებითი მესამე (იწარმოება კავშირებითი მეორისაგან).

პირველი წყება (სერია): 1. **აწმყო** (ზრდის). 2. ნამყო

უსრული (ზრდიდა) → 3. კავშირებითი პირველი (ზრდიდეს).

4. მყოფადი (გაზრდის) → 5. პირობითი (გაზრდიდა).

მეორე წყება (სერია): 6. **ნამყო ძირითადი** (ზარდა) → 7. კავ-

შირებითი მეორე (ზარდოს).

მესამე წყება (სერია): 8. თურმეობითი პირველი (უზრდია).

9. თურმეობითი მეორე (ეზარდა) → 10. კავშირებითი მესამე

(ეზარდოს).

ნამყო ძირითადში (აორისტში) ყველაზე გავრცელებული,

მასთან ძველი სუფიქსია **-ე** (ვაკეთე, ვაშენე, ვწერე, ვხატე, ვთესე,

ვასწორე, ვზარდე, ვნახე... (მესამე პირის **-ა** ბოლოსართის წინ ეს **-ე**

იკარგება: აშენ-ა, აკეთ-ა, -თეს-ა, ზარდ-ა, ნახ-ა...).

შედარებით ნაკლებ გავრცელებულია **-ი**: გავწითლდი-ი, გავფითრდი-

-ი, შევწუხდი-ი, გავთბი-ი, გავშრი-ი, ვთქვი-ი, ვსვი-ი, ავდექი-ი, დავწექი-ი,

გავხსენი-ი... (ისეთ ზმნებში, როგორცაა: ვსვი-ი, ვთქვი-ი, ავდექი-ი,

დავწექი-ი, გავხსენი-ი... **-ი** ბოლოსართი მეორეულია და შედარებით

ახალი).

აწმყო სუფიქსებად გვაქვს: **-ებ** (ვაშენებ, ვაკეთებ, ვაგროვ-

ებ, ვაწუხებ...), **-ობ**, რომელიც მიღებულია **-ებ**-ისაგან (ვსპობ, ვთმ-

¹ უფრო თანამიმდევრული იქნებოდა **ნაკვთის წარმოების პრინციპი ბოლომდე გაგვეტარებინა**; მაშინ ყველა ნაკვთი ორ წყებაში გაერთიანდებოდა: 1. აწმყო წყებაში და 2. ნამყო ძირითადის წყებაში. ჩვენ აქ ტრადიციულ სამ წყებას ვტოვებთ.

ობ, ვაშრ-ობ, ვატკბ-ობ...), -ოფ (ვყ-ოფ), -ამ (ვდგ-ამ, ვსვ-ამ...), -აფ (ვხატ-აფ, ვკერ-აფ, ვხურ-აფ...), -ეფ (ვლ-ეფ, ვძლ-ეფ, ვრ-ეფ), -ი (ვშლ-ი, ვთლ-ი, ვცლ-ი, ვჭრ-ი...), -ემ (ვთვლ-ემ, ვსც-ემ...)—(ვ. თოფურია)...

აწმყოს ფუძე შეიძლება განსხვავდებოდეს ნამყო ძირითადის ფუძისაგან ხსენებული სუფიქსებით; შეიძლება ნამყო ძირითადში გვქონდეს ფუძის ხმოვნის მონაცვლეობა (ვგრეხ—ვგრიხე, ვგლეჯ—ვგლიჯე, ვწნეხ—ვწნიხე); შეიძლება აწმყოს ფუძე მთლიანად განმეორდეს ნამყო ძირითადში (ვწერ—ვწერე, ვსთხოვ—ვსთხოვე...)¹.

ქართული ზმნის უღვლილების სქემები

1. დინამიკური ზმნები (ი- ვნებითიანი ტიპი)

I. აწმყოს წყება

1. აწმყო

1. ზრდის (გარდამავ. ორპირ. საარვისო ქც.)

2. იზრდის (გარდამავ. ორპირ. სასუბ. ქც.)

იხ	მას	ზრდის
„	შენ	გზრდის
„	მე	მზრდის
შენ	მას	ზრდი
„	მე	მზრდი
მე	მას	ვზრდი
„	შენ	გზრდი

იხ	მას	იზრდის
შენ	მას	იზრდი
მე	მას	ვიზრდი³

3. უზრდის (გარდამავ. სამპირ. საობიექტ. ქცევა)

4. აზრდევინებს (გარდამავ. სამპირ. კაუზატ.)

იხ	მას	შვილს	უზრდის
„	შენ	„	გიზრდის
„	მე	„	მიზრდის
შენ	მას	„	უზრდი
„	მე	„	მიზრდი
მე	მას	„	ვუზრდი
„	შენ	„	გიზრდი

იხ	მას	შვილს	აზრდევინებს
„	შენ	„	გაზრდევინებს
„	მე	„	მაზრდევინებს
შენ	მას	„	აზრდევინებ
„	მე	„	მაზრდევინებ
მე	მას	„	ვაზრდევინებ
„	შენ	„	გაზრდევინებ

¹ სხვა დროთა წარმოებას აქ არ ვვებით (იხ. უღვლილების ტაბულა).

² მოგვყავს სუბიექტისა და ობიექტის ცვლა მართოდენ მხოლოდობითში. უღვლილების ფორმათა სრული ნუსხა იხ. § 33.

³ სასუბიექტო ქცევა ობიექტის პირებს, როგორც წესი, არ იცვლის.

6.	იხ	მას	ეზრდებოდა
	„	შენ	გეზრდებოდ
			ა
	შენ	მე	მეზრდებოდა
	„	მას	ეზრდებოდი
	„	მე	მეზრდებოდი
	მე	მას	ვეზრდებოდი
	„	შენ	გეზრდებოდ
			ი

3. კ ა გ შ ი რ ე ბ ი თ ი ბ ი რ ვ ე ლ ი

1.	იხ	მას	ზრდიდეს	2.	იხ	მას	იზრდიდეს
	„	შენ	გზრდიდეს				
	„	მე	მზრდიდეს				
	შენ	მას	ზრდიდე	შენ	მას	იზრდიდე	
	„	მე	მზრდიდე				
	მე	მას	ვზრდიდე	მე	მას	ვიზრდიდე	
	„	შენ	გზრდიდე				

3.	იხ	მას	შვილს	უზრდიდეს
	„	შენ	„	გიზრდიდეს
	„	მე	„	მიზრდიდეს
	შენ	მას	„	უზრდიდე
	„	მე	„	მიზრდიდე
	მე	მას	„	ვუზრდიდე
	„	შენ	„	გიზრდიდე

4.	იხ	მას	შვილს	აზრდევინებდეს
	„	შენ	„	გაზრდევინებდეს
	„	მე	„	მაზრდევინებდეს
	შენ	მას	„	აზრდევინებდე
	„	მე	„	მაზრდევინებდე
	მე	მას	„	ვაზრდევინებდე
	„	შენ	„	გაზრდევინებდე

5.	იხ	იზრდებოდეს	რ.	იხ	მას	ეზრდებოდეს
				„	შენ	გეზრდებოდეს
	შენ	იზრდებოდე		„	მე	მეზრდებოდეს
				შენ	მას	ეზრდებოდე
	მე	ვიზრდებოდე		„	მე	მეზრდებოდე
				მე	მას	ვეზრდებოდე
				„	შენ	გეზრდებოდე
.....

4. მყოფადი

1.	იხ	მას	გაზრდის	2.	იხ	მას	გაიზრდის
	„	შენ	გაგზრდის				
	„	მე	გამზრდის				
	შენ	მას	გაზრდი		შენ	მას	გაიზრდი
	„	მე	გამზრდი				
	მე	მას	გავზრდი		მე	მას	გავიზრდი
	„	შენ	გაგზრდი				
.....

3.	იხ	მას	შვილს	გაუზრდის
	„	შენ	„	გავიზრდის
	„	მე	„	გამიზრდის
	შენ	მას	„	გაუზრდი
	„	მე	„	გამიზრდი
	მე	მას	„	გავუზრდი
	„	შენ	„	გავიზრდი
.....

4.	იხ	მას	შვილს	გააზრდევინებს	5.	იხ	გაიზრდება
	„	შენ	„	გაგაზრდევინებს			
	„	მე	„	გამაზრდევინებს			
	შენ	მას	„	გააზრდევინებ		შენ	გაიზრდები
	„	მე	„	გამაზრდევინებ			
	მე	მას	„	გავაზრდევინებ		მე	გავიზრდები
	„	შენ	„	გაგაზრდევინებ			
.....

6.	იხ	მას	გაეზრდება
	„	შენ	გაგეზრდება
	„	მე	გამეზრდება

შენ	მას	გაეზრდები
„	მე	გამეზრდები
მე	მას	გავეზრდები
„	შენ	გაგეზრდები
.....

5. ბ ი რ ო ბ ი თ ი

1.	იხ	მას	გაზრდიდა	2.	იხ	მას	გაიზრდიდა
	„	შენ	გაგზრდიდა				
	„	მე	გამზრდიდა		შენ	მას	გაიზრდიდი
	შენ	მას	გაზრდიდი		მე	მას	გავიზრდიდი
	„	მე	გამზრდიდი				
	მე	მას	გავზრდიდი				
	„	შენ	გაგზრდიდი	
				

3.	იხ	მას	შვილს	გაუზრდიდა
	„	შენ	„	გაგიზრდიდა
	„	მე	„	გამიზრდიდა
	შენ	მას	„	გაუზრდიდი
	„	მე	„	გამიზრდიდი
	მე	მას	„	გავუზრდიდი
	„	შენ	„	გაგიზრდიდი

4.	იხ	მას	შვილს	გააზრდევინებდა	5.	იხ	გაიზრდებოდა
	„	შენ	„	გაგაზრდევინებდა			
	„	მე	„	გამაზრდევინებდა		შენ	გაიზრდებოდი
	შენ	მას	„	გააზრდევინებდი		მე	გავიზრდებოდი
	„	მე	„	გამაზრდევინებდი			
	მე	მას	„	გავაზრდევინებდი			
	„	შენ	„	გაგაზრდევინებდი	
			

6.	იხ	მას	გაეზრდებოდა
	„	შენ	გაგეზრდებოდა
	„	მე	გამეზრდებოდა
	შენ	მას	გაეზრდებოდი
	„	მე	გამეზრდებოდი
	მე	მას	გავეზრდებოდი
	„	შენ	გაგეზრდებოდი

II. ნამყო ძირითადის წყება

ბ. ნამყო ძირითადი

1.	მან	ის	ზარდა (გა-ზარდა)	2.	მან	ის	იზარდა (გა-იზარდა)
	„	შენ	გზარდა				
	„	მე	მზარდა				
	შენ	ის	ზარდე		შენ	ის	იზარდე
	„	მე	მზარდე				
	მე	ის	ვზარდე		მე	ის	ვიზარდე
	„	შენ	გზარდე				

3.	მან	მას	შვილი	უზარდა (გა-უზარდა)			
	„	შენ	„	გიზარდა			
	„	მე	„	მიზარდა			
	შენ	მას	„	უზარდე			
	„	მე	„	მიზარდე			
	მე	მას	„	ვუზარდე			
	„	შენ	„	გიზარდე			
			
4.	მან	მას	შვილი	აზრდევინა (გა-აზრდევინა)			
	„	შენ	„	გაზრდევინა			
	„	მე	„	მაზრდევინა			
	შენ	მას	„	აზრდევინე			
	„	მე	„	მაზრდევინე			
	მე	მას	„	ვაზრდევინე			
	„	შენ	„	გაზრდევინე			
			
5.	იხ	იზარდა (გა-იზარდა)		6.	იხ	მას	გა-ეზარდა
					„	შენ	გა-გეზარდა
					„	მე	გა-მეზარდა
	შენ	იზარდე			შენ	მას	გა-ეზარდე
					„	მე	გა-მეზარდე
	მე	ვიზარდე			მე	მას	გა-ვეზარდე
					„	შენ	გა-გეზარდე

7. კავშირებითი მეორე

1.	მან	ის	ზარდოს (გა-ზარდოს)	2.	მან	ის	იზარდოს (გა-იზარდოს)
	„	შენ	გზარდოს				
	„	მე	მზარდოს				
	შენ	ის	ზარდო		შენ	ის	იზარდო
	„	მე	მზარდო				
	მე	ის	ვზარდო		მე	ის	ვიზარდო
	„	შენ	გზარდო				

3.	მან	მას	შვილი	უზარდოს (გა-უზარდოს)			
	„	შენ	„	გიზარდოს			
	„	მე	„	მიზარდოს			
	შენ	მას	„	უზარდო			
	„	მე	„	მიზარდო			
	მე	მას	„	ვუზარდო			
	„	შენ	„	გიზარდო			
			
4.	მან	მას	შვილი	აზრდევინოს (გა-აზრდევინოს)	5.	ის	იზარდოს (გა-იზარდოს)
	„	შენ	„	გაზრდევინოს			
	„	მე	„	მაზრდევინოს			
	შენ	მას	„	აზრდევინო		შენ	იზარდო
	„	მე	„	მაზრდევინო			
	მე	მას	„	ვაზრდევინო		მე	ვიზარდო
	„	შენ	„	გაზრდევინო			

6.	ის	მას	გა-ეზარდოს				
	„	შენ	გა-გეზარდოს				
	„	მე	გა-მეზარდოს				
	შენ	მას	გა-ეზარდო				
	„	მე	გა-მეზარდო				
	მე	მას	გა-ვეზარდო				
	„	შენ	გა-გეზარდო				
				

III. თურმეობითის წყება

8. თურმეობითი ბირგელი

1.	მას	ის	უზრდია (გა-უზრდია)	2.	მას	ის	უზრდია (თავისთვის)
	„	შენ	უზრდიხარ				
	„	მე	ვუზრდივარ				
	შენ	ის	გიზრდია		შენ	ის	გიზრდია (შენთვის)
	„	მე	გიზრდივარ				
	მე	ის	მიზრდია		მე	ის	მიზრდია (ჩემთვის)
	„	შენ	მიზრდიხარ				

3.	მას	შვილი	უზრდია (მისთვის)				
	„	შენ	უზრდიხარ		„		
	„	მე	ვუზრდივარ		„		
	შენ	შვილი	გიზრდია		„		
	„	მე	გიზრდივარ		„		
	მე	შვილი	მიზრდია		„		
	„	შენ	მიზრდიხარ		„		

4.	მას	შვილი	უზრდევინებია (მისთვის)	5.	ის	გაზრდილა	
	„	შენ	უზრდევინებიხარ		„		
	„	მე	ვუზრდევინებივარ		„		
	შენ	შვილი	გიზრდევინებია		„	შენ	გაზრდილხარ
	„	მე	გიზრდევინებივარ		„		
	მე	ის	მიზრდევინებია		„	მე	გავზრდილვარ
	„	შენ	მიზრდევინებიხარ		„		

6.	ის	მას	გაზრდია				
	„	შენ	გაგზრდია				
	„	მე	გამზრდია				
	შენ	მას	გაზრდიხარ				
	„	მე	გამზრდიხარ				
	მე	მას	გავზრდივარ				
	„	შენ	გავგზრდივარ				
				

9. თურმეობითი მეორე

1.	მას	ის	ეზარდა (გა-ეზარდა)	2.	მას	ის	ეზარდა	(თავისთვის)
	„	შენ	ეზარდე		„	შენ	ეზარდე	„
	„	მე	ვეზარდე		„	მე	ვეზარდე	„
	შენ	ის	გეზარდა		შენ	ის	გეზარდა	(შენთვის)
	„	მე	გეზარდე		„	მე	გეზარდე	„
	მე	ის	მეზარდა		მე	ის	მეზარდა	(ჩემთვის)
	„	შენ	მეზარდე		„	შენ	მეზარდე	„

3.	მას	შვილი	ეზარდა	(მისთვის)
	„	შენ	ეზარდე	„
	„	მე	ვეზარდე	„
	შენ	ის	გეზარდა	„
	„	მე	გეზარდე	„
	მე	ის	მეზარდა	„
	„	შენ	მეზარდე	„

4.	მას	შვილი	ეზრდევინებინა	(მისთვის)	5.	ის	გაზრდილიყო
	„	შენ	ეზრდევინებინე	„		„	„
	„	მე	ვეზრდევინებინე	„		შენ	გაზრდილიყავ
	შენ	ის	გეზრდევინებინა	„		„	„
	„	მე	გეზრდევინებინე	„		მე	გავზრდილიყავ
	მე	ის	მეზრდევინებინა	„		„	„
	„	შენ	მეზრდევინებინე	„	

6.	ის	მას	გაზრდოდა
	„	შენ	გაგზრდოდა
	„	მე	გამზრდოდა
	შენ	მას	გაზრდოდი
	„	მე	გამზრდოდი
	მე	მას	გავზრდოდი
	„	შენ	გაგზრდოდი

10. კავშირებითი მესამე

1.	მას	ის	ეზარდოს	2.	მას	ის	ეზარდოს	(თავისთვის)
----	------------	----	---------	----	------------	----	---------	-------------

„	შენ	ეზარდო	„	შენ	ეზარდო	„
„	მე	ვეზარდო	„	მე	ვეზარდო	„
შენ	ის	გეზარდოს	შენ	ის	გეზარდოს	(შენთვის)
„	მე	გეზარდო	„	მე	გეზარდო	„
მე	ის	მეზარდოს	მე	ის	მეზარდოს	(ჩემთვის)
„	შენ	მეზარდო	„	შენ	მეზარდო	„
.....
3.	მას	ის	ეზარდოს	(მისთვის)		
„	შენ	ეზარდო	„			
„	მე	ვეზარდო	„			
შენ	ის	გეზარდოს	„			
„	მე	გეზარდო	„			
მე	ის	მეზარდოს	„			
„	შენ	მეზარდო	„			
.....			
4.	მას	შვილი	ეზრდევინებინოს	(მისთვის)		
„	შენ	ეზრდევინებინო	„			
„	მე	ვეზრდევინებინო	„			
შენ	ის	გეზრდევინებინოს	„			
„	მე	გეზრდევინებინო	„			
მე	ის	მეზრდევინებინოს	„			
„	შენ	მეზრდევინებინო	„			
.....			
5.	ის	გაზრდილიყოს	6.	ის	მას	გაზრდოდეს
				„	შენ	გაგზრდოდეს
				„	მე	გამზრდოდეს
შენ	გაზრდილიყო		შენ	მას	გაზრდოდე	
			„	მე	გამზრდოდე	
მე	გავზრდილიყო		მე	მას	გავზრდოდე	
			„	შენ	გავზრდოდე	
.....	

1. აქ მოცემულია სამივე პირი სუბიექტისა და ობიექტისა მხოლოდობითში.

2. **ზრდის, იზრდის, უზრდის, აზრდევინებს, იზრდება, ეზრდება** — ყველა დინამიკური ზმნაა: აღნიშნავს პროცესს (და არა მდგომარეობას).

3. **ზრდის, იზრდის, უზრდის, აზრდევინებს** — ყველა დინამიკური გარდამავალი ზმნაა. მათში: **ზრდის** საარვისო ქცევაა, **იზრდის** — სასუბიექტო, **უზრდის** — საობიექტო

(ზრდის ზმნისა), **აზრდევინებს** კაუზატივია იმავე **ზრდის** ზმნისა. **ზრდის** და **იზრდის** — ორპირიანი, **უზრდის**, **აზრდევინებს** სამპირიანი.

4. **იზრდება**, **ეზრდება** დინამიკური გარდაუვალი ზმნებია ვნებითი გვარისა. **იზრდება** ერთპირიანი ვნებითია **ზრდის** ზმნისა; **ეზრდება** ორპირიანი ვნებითია **უზრდის** ზმნისა.

აზრდევინებს კაუზატივის ვნებითი იქნებოდა **ეზრდევინება** (იშვიათად ხმარებულია და ცხრილში არ შეგვიტანია).

II. დინამიკური ზმნები (დ- ვნებითიანი ტიპი)

I. აწმყოხ წყება

1. აწმყო

1. **ის** სიმინდს ტეხს 2. **ის** გულს იტეხს

3. **ის** მას სიმინდს უტეხს

2. ნამყო უსრული

ის სიმინდს ტეხდა **ის** გულს იტეხდა

ის მას სიმინდს უტეხდა

3. კავშირებითი პირველი

ის სიმინდს ტეხდეს **ის** გულს იტეხდეს

ის მას სიმინდს უტეხდეს

4. მყოფადი

ის მას მოტეხს **ის** გულს გაიტეხს

ის მას სიმინდს მოუტეხს

5. პირობითი

ის მას მოტეხდა **ის** გულს გაიტეხდა

ის მას სიმინდს მოუტეხდა

II. ნამყო ძირითადის წყება

6. ნამყო ძირითადი

მან სიმინდი **მო**-ტეხა **მან** გული გა-იტეხა

მან მას სიმინდი **მო**-უტეხა

7. კავშირებითი მეორე
მან სიმინდი **მო**-ტეხოს **მან** გული გა-იტეხოს

მან მას სიმინდი **მო**-უტეხოს

III. თურმეობითის წყება

8. თურმეობითი პირველი

მას სიმინდი **მო**-უტეხია **მას** გული გა-უტეხია

მას [მისტვის] სიმინდი **მო**-უტეხია

9. თურმეობითი მეორე

მას სიმინდი **მო**-ეტეხა **მას** გული **გა**-ეტეხა

მას [მისტვის] სიმინდი **მო**-ეტეხა

10. კავშირებითი მესამე

მას სიმინდი **მო**-ეტეხოს **მას** გული გა-ეტეხოს

მას [მისტვის] სიმინდი **მო**-ეტეხოს

I. აწმყოხ წყება

1. აწმყო

4. **იხ** მას რისხვას ატეხს 5. **იხ** ხეს ტოტს ატეხს (||სტეხს)

2. ნამყო უსრული

“ “ “ ატეხდა “ “ “ ატეხდა (||სტეხდა)

3. კავშირებითი პირველი

“ “ “ ატეხდეს “ “ “ ატეხდეს (||სტეხდეს)

4. მყოფადი

“ “ “ დაატეხს “ “ “ მოატეხს (||მოსტეხს)

5. პირობითი

“ “ “ დაატეხდა “ “ “ მოატეხდა (||მოსტეხდა)

II. ნამყო ძირითადის წყება

6. ნამყო ძირითადი

მან მას რისხვა 'და'-ატება **მან** ხეს ტოტი 'მო'-ატება (||მოსტება)

7. კავშირებითი მეორე

„ „ „ 'და'-ატებოს „ „ „ 'მო'-ატებოს (||მოსტებოს)

III. თურმეობითის წყება

8. თურმეობითი პირველი

მას (მისთვის) რისხვა 'და'-უტებია **მას** (ხეზე) ტოტი 'მო'-უტებია

9. თურმეობითი მეორე

„ „ „ 'და'-ეტება „ „ „ 'მო'-ეტება

10. კავშირებითი მესამე

„ „ „ 'და'-ეტებოს „ „ „ 'მო'-ეტებოს

I. აწმყოს წყება

1. აწმყო

6. **ის** მას სიმინდს ატეხინებს 7. **ჭიქა** ტყდება

8. **მას** ჭიქა უტყდება

2. ნამყო უსრული

ის მას სიმინდს ატეხინებდა **ჭიქა** ტყდებოდა

მას ჭიქა უტყდებოდა

3. კავშირებითი პირველი

ის მას სიმინდს ატეხინებდეს **ჭიქა** ტყდებოდეს

მას ჭიქა უტყდებოდეს

4. მყოფადი

ის მას სიმინდს მოატეხინებს **ჭიქა** გატყდება

მას ჭიქა გაუტყდება

5. პირობითი

ის მას სიმინდს მოატეხინებდა **ჭიქა** გატყდებოდა

მას ჭიქა გაუტყდებოდა

II. ნამყო ძირითადის წყება

6. ნამყო ძირითადი

მან მას სიმინდი «მო»-ატეხინა ჭიქა გატყდა

მას ჭიქა გაუტყდა

7. კავშირებითი მეორე

მან მას სიმინდი «მო»-ატეხინოს ჭიქა გატყდეს

მას ჭიქა გაუტყდეს

III. თურმეობითის წყება

8. თურმეობითი პირველი

მას (მისთვის) სიმინდი «მო»-უტეხინებია ჭიქა გამტყდარა

მას ჭიქა გასტყდომია

9. თურმეობითი მეორე

მას (მისთვის) სიმინდი «მო»-ეტეხინებინა ჭიქა გამტყდარიყო

მას ჭიქა გასტყდომოდა

10. კავშირებითი მესამე

მას (მისთვის) სიმინდი «მო»-ეტეხინებინოს ჭიქა გამტყდარიყოს

მას ჭიქა გასტყდომოდეს

I. აწმყოხ წყება

1. აწმყოხ

9. ხეს ტოტი სტყდება 10. მას რისხვა ატყდება

2. ნამყო უსრული

„ „ სტყდებოდა „ „ ატყდებოდა

3. კავშირებითი პირველი

„ „ სტყდებოდეს „ „ ატყდებოდეს

4. მყოფადი

„ „ მოსტყდება „ „ დაატყდება

5. პირობითი

„ „ მოსტყდებოდა „ „ დაატყდებოდა

II. ნამყო ძირითადის წყება

6. ნამყო ძირითადი
ხეს ტოტი მოსტყდა **მას** რისხვა დაატყდა
7. კავშირებითი მეორე
 „ „ მოსტყდეს „ „ დაატყდეს

III. თურმეობითის წყება

8. თურმეობითი პირველი
ხეს ტოტი მოსტყდომია **მას** რისხვა დასტყდომია
9. თურმეობითი მეორე
 „ „ მოსტყდომოდა „ „ დასტყდომოდა
10. კავშირებითი მესამე
 „ „ მოსტყდომოდეს „ „ დასტყდომოდეს

შენიშვნა 1. ტეხს ორპირიანი გარდამავალი ზმნაა; **ზრდის, თეხავს** ზმნათა მსგავსად მისგან იწარმოება სასუბიექტო (იტეხს), საობიექტო (უტეხს), კაუზატივი (ატეხინებს)... გარდა ამისა, სამპირიანი სტეხს (ის ხეს ტოტს). ეს **სტეხს** ფონეტიკური სახესხვაობაა ატეხს-ისა: მოსტეხა (მან ხეს ტოტი) = მოატეხა მან მას ის, ა-ს დაკარგვის შემდეგ ტ-ს წინ ობიექტის ს- დამკვიდრდა (შდრ. მივეცი, მიეცი — მისცა). ამისი ვნებითი იქნებოდა: მას სტყდება (||ატყდება).

ეს ატეხს (=სტეხს) უნდა განვასხვაოთ ატეხს-ისაგან, რომელსაც საზედაო მნიშვნელობა აქვს: თავზე ატეხს. ამ ზმნას ა- თავსართი რომ მოსცილდეს, საზედაო მნიშვნელობა დაეკარგება. ამ ატეხს-ის ვნებითი იქნება: ატყდება (რისხვა თავს ატყდება).

შენიშვნა 2. ტეხს ზმნის ვნებითი -დ ბოლოსართით იწარმოება: ტეხს, გატეხა — ტყ-დ-ება, გატყდა... უტეხს, გაუტეხა — უტყდება, გაუტყდა... სტეხს (||ატეხს), მოსტეხა (|| მოატეხა) — სტყდება (|| ატყდება), მოსტყდა... დაატეხს, დაატყდა — დაატყდება, დაატყდა...

შესაბამისად იცვლება თურმეობითი I — გასტყდომია, მოსტყდომია, დასტყდომია... თურმეობითი II — გასტყდომოდა, მოსტყდომოდა, დასტყდომოდა...

ვნებითის წარმოებაში ტეხ-ს ზმნის მსგავსად -დ ბოლო-სართს იყენებს: აშენებს, აკეთებს, ალაშაზებს, აწითლებს, აძლიერებს, არიგებს, აფითრებს და მრავალი სხვა ზმნა, მეტ წილად ნასახელარი.

შენიშვნა 3. ნახევარ კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმული წინდებული (მაგალ., 'მო'-უტეხია)—შეიძლება გვექონდეს, შეიძლება—არა, იმისდა მიხედვით, სრული სახე გვინდა აღვნიშნოთ, თუ არა. მყოფადში, პირობითში (მოტეხს, მოტეხდა) წინდებული აუცილებელია.

შენიშვნა 4. არის ისეთი ზმნებიც, რომელთაც ვნებითი ეწარმოებათ თავსართებითაც (ი-ზრდება, ე-ზრდება ტიპი) და ბოლოსართითაც (ტყ-დ-ება, კეთ-დ-ება ტიპი); ასეთია, მაგალ.: მზად-დ-ება და ე-მზადება, ჩაბარ-დ-ება და მი-ე-ბარება...

III სტატიკური ზმნები

1. სტატიკური ერთბირიანი ზმნები (საკუთარი წარმოების აწმყოს, ნამყო უსრულისა და კავშირებითი I-ის მქონე)

1. აწმყო

ის	ყვავის	ის	ღუმს	ის	წუხს	ის	ჩივის	ის	ცხოვრობს
'შენ	ყვავი'	შენ	ღუმხარ	შენ	წუხხარ	შენ	ჩივი	შენ	ცხოვრობ
'მე	ყვავი'	მე	ვღუმვარ	მე	ვწუხვარ	მე	ვჩივი	მე	ვცხოვრობ
.....

2. ნამყო უსრული

ის	ყვაოდა	ის	ღუმდა	ის	წუხდა	ის	ჩიოდა	ის	ცხოვრობდა
'შენ	ყვაოდი'	შენ	ღუმდი	შენ	წუხდი	შენ	ჩიოდი	შენ	ცხოვრობდი
'მე	ყვავაოდი'	მე	ვღუმდი	მე	ვწუხდი	მე	ვჩიოდი	მე	ვცხოვრობდი
.....

3. კავშირებითი I

ის	ყვაოდეს	ის	ღუმდეს	ის	წუხდეს	ის	ჩიოდეს	ის	ცხოვრობდეს
'შენ	ყვაოდე'	შენ	ღუმდე	შენ	წუხდე	შენ	ჩიოდე	შენ	ცხოვრობდე
'მე	ყვავაოდე'	მე	ვღუმდე	მე	ვწუხდე	მე	ვჩიოდე	მე	ვცხოვრობდე
.....

4. ნამყო ძირითადი (იყენებს დინამიკური ზმნებისაგან ნახესხებ ნაკვთებს)

ის აყვავდა	ის დადუმდა	მან იწუხა		ის შეწუხდა
„შენ აყვავდი“	„შენ დადუმდი“	შენ იწუხე		შენ შეწუხდი
„მე აყვავდი“	„მე დადუმდი“	მე ვიწუხე		მე შევწუხდი
.....

მან იჩივლა	მან იცხოვრა
შენ იჩივლე	შენ იცხოვრე
მე ვიჩივლე	მე ვიცხოვრე
.....

5. კავშირებითი II (იყენებს დინამიკური ზმნებისგან **ნახესხებ** ნაკვეთებს)

ის აყვავდეს	ის დადუმდეს	მან იწუხოს		ის შეწუხდეს
.....
მან იჩივლოს	მან იცხოვროს			
.....			

6. თურმეობითი I (იყენებს დინამიკური ზმნებისგან **ნახესხებ** ნაკვეთებს)

ის აყვავებულა	ის დადუმებულა	მას უწუხნია		ის შეწუხებულა
.....
მას უჩივლია	მას უცხოვრია			
...

7. თურმეობითი II (იყენებს დინამიკური ზმნებისგან **ნახესხებ** ნაკვეთებს)

ის აყვავებულყო	ის დადუმებულყო	მას ეწუხა		ის შეწუხებულყო
.....
მას ეჩივლა	მას ეცხოვრა			
.....			

8. კავშირებითი III (იყენებს დინამიკური ზმნებისგან **ნახესხებ** ნაკვეთებს)

ის აყვავებულყო	ის დადუმებულყო	მას ეწუხოს		ის შეწუხებულყო
.....
მას ეჩივლოს	მას ეცხოვროს			
.....			

შენიშვნა. სტატიკურ ერთპირიანს — **ყვავის, ღუმს, წუხს, ჩივის, ცხოვრობს** — საკუთარი ფუძისაგან ეწარმოება მხოლოდ აწმყო, ნამყო უსრული და კავშირებითი პირველი; **ნამყო ძირითადში** ნასესხები ნაკვთები გვაქვს. ეს ნასესხები ნაკვთები დინამიკური ზმნებისაა; სახელდობრ: ესაა ან **-ღ-**იანი ვნებითი (აყვავდა, დაღუმდა — აყვავდება, დაღუმდება ზმნებისა), ან **ი-** თავსართიანი წარმოება გარდამავალი ზმნებისა (იცხოვრა, იჩივლა — იცხოვრებს, იჩივლებს ზმნებისა), ანდა პარალელური წარმოება **-ღ-**იანი ვნებითისა და **ი-**ანი გარდამავალი ზმნისა (შეწუხდა და იწუხა).

ნამყო ძირითადის წყებაცა და თურმეობითის წყებაც ამ ნასესხები ზმნებისაა. აქედანვე იწარმოება მყოფადი და პირობითი აწმყოს წყებისა (ახალი ფორმაციის ნაკვთები): აყვავდება, დაღუმდება, იწუხებს || შეწუხდება, იჩივლებს...

II. სტატიკური ორპირიანი ზმნები (საკუთარი წარმოების აწმყოს, ნამყო უსრულისა და კავშირებითი I-ის მქონე).

1. აწმყო

იხ	მას	უყვარს	სძულს	ჰყავს	უხარია
„	შენ	გიყვარს	გძულს	გყავს	გიხარია
„	მე	მიყვარს	მძულს	მყავს	მიხარია
შენ	მას	უყვარხარ	სძულხარ	ჰყავხარ	
„	მე	მიყვარხარ	მძულხარ	მყავხარ	
მე	მას	ვუყვარვარ	ვსძულვარ	ვჰყავარ	
„	შენ	გიყვარვარ	გძულვარ	გყავარ	

2. ნამყო უსრული

იხ	მას	უყვარდა	სძულდა	ჰყავდა	უხაროდა
„	შენ	გიყვარდა	გძულდა	გყავდა	გიხაროდა
„	მე	მიყვარდა	მძულდა	მყავდა	მიხაროდა
შენ	მას	უყვარდი	სძულდი	ჰყავდი	
„	მე	მიყვარდი	მძულდი	მყავდი	
მე	მას	ვუყვარდი	ვსძულდი	ვჰყავდი	
„	შენ	გიყვარდი	გძულდი	გყავდი	

3. კავშირებითი I

იხ	მას	უყვარდეს	სძულდეს	ჰყავდეს	უხაროდეს
„	შენ	გიყვარდეს	გძულდეს	გყავდეს	გიხაროდეს
„	მე	მიყვარდეს	მძულდეს	მყავდეს	მიხაროდეს

შენ	მას	უყვარდე	სძულდე	ჰყავდე
„	მე	მიყვარდე	მძულდე	მყავდე
მე	მას	ვუყვარდე	ვსძულდე	ვჰყავდე
„	შენ	გიყვარდე	გძულდე	გყავდე

4. ნამყო ძირითადი (იყენებს დინამიკური ზმნებისაგან **ნახესხებ** ნაკვთებს):

იხ მას შეუყვარდა... შესძულდა... ეყოლა... გაუხარდა...

5. კავშირებითი II (იყენებს დინამიკური ზმნებისაგან **ნახესხებ** ნაკვთებს):

იხ მას შეუყვარდეს... შესძულდეს... ეყოლოს... გაუხარდეს...

6. თურმეობითი I (იყენებს დინამიკური ზმნებისაგან **ნახესხებ** ნაკვთებს):

იხ მას შეჰყვარებია... შესძულებია... ჰყოლია... გახარებია...

7. თურმეობითი II (იყენებს დინამიკური ზმნებისაგან **ნახესხებ** ნაკვთებს):

იხ მას შეჰყვარებოდა... შესძულებოდა... ჰყოლოდა... გახარებოდა...

8. კავშირებითი III (იყენებს დინამიკური ზმნებისაგან **ნახესხებ** ნაკვთებს):

იხ მას შეჰყვარებოდეს... შესძულებოდეს... ჰყოლოდეს... გახარებოდეს...

შენიშვნა. ორპირიან სტატიკურ ზმნებს — უყვარს, სძულს, ჰყავს, სურს, უხარია და მისთ. — საკუთარი ფუძისაგან ეწარმოება მხოლოდ აწმყო, ნამყო უსრული და კავშირებითი პირველი. **ნამყო ძირითადი** სესხულობს დინამიკური ზმნების (ვნებითის) ფუძეს: შეუყვარდება, შესძულდება, ეყოლება, მოესურვება, გაუხარდება ზმნათა, ამავე ზმნების ნამყო ძირითადისგან ნაწარმოებია კავშირებითი მეორე და თურმეობითი I-ის წყება, აგრეთვე აწმყოს წყების ორი ნაკვთი: მყოფადი (შეუყვარდება... შესძულდება... ეყოლება... გაუხარდება...) და პირობითი (შეუყვარდებოდა... შესძულდებოდა... ეყოლებოდა... გაუხარდებოდა...).

III. **სტატიკური ერთპირიანი და ორპირიანი ზმნები** (მხოლოდ აწმყოს მქონე)

				აწმყო		
იხ	არის	ის	გდია	იხ	მას	აბარია
შენ	ხარ	შენ	გდიხარ	„	შენ	გაბარია
მე	ვარ	მე	ვგდივარ	„	მე	მაბარია

შენ	მას	აბარიხარ
„	მე	მაბარიხარ
მე	მას	ვაბარივარ
„	შენ	ვაბარივარ

ნამყო ძირითადი (იყენებს დინამიკური ზმნებისაგან **ნასესხებ** ნაკვთებს)

ის	იყო	ის	ეგდო	ის	მას	ებარა
შენ	იყავი	შენ	ეგდე	„	შენ	გებარა
მე	ვიყავი	მე	ვეგდე	„	მე	მებარა
				შენ	მას	ებარე
				„	მე	მებარე
				მე	მას	ვებარე
				„	შენ	გებარე

შენიშვნა. სტატიკურ ერთპირიან და ორპირიან ზმნებს: არის, აბია, გდია, აბარია, წერია, ხატია, თესია, აკერია და მისთ. საკუთარი ფუძისა აქვთ **მხოლოდ აწყო.**

ნამყო ძირითადში სესხულობენ დინამიკური ზმნების ნაკვთებს (იყო, ება, ეგდო, ებარა, ეწერა, ეხატა, ეთესა, ეკერა და მისთ.).

ნამყო უსრული, კავშირებითი პირველი სულ არ ეწარმოებათ.

თურმეობითის წყებაც ხშირად არ ეწარმოებათ (როცა ეწარმოებათ, ნასესხებია დინამიკური ზმნისაგან: იყო, ყოფილა, ყოფილიყოს... ეგდო, გდებულა, გდებულიყო, გდებულიყოს).

44. ზმნისაგან იწარმოება ორგვარი სახელი: 1. ნაზმნარი **არსებითი** სახელი (მასდარი ანუ „სახელზმნა“) და 2. ნაზმნარი **ზედსართავი** სახელი (მიმღეობა).

ნაზმნარი არსებითი სახელი იწარმოება **-ა** ბოლოსართით: წერ-ს — წერ-ა, ხატავ-ს — ხატავ-ა, თესავ-ს — თესავ-ა, ზრდ-ი-ს — ზრდ-ა, შლ-ი-ს — შლ-ა, ძლევ-ს — ძლევ-ა, აშენებ-ს — აშენებ-ა..., **-ლ** ბოლოსართით: ჩივი-ს — ჩივი-ლ-ი, ყვირი-ს — ყვირი-ლ-ი, ტირი-ს — ტირი-ლ-ი..., თავსართ-ბოლოსართით: **ხ**—**ა**: ვალ-ს—ხვალ-ა... **ხ**—**ლ**: ხ-იცი-ლ-ი, ხ-იხარუ-ლ-ი, ხ-იყვარუ-ლ-ი...

თავსართ-ბოლოსართიან წარმოებაში მასდარისათვის ნიშანდობლივი ისევ ბოლოსართია (**-ა**, **-ლ**).თავსართი **ხ**-ამჟამად უფუნქციოა, წარმოშობით კი ეს გრამატიკული კლასის ნიშანია: ეს თავსართი მიუთითებდა იმაზე, თუ რა გრამატიკული კლასის სახელი

იყო სუბიექტი ან ობიექტი ვალს, იცინის, უხარია... ზმნათა მოქმედებისა („ს-ვლა“=სიარული ცხოველისა, ნივთის გრამატიკული კლასის არსებისა... იხ. § 24).

-ა სუფიქსის დართვისას აწმყოს ფუძეში შეიძლება მოხდეს ბგერითი ცვლილებები: თესავ-ს—თესვ-ა (უნდა ყოფილიყო: თესავ-ა): თესავ- ფუძემ დაკარგა -ა (შეიკუმშა); კლავ-ს—კლვ-ა→კვლ-ა (-ა-ს დაკარგვის შემდეგ ვ გადაისვა); სვამ-ს—სვმ-ა→სმ-ა (-ა-ს დაკარგვის შემდეგ -მ-ს მეზობლობაში ვ დაიკარგა); შლი-ს—შლ-ა; მკი-ს—მკ-ა (-ა-ს დართვისას დაიკარგა აწმყოს ფუძისეული -ი)...

ამ ცვლილებათა მიუხედავად აწმყოს ფუძის შედგენილობა ჩვეულებრივ დაცულია მასდარში; მეტადრე ეს ითქმის გარდამავალი ზმნის შესახებ (საარვისო ქცევა). მაგრამ შეიძლება აწმყოს ფუძეში მოხდეს ცვლილება — ფუძე განივრცოს მაწარმოებელი სუფიქსით, მასდარმა კი შემოგვინახოს ძველი ვითარება: წეწავ-ს—წეწ-ა (წეწავ-გლეჯა და არა: წეწვა-გლეჯა: აწმყოში -ავ- მეორეულია), რეკავ-ს—რეკ-ა (და არა რეკვა), კეცავ-ს—კეც-ა (და არა: კეცვა)...

მასდარი გარდაუვალ ზმნებში ხშირად თავისებური წარმოებისაა (დგომა, წოლა... ყოლა, ქონა...); მასში გარკვევა მოითხოვს რთულ ისტორიულ ანალიზს.

მასდარი არ განასხვავებს ქცევებს (სასუბიექტო, საობიექტო), არც — გვარებს: ვნებითი მხოლოდ თითო-ორივე შემთხვევაშია გარჩეული: მოქმედ. ტეხა — ვნებ. ტყდომა, მოქმედ. წყვეტა — ვნებ. წყდომა, მოქმედ. — ხეთქა და ვნებ. — სკდომა...

ამისდა მიუხედავად არაიშვიათად — კონტექსტის შესაბამისად — გარდამავალი ზმნის საარვისო ქცევის მასდარი შეიძლება იყოს გამოყენებული ვნებითი გვარისთვისაც, სასუბიექტო ქცევათა შინაარსის გადმოსაცემადაც.

მასდარი არსებითი სახელია. სხვა არსებითი სახელებისაგან იგი განსხვავდება როგორც წარმოებით (ზმნისაგან ნაწარმოები სახელია!), ისე — შინაარსითაც: მასდარი **იმ მოქმედების სახელია**, რასაც ზმნა აღნიშნავს ანდა იმ **ვითარება-მდგომარეობისა**, რაც ზმნაშია აღნიშნული: კეთება, შენება, ჭრა, კერვა, ხვნა, თესვა,... — **მოქმედების სახელებია**; კვდომა, ტყდომა, სკდომა, არსებობა... **ვითარება-მდგომარეობის სახელებია**.

შენიშვნა 1. მასდარი ზმნისაგან იწარმოება: მაშასადამე, ზმნასთან შედარებით მეორეულია. ასეა შემთხვევათა აბსოლუტურ უმეტესობაში. არის პირველადი მასდარიც: შრიალ-ი, გრიალ-ი, ტრიალ-ი... ბიბინ-ი, სისინ-ი, ტიტინ-ი, ქვითინ-ი... გუგუნ-ი, დუდუნ-ი, წუწუნ-ი, ბურტყუნ-ი და მისთ. ეს სიტყვები მოქმედებას (თუ ვითარება-მდგომარეობას) აღნიშნავენ, — მოქმედების სახელებია ისევე, როგორც კეთება, შენება, ჭრა,

კერვა... განსხვავება ისაა, რომ კეთება, შენება, ჭრა, კერვა... **ზმნებისაგან** იწარმოება (აკეთებ-ს—კეთებ-ა...); შრიალ-ი, ბიბინ-ი, გუგუნ-ი და მისთ. **ზმნისაგან არ იწარმოება**; პირიქით, თვითონ არის ამოსავალი ზმნის წარმოებისას: შრიალ-ი — შრიალებს, ბიბინ-ი — ბიბინებს, გუგუნ-ი — გუგუნებს... შრიალი, ბიბინი, გუგუნი და მისთ. სიტყვები **პირველადი მასდარებია**, მოქმედების აღმნიშვნელი პირველადი სახელებია. წარმოშობით ესაა გაორკეცებული ან მარტივი ხმაბაძვითი ფუძეები.

შენიშვნა 2. მასდარი, როგორც ზმნისაგან ნაწარმოები სახელი, დაირთავს იმავე წინდებულებს (პრევერბებს), რასაც იგუებს სათანადო ზმნა: კეთება — გა-კეთება, შე-კეთება, გადა-კეთება... ზრდა — აღ-ზრდა, გა-ზრდა, გამო-ზრდა... კერვა — შე-კერვა, გა-კერვა, ამო-კერვა...

სტატიკური ზმნები წინდებულებს სრული სახის აღსანიშნავად არ დაირთავენ; შესაბამის მასდარებსაც წინდებულები არ დაერთვის.

შენიშვნა 3. ძველ ქართულში მასდარს შეეძლო მოეთხოვა (ემართა) სახელი იმავე ბრუნვაში, რასაც ზმნა მოითხოვდა (მართავდა): ქმნად კეთილი (|| კეთილსა). (ნათეს.: ქმნად კეთილისა — აგრეთვე გვხვდება). ახალ ქართულში მასდარი მოითხოვს (მართავს) სახელს ნათესაობითს ბრუნვაში: ქმნა სიკეთისა... „იკისრა ვადაზე აღრე შესრულება ვალდებულებებისა“.

ასეთი **მასდარიანი კონსტრუქცია მძიმეა და სტილისტურად მოუქნელი**. სადაც-კი შეიძლება, უპირატესობა უნდა მიეცეს ზმნის ხმარებას მასდარის ნაცვლად („იკისრა ვადაზე აღრე შესრულოს ვალდებულება“).

45. მიმღეობა ზმნისაგან იწარმოება; მიმღეობა შეიძლება იყოს აწ-მყო დროისა (მზრდელი), ნამყოსი (ზრდილი) და მყოფადისა (საზრდელი). მასდარის მსგავსად მიმღეობა დაირთავს აგრეთვე წინდებულებს (მზრდელი — გა-მზრდელი; ზრდილი — გა-ზრდილი; საზრდელი — გა-საზრდელი).

გარდაუვალ სტატიკურ ზმნას მიმღეობაში გვარები გარჩეული არ ექნება: ზმნა ვალ-ს (მო-ვა), აწმყო — მ-ავალ-ი — მი-მ-ავალ-ი, გა-მ-ავალ-ი, წამავალ-ი, მო-მავალი¹ ... ნამყო: ნ-ავალ-ი, გა-ნ-ავალ-ი... მყოფადი: სავალი, შე-სავალი, გა-სავალი, გამო-სავალი.

¹ „მომავალი“ წარმოებით აწმყო დროის მიმღეობაა („რაც მოდის“), თუმცა მყოფადს გულისხმობს. შდრ. მოსავალი („რაც უნდა მოვიდეს“).

გარდამავალი ზმნის მიმღეობა სხვადასხვა დროში სხვადასხვა გვარისაა: **აწმყოში — მოქმედებითისა:** მზრდელი (გა-მზრდელი) „ვინც ზრდის (გაზრდის)“... მშენებელი (ამშენებელი) „ვინც აშენებს (ააშენებს)“... მთესავი „ვინც თესავს“... მჭრელი (დამჭრელი) „რაც (ვინც) ჭრის (დაჭრის)“... **ნამყოში — ვნებითისა:** ზრდილი (გაზრდილი) და ნაზარდი (განაზარდი) „ვინც გაიზარდა ან გაზარდეს“..., აშენებული და ნაშენები (ნაშენი) „რაც ააშენეს ან აშენდა“... დათესილი და ნათესი (დანათესი) „რაც დათესეს ან დაითესა“... **მყოფადში — ვნებითისა:** საზრდელი (გასაზრდელი) „რაც უნდა გაზარდონ ან გაიზარდოს“... ასაშენებული „რაც უნდა ააშენონ ან აშენდეს“...

მყოფადის მიმღეობა შეიძლება ნიშნავდეს: **მოქმედების საგანს** და **მოქმედების იარაღს:** სათესი (ფართობი) = რაც უნდა დათესონ (დაითესოს); შდრ. სათესი (მანქანა) = რითაც უნდა დათესონ (დაითესოს)... ასევე: შესაკერავი (პალტო) = რაც უნდა შეკერონ (შეიკეროს); შდრ. საკერავი (მანქანა) = რითაც უნდა შეკერონ (შეიკეროს)... გასალეწი (პური) „რაც უნდა გალეწონ (გაილეწოს)“ და სალეწი (მანქანა) = რითაც უნდა გალეწონ (გაილეწოს პურეული).

შენიშვნა 1. ახალ ტერმინებში ჩვეულებრივ აწმყოს მიმღეობას (მ- თავსართიანს) ხმარობენ იქ, სადაც ხალხური მეტყველება „იარაღის მყოფადს“ იხმარდა: ამომრთველი (**выключатель**), მრიცხველი (**счетчик**), ფუძის მაწარმოებელი (აფიქსი)... შდრ. საკერავი მანქანა... სალეწი მანქანა... სახნისი, სადგისი, სასმისი (იარაღების ეს სახელები წარმოშობით მიმღეობაა მყოფადი დროისა...).

შენიშვნა 2. მიმღეობის მ- თავსართი წარმოშობით ადამიანის გრამატიკული კლასის ნიშანია, ნ- და ხ- — ნივთის გრამატიკული კლასისა. ამიტომაც, რომ **მოქმედებითი** გვარის აღმნიშვნელად გამოიყენა ენამ (გამოიყენა მას შემდეგ, რაც გრამატიკული კლასების გარჩევა მოიშალა), ნ- და ხ- **ვნებითი გვარის** თავსართებად მოგვევლინა: ადამიანი—მოქმედი, აქტიურია, ნივთი—უმოქმედო, პასიური (შკეთებელი — „ვინც აკეთებს“, შემდეგში გადატანით — „რაც აკეთებს“... ნა-კეთები — „რაც გააკეთეს ან გაკეთდა“)“... საკეთებელი — „რაც უნდა გააკეთონ (ან უნდა გაკეთდეს)“... (იხ. თავი II, § 24).

შენიშვნა 3. გარდამავალ ზმნას აწმყოს მოქმედებითი გვარის მიმღეობა აქვს, — ვნებითი გვარი არ ეწარმოება: გასაკეთებელი = რაც უნდა გაკეთდეს ან რაც უნდა გააკეთონ. მაგრამ, როგორ იქნება: რაც კეთდება? რაც ითესება? რაც იკერება? რაც იკითხება?

სალიტერატურო ქართული ცალკეულ შემთხვევაში ქმნის ასეთი შინაარსის მიმღეობას: **შეტეხი** = რაც ტყდება **ломкий**, ზედმიწევნით: **ломающийся**)... **მეზარდი** (და, — ნაკლებ კანონიერი: მზარდი) = რაც იზრდება (**растущий, нарастающий**) — განსხვავებით მოზარდისაგან (**подростающий, подросток**). ზოგჯერ მასდარის მიმართულებითი ბრუნვისაგანაც აწარმოებენ მიმღეობის შინაარსის მქონე სიტყვას: მიღვეადი = რაც "მი"იღვეა (**затухающий**)... ჰედადი = რაც იჰედება, რისი ჰედაც შეიძლება (ჰედადი თუჯი **ковкий чугун**)...

აქ სალიტერატურო ქართული ეძებს საჭირო კატეგორიის გამოსახატავ საშუალებას. ძველი ქართული ძეგლების მთარგმნელებსაც, როგორც ჩანს, უხდებოდათ ამგვარ საკითხზე ზრუნვა. თამამ ექსპერიმენტებსაც არ ერიდებოდნენ (მაგალ., „ხილული“ = „თვალთ დასანახი“ **„видимое“**).

შენიშვნა 4. გარდამავალ ზმნას ნამყოში **ვნებითი გვარის მიმღეობა** აქვს, მოქმედებითისა — არ ეწარმოება. დაწერილი = რაც დაწერეს (დაიწერა) **написанный**. ვინც დაწერა, ვინც დახატა (**написавший...**)? მორფოლოგიური საშუალებით, ზმნის თავსართ-ბოლოსართის მეშვეობით, ეს შინაარსი არ გადმოიცემა, მაგრამ აღწერით სათანადო შინაარსს ქართული ენა დაუბრკოლებლივ გადმოგვცემს. „დამთავრებული“ — „რაც დამთავრდა ან დაამთავრეს“ — „დამთავრებული კურსი“, მაგრამ: კურსდამთავრებული „ვინც დაამთავრა კურსი“ **„окончивший курс“**... ეს მაგალითი წიგნური წარმოშობისაა; მაგრამ ხალხურ სიტყვაწარმოებაშიც ამგვარი რთული ფუძე მრავლადაა: ხმალამოწვდილი (ვინც ამოიწვდა ხმალი; შდრ. ამოწვდილი ხმალი)... ქუდმოგლეჯილი (ვინც მოიგლიჯა ქუდი; შდრ. მოგლეჯილი ქუდი)... აღვირახსნილი, თავაშეებული, ცხვირაწეული...

ამგვარი წარმოებისათვის ნიშანდობლივია: ობიექტის დასმა „ვნებითი“ გვარის მიმღეობის წინ და ამ გზით გარდამავლობის აღნიშვნა. ეს ძველისძველი პრინციპია, მასთან დამახასიათებელი არა მხოლოდ ქართულისა და სხვა ქართველური ენებისათვის, არამედ ყველა იბერიულ-კავკასიური ენისათვის.

¹ ასეთი ცდა ზოგჯერ უმართებულო წარმოებას გვაწვდის: დამსვენებელი — „отдыхающий“ (ჯანმრთელობის ორგანოების სიტყვახმარებაში დამკვიდრდა კიდევც!). დამსვენებელი იქნება „ვინც ასვენებს“ (და არა: ვინც ისვენებს); ხელოვნური, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა: დამსვენე.

ლექსიკონში ამგვარ მიმღეობიან კომპოზიტებთან (ტიპი: ხმალამოწვდილი) გვარი არაა აღნიშნული: „ამოწვდილი“ ვნებითია; „ხმალამოწვდილი“ მოქმედებითია, მაგრამ ეს მოქმედობითობა მიმღეობის (ამოწვდილის) ფუნქცია როდია: მთელი რთული ფუძე (სახელი და მიმღეობა) ქმნის ახალ შინაარსს¹.

შენიშვნა 5. სასუბიექტო, საობიექტო ქცევები მიმღეობაში არ გაირჩევა. ცალკეულ შემთხვევაში მიმღეობამ შეიძლება ამ ქცევის შინაარსი გადმოგვცეს: აწყვეტილი, „რამაც აიწყვიტა“, აშვებული „რაც აუშვეს“, „რამაც აიშვა თავი...“

შენიშვნა 6. რთულ წინადადებებში მიმღეობით დაკავშირება დამოკიდებული წინადადებისა მთავართან ქართულს ეუცხოება: მძიმე კონსტრუქციას ქმნის.

46. თავშივე აღინიშნა, რომ ქართული ზმნა უღვლილების პროცესში მრავალგვარად იცვლება. ამ ცვლილებებში გარკვეული **შინაგანი კანონზომიერება** მყლავნდება: **ქართული ზმნის რთული უღვლილება გარკვეულ სისტემას ქმნის**. აქ აღვნიშნავთ ზოგ დამახასიათებელ ფაქტს. ამოსავლად გვექნება ზმნის **პირიანობა** და **სტატიკურობა-დინამიკურობა**.

ერთპირიანი ზმნა, ე. ი. ზმნა, რომელსაც მხოლოდ სუბიექტი აქვს, ობიექტი არ გააჩნია:

1. შეიძლება იყოს: **სტატიკურიცა** (დგას, ცხოვრობს... თესია...) და **დინამიკურიც** (დგება, თბება... იზრდება, ძლიერდება...).

2. შეიძლება იყოს მხოლოდ **გარდაუვალი** (დგას, დგება, ცხოვრობს, თესია, იზრდება...); ერთპირიანი ზმნა **არ შეიძლება** იყოს გარდამავალი.

3. შეიძლება იყოს მხოლოდ პირდაპირი წყობისა; არ შეიძლება იყოს შებრუნებული (ინვერსიული) წყობისა.

4. არ ექნება ქცევა: ობიექტისა და სუბიექტის კუთვნილებითი თუ სხვა ურთიერთობის საკითხი არ დაისმის იქ, სადაც ობიექტი არ მოიპოვება.

5. შეიძლება იყოს ვნებითი გვარისა² (დინამიკური ზმნების ნაწილი): იზრდება, ითესება, ძლიერდება, წითლდება, ლამაზდება...

6. არ იქნება შუალობითი გზისა (კაუზატივი): გზის საკითხის დასმისათვის აქ აღვილი არა რჩება.

¹ არის სხვა სირთულეც, რომელიც სიტყვის განმარტებისას არ შეიძლება აღინიშნოს.

² ტრადიციული გაგებით ერთპირიანი ზმნა საშუალო „გვარისაც“ იქნება: დგას, ცხოვრობს... უფრო ზუსტი იქნება, ამგვარ ზმნებს სტატიკური ეწოდოს: გვარების მიხედვით მათი დახასიათება არაა ზუსტი (იხ. § 40, შენიშვნა 3).

7. ექნება სრული სახე (ასპექტი), თუ დინამიკურია (და-დგა... გა-იზარდა... გა-თბა... გა-ძლიერდა, გა-წითლდა, გა-ლამაზდა...); არ ექნება სრული ასპექტი, თუ სტატიკურია (დგას... ცხოვრობს... თესია...).

8. უღვლილების ნაკვთები: აწმყოს, ნამყო ძირითადის (აორისტისა) და თურმეობითის წყებისა ექნება, თუ დინამიკურია (დგება — დადგა — დამდგარა... ძლიერდება — გაძლიერდა — გაძლიერებულა). ნამყო ძირითადისა და თურმეობითის წყება — საკუთარი წარმოებისა — არ ექნება, თუ სტატიკურია.

47. ორბირიანი ზმნა, ე. ი. ზმნა, რომელსაც სუბიექტის გარდა ერთი ობიექტიც აქვს:

1. შეიძლება იყოს **სტატიკურიცა** (უღვას, უზის... უყვარს, სძულს, ჰყავს, აქვს... უთესია, არტყია...) და

დინამიკურიც (უღვება, უჯდება, უთბება, უშრება... ეზრდება, ეწერება, ეთესება... უძლიერდება, უწითლდება... დგამს, სვამს... ათბობს, აშრობს... ზრდის, წერს, თესავს... აძლიერებს, აწითლებს...).

2. შეიძლება იყოს **გარდაუვალიცა** (უღვას, უზის, უღვება, უჯდება... უყვარს, სძულს, ჰყავს, აქვს... ეზრდება, ეწერება, ეთესება...) და

გარდამავალიც (ის დგამს, სვამს,... ათბობს, აშრობს... ზრდის, წერს, თესავს, აძლიერებს, აწითლებს მას...; მან დადგა... გაათბო... გაზარდა... დაწერა... გააძლიერა იგი...).

3. შეიძლება იყოს **ბირდაბირი წყობისა** (ის დგამს... ათბობს... ზრდის... აძლიერებს...) და

შებრუნებული (ინვერსიული) წყობისაც (მას დაუღვამს,... გაუთბია... გაუზრდია, გაუძლიერებია... უყვარს, სძულს, ჰყავს, აქვს...) .

4. შეიძლება იყოს **ხაარვისობ** გარდა (დგამს, ათბობს, აძლიერებს) **ხახუბიექტო** ქცევისაც (გარდამავალი: იღვამს... ითბობს... იზრდის...) და **ხაობიექტო ქცევისაც** (გარდამავალი: უღვამს... უთბობს... უზრდის... აგრეთვე გარდაუვალი: უჯდება, უთბება, უშრება... უძლიერდება... ეზრდება...).

5. შეიძლება იყოს **მოქმედებითი გვარისა** (გარდამავალი: დგამს, ...ათბობს, აშრობს... ზრდის, წერს, თესავს, აძლიერებს, აწითლებს...) და **ვნებითი გვარისაც** (გარდაუვალი: ეღვმება, ეზრდება, ეწერება, ეთესება... შესძულდება, შეუყვარდება, უძლიერდება, უწითლდება...).

6. არ იქნება შუალობითი გზისა (კაუზატივი). მართალია, აღუმებს, აწუხებს, აღგენს... წარმოშობით შუალობითი გზაა დუმს, წუხს, დგას ზმნათა, მაგრამ ამჟამად მათი კაუზატიურობა არ იგრძნობა, ეს ზმნები — აღუმებს, აწუხებს, აღგენს — მარტივად გარდამავალი ზმნებია (იხ. § 39).

7. ექნება სრული სახე (ასპექტი), თუ დინამიკურია (და-დგა, და-სვა... გა-ათბო, გა-აშრო... გა-ზარდა, და-წერა... გა-აძლიერა, გა-

აწითლა... გა-ეზარდა, და-ეთესა... გა-უთბა, გა-უშრა... გაუძლიერდა, გაუწითლდა...).

8. უღვლილების ნაკვთები ექნება სამივე წყებისა (აწმყოს, ნამყო ძირითადისა და თურმეობითისა), თუ დინამიკურია (დგამს — დადგა — დაუდგამს... ათბობს — გაათბო—გაუთბია... ზრდის — გაზარდა — გაუზრდია... უდგება — დაუდგა — დასდგომია... უთბება — გაუ-თბა — გასთბობია... უძლიერდება — გაუძლიერდა — გასძლიერებია... უწითლდება — გაუწითლდა — გასწითლებია...).

შენიშვნა. „ექნება სამივე წყებისაო“—ეს ნიშნავს: ეწარმოება საკუთარი ფუძისაგან. **სტატიკურ** ორპირიან ზმნებს (უყვარს, სძულს, სწყურია... უთესია, არტყია...) ნამყო ძირითადისა და თურმეობითის წყება ეწარმოებათ **ნახესხები ფუძეებისაგან** (შეუყვარდა, შესძულდა, მოსწყურდა... ეთესა, ერტყა... გვ. 83).

48. სამპირიანი ზმნა, ე. ი. ზმნა, რომელსაც სუბიექტის გარდა ორი ობიექტი დაერთვის:

1. შეიძლება იყოს მხოლოდ **დინამიკური** (უზრდის, უწერს, უთესავს... აზრდევინებს, აწერინებს, ათესვინებს...). **სამპირიანი ზმნა არ შეიძლება იყოს სტატიკური.**

2. შეიძლება იყოს **მხოლოდ გარდამავალი** (ის სთხოვს, ჰკითხავს, უზრდის, უწერს, უთესავს... აზრდევინებს, აწერინებს, ათესვინებს მას მას — მან სთხოვა, ჰკითხა, უზარდა, უწერა, უთესა... აზრდევინა, აწერინა, ათესვინა მას ის (სამპირიანი ზმნა **არ შეიძლება იყოს გარდაუვალი**)).

3. შეიძლება იყოს **პირდაპირი** წყობისაც და **შებრუნებულისაც (ინვერსიულისაც)** — თურმეობითში: ის აზრდევინებს, აწერინებს... მას მას — მას უზრდევინებია, უწერინებია... ის მისთვის.

4. შეიძლება იყოს საარვისოს გარდა საობიექტო ქცევისა: **საარვისო**: ის სთხოვს,... აზრდევინებს, აწერინებს, აყრევინებს... **საობიექტო**: ის უზრდის, უწერს, უთესავს... მას მას (უზრდევინებს, უყრევინებს... ტიპისა იშვიათია!).

5. შეიძლება იყოს მხოლოდ მოქმედებითი გვარისა: **სამპირიანი ზმნა არ შეიძლება იყოს ვნებითი გვარისა¹.**

6. შეიძლება იყოს **უშუალო გზისა** (ის სთხოვს, ჰკითხავს... უზრდის, უწერს, უთესავს მას მას) და **შუალობითი გზისაც** (კაუზატივი: ის ათხოვნიებს, აკითხვინებს, აზრდევინებს, აწერინებს, ათესვინებს... მას მას).

7. შეიძლება იყოს უსრული და სრული სახისა (ასპექტისა):

¹ ჰპირდება, უყვება... ზმნათა შესახებ იხ. გვ. 57, შენიშვნა 1.

უსრულ ი: მან აზრდევინა, აწერინა, ათესვინა,... სრულ ი: მან გააზრდევინა, დააწერინა, დაათესვინა...

8. უღვლილების ნაკვთები სამივე წყებისა ეწარმოება, თუ შუალობითი გზისაა: **ის** სთხოვს, ჰკითხავს... უზრდის... აზრდევინებს — **მან** სთხოვა, ჰკითხა, გა-აზრდევინა — **მას** უთხოვია, უკითხავს, უზრდევინებია...

49. სტატიკური და დინამიკური ზმნები უღვლილების სისტემაში:

1. სტატიკური ზმნა შეიძლება იყოს **ერთპირიანი** (არის, დგას, ზის... წუხს... თესია...) და **ორპირიანი** (უღვას, უზის... უწუხს... ჰყავს, აქვს, უყვარს, სძულს... არტყია, აბარია, უთესია...).

სტატიკური ზმნა არ შეიძლება იყოს სამპირიანი: დინამიკური ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანიც (დგება... შრება... იზრდება), ორპირიანიც (უშრება... ეზრდება... აშრობს, ზრდის...) და სამპირიანიც (უზრდის... აზრდევინებს...).

2. სტატიკური ზმნა, ერთპირიანიცა და ორპირიანიც, **გარდაუვალია**.

სტატიკური ზმნა არ შეიძლება იყოს გარდამავალი. დინამიკური ზმნა შეიძლება იყოს გარდაუვალიცა (დგება, უშრება, ეზრდება...) და **გარდამავალიც** (დგამს, აშრობს, ზრდის... უზრდის, აზრდევინებს...).

3. სტატიკური ზმნა პირდაპირი წყობისაა, თუ ერთპირიანია (დგას, ზის, არის, ცხოვრობს). შეიძლება იყოს შებრუნებული წყობისა, თუ ორპირიანია: ჰყავს, აქვს, სძულს, უყვარს, სწყურია...

დინამიკური ზმნა შეიძლება იყოს პირდაპირი და შებრუნებული წყობისა (პირდაპირი: დგება, შრება... დგამს, აშრობს... ზრდის, თესავს.. — შებრუნებ.: უშვრია, უზრდია, უთესავს... მას ის).

4. სტატიკური ზმნა შეიძლება იყოს **საობიექტო ქცევისა** (უღვას, უზის, უთესია...)¹.

სტატიკურ ზმნას არ შეიძლება ჰქონდეს სასუბიექტო ქცევა.

დინამიკურ ზმნებს შეიძლება ჰქონდეს **სასუბიექტო ქცევაც** (იზრდის, იწერს. ითესავს, იხატავს...) და **საობიექტოც** (უზრდის, უწერს, უთესავს, უხატავს...).

5. სტატიკური ზმნა იმ ფორმაციისაა, როცა ზმნაში გვარები არ გაირჩეოდა. დინამიკური ზმნა შეიძლება იყოს მოქმედებითი გვარისაც (ზრდის, უზრდის... თესავს, უთესავს... აძლიერებს, უძლიერებს...) და ვნებითი გვარისაც (იზრდება, ითესება, ძლიერდება... ეზრდება, ეთესება, უძლიერდება...).

6. სტატიკური ზმნა არ განასხვავებს შუალობითსა და უშუალო

¹ შეიძლება გამოხატოს საზედაო შინაარსიც: ადგას, აწევს...

გზას. დინამიკურ ზმნას შეიძლება ჰქონდეს **უშუალო** გზა (ზრდის, წერს, თესავს, აძლიერებს...) და **შუალობითი** (აზრდევინებს, აწერინებს, ათესვინებს, აძლიერებინებს...).

7. სტატიკური ზმნა განგრძობითი ასპექტისაა (დგას=მდგომარეა... აქვს=მქონია...). სტატიკურ ზმნას არ შეიძლება ჰქონდეს სრული ასპექტი.

დინამიკურ ზმნას შეუძლია გადმოგვცეს, როგორც უსრული (ზარდა, თესა, ხატა, ათბო, აშრო, აძლიერა...), ისე სრული სახეც (გაზარდა, დათესა, დახატა, გაათბო, გააშრო, გააძლიერა... გაიზარდა, დაითესა... გათბა, გაშრა, გაძლიერდა...).

8. სტატიკურ ზმნებს საკუთარი ფუძისა ან **მხოლოდ აწმყო** აქვს (არის, დგას, ზის, ჰკიდია, თესია, აგდია) ანდა **აწმყო და აწმყოსაგან ნაწარმოები ნამყო უსრული და კავშირებითი პირველი** (დუმს, დუმდა, დუმდეს... ყვავის, ყვაოდა, ყვაოდეს... ჩივის, ჩიოდა, ჩიოდეს...). ნამყო ძირითადს სესხულობენ დინამიკურ ზმნათაგან (იყო, დადგა, დაჯდა... დადუმდა, აყვავდა, იჩივლა... იხ. უღვლილების სქემა, ტაბ. III).

დინამიკურ ზმნებს, როგორც წესი, საკუთარი ფუძისაგან ეწარმოებათ ნამყო ძირითადის წყებაც: ზრდის, უზრდის, იზრდება, ეზრდება... — გა-ზარდა, გა-უზარდა, გა-იზარდა, გაეზარდა... (იხ. უღვლილების სქემა, ტაბ. II).

ბოლო სიტყვა

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ცნობილი ნაშრომი „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“ 1950 წელს გამოქვეყნდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ პირველ ტომში, რომელიც საკმაოდ დიდი ტირაჟით დაიბეჭდა, მაგრამ ამჟამად დაინტერესებული მკითხველისათვის მაინც ადვილად ხელმისაწვდომი არ არის. აღნიშნულ ნაშრომში ავტორი მაქსიმალურად შეკუმშული სახით, თავისი კონცეფციის შესაბამისად, წარმოგვიდგენს ქართული ენის აგებულების ყველა არსებითი საკითხის სისტემურ ანალიზს. შესაძლოა ზოგ საკითხზე თვალსაზრისი შემდგომ დაზუსტდა (თვით ავტორის მიერაც), მაგრამ ჩვენ საჭიროდ არ ვცანით გამოკვლევის ტექსტში ცვლილების შეტანა (ჩვენი აზრით, ეს რედაქტორის კომპეტენციაში არც შედის). ფაქტობრივ ჩასწორდა მხოლოდ კორექტურული შეცდომები და ზოგი რამ — თანამედროვე ორთოგრაფიის თვალსაზრისით.

განმარტებითი ლექსიკონი დიდი ფორმატისაა, ამიტომ — უფრო ტევადი. ამ შედარებით მცირე ფორმატის წიგნში კი ზოგჯერ ზმნური პარადიგმის სხვაგვარი განლაგება გახდა საჭირო, რაც, ვფიქრობთ, გაგებას ხელს არ შეუშლის.

გ. შენგელია

გამოსაცემად მოამზადეს და კორექტურა წაიკითხეს: **ი. თაქთაქიშვილმა,**
თ. ღვინაძემ, გ. შენგელიამ, რ. ჭანაშიამ

რედაქტორი — **გ. შენგელია**

მხატვარი — **თ. მინაშვილი**

ენათმეცნიერების ინსტიტუტის კომპიუტერულ ცენტრში ააწყო და
დააკაბადონა **რ. გრიგოლიამ**



დასავლურ ენათა და კულტურათა
სახელმწიფო ინსტიტუტის სტამბა

ტირაჟი 2000
